

81  
1900  $\frac{1}{2}$   
v2



original sketch

1900

II

აქვენი



თ ვ ი უ რ ი

F 61  
1900


# ს რ ე მ ე ს ლ ი

წელიწადი მესამე

№ II

F 165

თებერვალი, 1900



ქუთაისი  
ლამბაზიძის სტამბა \* Типографія Гамбашидзе  
1900

Дозволено Цензурою. Тифлисъ. 16 Февраля, 1900 г.

შირველი განყოფილება.

83.

I	გამოთხოვება, (ლექსი) აკაკის . . . . .	1
II	თანამედროვე თავადი. აკაკის. . . . .	1—5
III	სიტყვა, წარმოთქმული გიორგი წერეთლის საფლავზე. აკაკის . . . . .	6—9
IV	გიორგი ეფთიმეს ძე წერეთელი ს. ქვარაიანის . . . . .	10—17
V	* (ლექსი) სისონა შენანგურესა. . . . .	18
VI	** გამოწვლი წყარო (ოცნება) შეგ- ნელ-ქართველისა . . . . .	19—20
VII	ჰო, თუ არა! ე. ედიშერიშვილისა . . . . .	21—29
VIII	* (ლექსი) თომეშვილისა . . . . .	30
IX	** ძრთველთა უკველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში (მეცნიერ მორგანის აზრი). ს. ქვარაიანის	33—59
X	ისტორია ქართულ ბაჭეთების და შურნალების გამოცემისა ზ. ჭ.—ის.	60—80
XI	პროგრამა ეთნოგრაფიულ და იუ- რიდიულ ცნობების შესაქრებად. (დასასრული) ა. სახანაშვილისა . . . . .	81—110
XII	ბუჯარი (გაგრძელება) ზ. კ.—ის . . . . .	111—117
XIII	ქარაბადიმი სამხატრო წამლებთა- თვის . . . . .	118—125

შეორე განყოფილება.

I	სოფელი წესი და ხალხური, წარ- მოდგენილი აუ. ჭიჭინაძისგან . . . . .	1—16
II	სოლომონ ბრძენი (ხალხ. ლექსი) . . . . .	17—19
III	ფაშური ლექსები, შეკრებ. გრ. აფ- შინაშვილის მიერ . . . . .	20—24

განცხადებანი.

## გ ა მ ო თ ხ ო ვ ი ბ ა .

(ჩემს ქვეყანას)

მე რამ მიუვარდა, ის სიუვარული  
მომაკვდავთ ენით არ გამოითქმის!...  
შენ იუავ ჩემი სიტყვა და საქმე  
და თვით მიზეზიც წრფელი გულის-თქმის!..

სიუმაწვილიდან მწარ—სიბერემდე  
აქრო-ქსოვილად გეფინებოდი,  
და ვით ხატის წინ წმინდა-სანთელი  
შუქ-მთხარხალე უხმოდ ვდნებოდი.

შენის მოხიბვლით გამწვევული,  
წინ მიმიძღვდა მეც ის ნათელი...  
და ჩემი ნატვრაც მხოლოდ ეს იყო!!..  
სამაკიერო და სასუიდელო.

ვუიქრობდი შენ წინ წვითა და დაგვათ  
წმინდად დადნობას, ტუბილად გაქრობას,  
მაგრამ სიწმინდის წაბილწვაც თურმე  
არაფრად უჩანს შურსა და მტრობას!..

აწ რაღა მეთქმის? კურთხეულ იუოს  
მიუწდომელი მადლით განკება!..  
ჩემი ნათელი ბნელად გეჩვენს  
და წუევლა-კრულვად—ქებათა-ქება!..

უნდა მოგშორდე იძულებული!..  
მშვიდობით, მაგრამ ვაი მშვიდობას!!  
თუ უნებურად შეგცოდდე რაშე,  
სულგრძელი იუავ! ვითხვო შენდობას!..



## თანამედროვე თავადი.

12 იანვარს გარდაიცვალა გ. ე. წერეთელი და 16 დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში. ჩვენს ნახსოვრობაში, ჯერ ისეთის პატივით არავინ განსვენებულა, როგორც ის!.. გაგონებით კი გაგვიგონია, რომ ძველად, როცა რომელიმე, ქვეყნის მოქირნახულე, თანამედროვე დიდებულ-თავადს მარხავდენ, მაშინ კი, თურმე, მოიყრიდა თავს ხალხი სხვა-და-სხვა კუთხეებიდან და გულ-შტკიფნეულად ეთხოვებოდა ქვეყნის მოკეთეს. ეს დიახ ჩინებული ჩვეულება, ძველ დროსვე თან გაჰყვა და დღევანდელი განსვენება, საზოგადოდ, მხოლოდ ოფიციალურია. მართალია, დღეს კიდევ, როცა გვარიშვილებსა და მაღალ-ხარისხოვანებს ასაფლავებენ, წინ მუსიკა მიუძღვისთ, უკანიდან საკუთარი ეკიპაჟების ხრიგინი ბანს აძლევს, კუბოს მისდევენ მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ხელ-ქვეითები და ნათესავ-მოყვრები... მაგრამ ესეები ყველა მხოლოდ თვალსა სჭრის და გულს კი მაინც არას ეუბნება!.. სულ სხვა გვარი იყო გ. წერეთლის განსვენება: არც მუსიკა, არც ეკიპაჟები, არც ხელ-ქვეითები და არც პურ ღვინით მომადლიერებული ვინმეები!.. დასწრენ მხოლოდ ნამდვილი გულ-შემატკივრები და მათი რიცხვიც უთვალავი იყო. სწორედ ისე, როგორც ძველად, ხალხმა და-



მარხა თანამედროვე თავადი. განსვენებული გიორგი  
წერეთელი არ ყოფილა დიდი ოჯახის ჩამომავალი, მაგ-  
რამ ეტყობა, რომ ხალხის გრძნობა-გონებას, დღევან-  
დელ შეხედულობით, აღუარებია ის თავადად და მის  
სწორ-მხედველობას ველარც ჩვენ წაუვალთ!.. ქვეყნის  
განჩინება არის „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“... ასჯერ  
დაგვიწერია და ათასჯერ გვითქვამს და ახლაც კიდევ უნ-  
და გავიმეოროთ, თუ როგორ ესმის ქართველ ხალხს  
სიტყვა „თავადი?“ ძველად, როდესაც ქვეყანა განსაც-  
დელში იყო ჩავარდნილი და გარემოსეულ შტრის მომგე-  
რებელი ექირვებოდა, მთელი ერი ორ წოდებად იყო  
გაყოფილი: მხედრებად, (მეომრებად) და მუშაკებად.  
პირველი შეადგენდა მალალ წრეს და მეორე დაბალს.  
თავად-აზნაურობა ბრძოლის ველზე ათენ-ალამებდა და  
გლახობა-კი საზრდოს აწოდებდა მათ და თანვე თავის  
თავსაც არჩენდა, და იმ დროის მიხედულობით უკეთე-  
სი წეს-წყობილება მოუხერხებელიც იყო. დღეს სულ  
სხვა არის!.. დღეს ჯარის კაცებს ხაზინა ინახავს: ეძ-  
ლევათ ჯამაგირები და შემდეგში პენსიები, ყმა და მა-  
მულის ნაცვლად; მხოლოდ ფორმა გამოიცვალა, თვა-  
რა შინაარსი იგივეა. დღესაც არიან ღენარლები, შტაბ-  
აფიცრები და ობერ-აფიცრები, ისე როგორც ძველად იყ-  
ვნენ ერისთავები, თავადები, აზნაურები, ახატები და  
სხვანი. ერისთავებად და თავადებად ისინი იყვნენ, ვი-  
საც იმ დროის საქმის მეთაურობა და თავში ღგო-  
მა შეეძლოთ. ერისთავი და თავადი იგივე ღენარლე-  
ბი იყვნენ, როგორც დღეს. საწერეთლო, სააბაშიო, სა-  
ამილახვრო, საციციანო, საბარათიანო და სხვანი... იგი-  
ვე კორპუსები იყო, და ერისთავი, ამილახორი, ბარა-  
თაშვილი, ციციშვილი, აბაშიძე, წერეთელი, ორბე-

ლიანი ზ სხვანი, იგივე კორპუსის კამანდირები. „კი, მაგრამ ეს თავადობა და ერისთავობა შვილსა და შვილის-შვილზე გადადიოდაო“—იტყვის ვინმე,—და რა ვუყოთ მერე?—განა დღეს კი არა ვხედავთ, რომ რომელიმე ღენარლის შვილიც ღენარალი ყოფილიყოს და შვილი-შვილიც? თუ კი შვილი მამის საკადრისი იქნებოდა, მით უნდა ჩამორთმეოდა მამის ხარისხი?.. ისტორია აუარებელს მაგალითს გვიჩვენებს წარსულში, რომ, როცა რომელიმე დიდებულ გვარის შვილს შესაფერი შვილი ვერ გამოსვლია, მაშინ მისი ადგილი მათსავე გვარში სხვას დაუჭერია, უფრო გამოჩენილს. და თუ აღარავინ ყოფილა აღარც გვარში, რომ საგვარეულო დროშა ღირსეულად ხელში დაეჭირა, გვარი დაკნინებულია და მისი მაგიერობა სხვის გვარს დაუჭერია ხელში.—ლიბარტიანებს ჩამოართვეს დადიანობა ჩიქოვანებმა და გიორგი ჩიქოვანი გადადიანდა. გოშაძეები, გუნაბიძეები, თოღაძეები და სხვანი მრავალნი, ოდესმე თავადები ყოფილან, მაგრამ გამოცლიათ ხელიდან, მათ მოადგილედ სხვები ჩამდგარან და დღეს გლეხებად იწოდებიან. ეს ასეთ უბრალო და კანონიერ მოვლინებად მიაჩნია ქვეყანას, რომ ისტორიას არც კი შეუნიშნავს. ეს წარმოდგენა ქართველს შესისხლ-ხორცებული აქვს დღესაც, და მიტომაც იმეორებს ძველების მცნება-ანდაზას: „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო“.

ძველი დრო წავიდა და მას თან გაჰყვა ძველ-გვარი თავად-აზნაურობაც. ახლა სულ სხვა დრო დადგა, სხვა მოთხოვნილებით და თავადებიც სხვა გვარი გვეჭირვება. ეს ესმის ხალხს და ნურაფერს უკაცრავად, თუ ძველ თავად-აზნაურთა ჩამომავალთ, რომელთაც დღეს,



არა თუ მეთაურობა და თავადობა არ შეუძლიათ, ფეხიც ვეღარ მოუკიდებიათ იმაზე, რაც მამა-პაპათაგან დარჩათ, იმავე პატივით ვერ იხსენიებდეს, როგორც მათ წინაპრებს და სულ სხვას აღიარებდეს დღევანდელ თავადად! მართლაც, მოდი და უთხარი ქვეყანას: «დღევანდელი გაქსუებული, „მრავალ-ჟამიერის“ მოღრიალე და ხანჯლის მოტრიალე ძველი ოჯახების ნაშთები იწამე და ეთაყვანე, მხოლოდ მიტომ, რომ ოდესმე მაგათ კარგი ძველები ჰყოლია-თქო!...» ამას ბრბო თუ დაიჯერებს, თვარა ხალხი არა!.. მე ხალხს ვეძახი დაბაღ წრეს, იმ წრეს, რომელსაც ნიადაგი არ გამოსცლია ფეხ-ქვეშ და არ გახუნებულა ზედა-პირსავით. მისი ინსტინქტი უტყუარია, მაშინ როდესაც მისი ზედა-პირი, ნამდვილი ბრბო, იმას როშავს, რაც თვითონ არ გაეგება!.. მათ რიცხვში ბევრს შეხვდებით მისთანას, რომ თავი მართო წინაპრებით მოჰქონდეს და თვითონ კი არა იყონრა. და აგრევე ნახავთ მისთანა ტუტუცებსაც, რომელნიც ტრაბახობენ, ჩვენი ძველები, მადლობა ღმერთს, გამოჩენილი გვარის არ ყოფილანო და პატივი გვეცითო! დღეს თვითონაც გლახაკებს, მამა-პაპის სიგლახე საქმარის ღირსებად მიაჩნიათ და პატივისცემას მოითხოვენ. ამათი რიცხვი დღეს იქნება ბევრიც იყოს, მაგრამ ხალხის თვალში მათი კრედიტი დაკარგულია და, ძველების პატივისცემით მომხსენებელი, ჩვენი ერი, დღესაც მხოლოდ იმას სცემს თაყვანს და აღიარებს თავადათ, ვინც დღევანდელ საქმეს თავში უდგია და ქვეყანას გულწრფელად ემსახურება. ამ გვარი მოღვაწე, რომელ წრიდგან და რომელ წოდებიდგანაც უნდა იყოს, ქვეყნისთვის ერთია. ის აფასებს კაცურ-კაცობით, და არა საისტორიო მოწმობით. ეს ნათლად დაგვანახვა გ.

წერეთლის განსვენებამ: მიუხედავად იმ წრისა, რომელიც დედა-მიწასთან გასწორებას სცდილობდა განსვენებული გიორგი წერეთლისას და სიცოცხლეში მოსვენებას არ აძლევდა, დაბალმა ხალხმა, ფესვმა ეროვნობისამ, თვით დასდვა მას თავისი საკუთარი უტყუარი მსჯავრი და „ვაშა“ მის განაჩენს!..

აკაკი.

*[Faint, mostly illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page. The text is written in Georgian script.]*



ფართო, ამოღე სი...  
-გეომეტრიული ფორმის...  
-უცხოვან ინტელექტის...  
-თქმითვე ამგვარ...  
-ორთქტი...

**სიტყვა აკაკისა,**

წარმოთქმული გიორგი წერეთლის საფლავზე.

ძვირფასო ამხანაგო, თან შეზრდილო და თანვე შებერე-  
ბულა გიორგი! ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში მე და  
შენი ნაცნობობის კავშირი არ გაწყვეტბლა და იმ თავიდან ამ  
ბოლომდე ერთმანეთთან საუბარი არ დაგვლევია. მაგრამ სწახს,  
რომ ჯერ კიდევ არ მოგვეჩვენებია, რომ ახლაც კიდევ—კუ-  
ბოს კარებთან, შინდა გულ-ხელ დაკრეფილსაც გამოგელაზარ-  
კო! რომ გესდევ სამარის ზირად მოსვენებულს, გული მიდონ-  
დებს, თვალზე ცრემლი მომდგომია და ტირილს კი ვერ გი-  
ბუდავ, და ვერ გიბუდავ იმიტომ, რომ შენისთანა განსვენებუ-  
ლებს ტირილი არ შეშვენისთ. ეველასათვის აუცილებელ სიკვ-  
დილსაც აქვს თავისი შესაფერი სიტკბილ-სიმწარე! — „სიკვ-  
დილი მართლთა განსვენებაა“ — ბრძანებს საღმრთო წერილი,  
და ეს ტეშმართება სწორედ შენისთანაებზეა გამოჭრილი:  
მთელი შენი სიცოცხლე ტანჯულ-შრომით გაატარე საზოგა-  
დო სამსახურში მოუსვენრად და ახლა მხოლოდ გედირსა გან-  
სვენება. უკანასკნელ წამს შენი ცხოვრებისას, უეჭველია, ცო-  
ტაც არის გიტკობდა ის სამართლიანი შეგება, რომ შენი  
ქვეყნის ვალი მოხდილი გქონდა, ზირნათლად შეგქმლო წად-  
გომა დარს წინაპრებთან და აქაც შენ სამაგიეროდ სტოკბდი  
შვილებს, სწორ-გზაზე დაყენებულებს და ახდერდაც უკდებ-  
დი შენს მაგალითს, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადო მო-



დღაწე... აი, ამიტომ ვეღარ გიბუღავ ტირილს და აღარც შენ  
 ცოლ-შვილს ვეუბნები სამძიმარს! მივუსამძიმრებ შენს დაკარ-  
 გვას მხოლოდ საზოგადოებას, რომელმაც შენი სიკვდილით  
 ბევრი დაჭკარგა!.. დიას, განსვენებული, ერთი უკეთეს მოღვა-  
 წეთაგანი იყო ამ ჩვენს დროში. მოვა დრო, როდესაც საზო-  
გადო მოღვაწეებს საკუთარის შეგნებით და არა სხვების ხმის  
ყოფლით დაათვასკენ, და მაშინ გიორგის ნაწერების სიღიადუ  
და სიკეთე გააკვირვებს ყველას. მაგრამ მარტო ნაწერებით  
 ჩვენი შესამტყვევლები მოღვაწეთა დათვასება, დიდი შეცდო-  
 მა და უსამართლობა იქნება! შეწერლობა მათთვის მხოლოდ  
 ერთი სხვათა შორისა იარაღი იყო ქვეყნის სასამსახუროდ აღე-  
 ბული! — ისინი უოგელგან და უოგელთვის აქტიურ მონაწილე-  
 ობას იღებდენ, იფუნენ დღიურ მუშებად ჩამდგარი და შავი  
 სამუშაო რამეც არ ეთაკილებოდათ. — ერთი მათგანი იყო გან-  
 სვენებული გიორგიც, მაგრამ ამ ღირსებას დღეს ზოგიერთე-  
 ბი ცოდვად სდებენ და დასცინიან: «უოგელიფერს ეპოტინე-  
ბოდათ». სცდებიან. თუ გი დღესაც ვიდევ აქა-იქ გაისმის სა-  
 ნივარი, რომ სამკალი ბევრი გვაქვს და მუშები ცოტა გვყავ-  
 სო, რა უნდა უოფილიყო ამ ორმტვი წლის წინეთ, როდეს-  
 საც არაფერი არ უოფილთა მოწეული, სამკალი არსად სჩანდა,  
 და ზირველ სამუშაო სხვა-თესვისათვის უნდა გადადგმულიყო  
 ზირველი ნაბიჯი? შესამტყვევ წლის წრე ძალიან ზატარა იყო, ისე  
 კაც-მრავალი არ უოფილთა როგორც დღეს; მაშინდელი ერთის  
 საქნარი, სამუშაო, დღეს ასადაც გი შეიძლება განაწილდეს.  
 ნუ დავიფიწეებთ ნურც იმას, რომ იმ მაშინდელ მტირე გუნ-  
 დიდანაც ბევრმა გადაუხვია და სულ სხვა გზას დაადგა, უდ-  
 როოდ რომ გული გაუტყდა. მაგრამ გათანატაკოსებულ გიორ-  
 გის გი იმ თავიდან ამ ბოლომდე დედა-ბოძი თავისის მტნე-  
 ბისა არ შერეეგია. — შეიძლება რომ საზოგადოებისადმი მისწ-  
 რაფების დროს ოდესმე გზას გადასცდენოდეს შეცდომით,



ფეხი წამოკერას და წაეფორხილებიან, ეს მის ზირდაზიარებას  
ვერ დაჩრდილავს, რადგანაც, ვიშეორებ, თუ კი მართლა ოდეს-  
მე გზას გადაცდომია, ეს გადაცდენაც წმინდა განზრახვისა  
და სურვილების გამო უფთვლად გამოწვეული და არა საზიარა-  
დო რამ გამოანგარიშებით. ამისთანა კაცებს განუენებული,  
კერძო, მხოლოდ საზიარადო არა აქვთ-რა, უფველ გვარ მათ  
კერძოსაც სარჩულად იკვივ სარტოგადო უძევს; ცოლ-შვილს  
მიტომ ეკიდებიან, რომ ქვეყანას თავის სამკაიერო მოღვაწე-  
ბი გაუზარდონ, შეძენას მიტომ ნატრობენ, რომ ქვეყანასვე  
გამოადგენ და უფრო ხელ-შეუძლეად ემსახურონ გაუჭირებ-  
ლად! ამას ბრბო ვერა ჭხედავს და ცოცვად უთვლის მათ იმას,  
რაც მადლისკან გამოწვეულია... საზოგადოთ უნდა ვსთქვათ,  
რომ ამ ჩვენს დაკინებულსა და დაცარულს საუკუნეში სხვათა  
შორის ერთი სენიც შემოგვეპარა: ჩვენ ნამდვილ მოღვაწეებს  
ჭიბრში ვუდგვივართ, სწორი გზით მიმავალს ჩვენვე წინ ვე-  
ღობებით, ფეხ-ქვეშ ქვა და ლოდს ვუგორებთ და, თუ იმა-  
თაც უნებურად ფეხი წამოჭკრეს, ჩვენ მზაკვერულ სინარულს  
სასდგარი არა აქვს; უფველგვარ ღირსებას ვაქარწულებთ და  
ქვეყნას ვუთითებთ, რომ აი ფეხი წამოჭკრაო. — ამ ფარისევ-  
ლების საშასხსოდ ერთი რამ მაკონდება თვით განსვენებულ  
გიორგის თავ-გადასავლიდან: ერთ კვირა დღეს, გიორგი წე-  
რეთელი თავის ამხანაგებით ერთად თავ-მოყრილი თამაშობ-  
დენ მამა მაგიისის დიდ ეზოში; დაჭკრეს წირვის ზარები და  
პატარა გიორგი გაეშურა ეკლესიისაკენ. გზაში ფეხი წა-  
მოჭკრა ქვას და დაეცა, მაგრამ უკანვე არ დაბრუნებულა, წა-  
მოდგა ზეზუ, კაბერტუა ტანისამოსი და წავიდა მაინც საუ-  
დარზე. ნაწირვევს, რომ დაბრუნდა, ამხანაგებმა სიცილი და-  
ყარეს, რად წაიქეციო!.. მაშინ გამოესარჩლა შვილს, გიორ-  
გის მამა, ეჭვთამე წერეთელი და უთხრა სხვებს: «თქვე უც-  
ნურებო, როდესაც ჩემი გიორგი კარგის გრძნობით გატაცე-

ბული წირვაცე შეიშურებოდა, თქვენ მაშინ აქ თამაშობდით და ნუ თუ მისი წაქცევა, ისევ წამოდგომა და კეთილი განზრახვის აღსრულება უფრო მისაწონი არ არის, ვიდრე თქვენი აქ დარჩენა, უბრალო ბურჯალი და სახედრის გაჩინდრიკამჩინდრიკება?! განსვენებულ გიორგისაც შეეძლო ამავე სიტუციებით ეხსნახა ზოგიერთებისათვის!.. მეტს აღარას ვიტყვით—საუკუნოდ იუფს ხსენება შენი საუვარდლო ძმაო და მეგობარო!...

*[Faint, mostly illegible text, likely bleed-through or very faded handwriting. A decorative separator is visible in the middle of the page.]*

## გიორგი ეპთიშის ან წარათელი.

(მტრე მოგონება).

თორმეტ იანვარს გამოესალმა მქირდავ წუთი-სოფელს და განისვენა საუკუნოდ ჩვენმა სახელოვანმა მოღვაწემ გიორგი წერეთელმა.

არ შევხებები აქ არც განსვენებულის 40 წლის ნაყოფიერს შრომას სამწერლო და საზოგადო ასპარეზზედ, არც მის ვრცელს ერუდიციას და ბელლეტრისტულ ნიქს, არ დავახასიათებ მას როგორც სამაგალითო ქობისა და მამას, არ მოვიხსენებ აქ არც იმ წრფელს თანაგრძნობას ქართველ ერის მიმართ, რომელიც გულით ჰგლოვს და მოსთქვამს თავის მოყვარულ შვილს, მხნეს, პატიოსან მუშაკს; არც მას თუ რა გრძნობით და ცრემლით ესალმობდა ხალხი და ახალგაზდობა გიორგის გვამს დიდუბის ტაძრის გალავანში.

ყველა ესენი ნათლად და გრძნობიერად გამოსთქვა უკვე ჩვენმა პრესამ და აუწყა იგი საყოველთაოდ. ამიტომ მეც რომ მათ შევხებო, იქნება მხოლოდ უბრალო განმეორება.

მე მსურს აქ მკითხველის გულის-ყური სივაპყრა ერთ რამეს, რაზედაც თითქმის არა-რა უთქვამთ:

ეს ექვსიოდ წელია, აუტყდენ განსვენებულ გიორგის, უკიჟინებდენ ნახტომის შეშლას, თავის წინარე იდეების და მიზნების დალატს... აურაცხელი ჰამფლეტები, ქირღვა, ცილის-წამება, დაცინვა და სხ. ამ გვარი სურნელ-ფერადოვანი თაიგულები მისდიოდა ხშირ-ხშირად განსვენებულს ნობათად „ივერია-მოამბე-ცნობის ფურცლიდან.“

აი სწორედ ამ ცილის-წამების უსაფუძვლოებას მსურს მივაქციო მკითხველის გულის-ყური.

მე კიდევ იმ დროს გავიცანი ბ. გიორგი, სანამ იგი გახდებოდა „კვალის“ დამაარსებელი და მეთაური. იმ თავითვე ვიგრძენ მისდამი სიმპატია; განსვენებულის ტკბილმა საუბარმა, ფხიზელმა აზრებმა და მხურვალე ჰაბუკოვანმა მსჯელობამ მოხიბლეს ჩემი გული. მის ნაწერებში და მის კერძო საუბარში მოსკვირდა ერთი სული, ერთი გრძნობა, გრძნობა სამშობლოს სიყვარული-სა...

„კვალი“-ს დაარსების შემდეგ ხშირად ვმზერდი გიორგის თბილისში, მანვე მიმიწვია თანამშრომლად თავის გაზეთში და სამი წლის განმავლობაში ვგზავნიდი წერილებს სხვა-და-სხვა ფსევდონიმით. საამო იყო იმ დროს გიორგის ნახვა. მისი სანეტარო სტიქიონი იყო თავის ოჯახი, აქ ისვენებდა იგი, აქ გრძნობდა სრულ ბედნიერებას, თავის საყვარელი ცოლ-შვილი იყო მისი მუზა, მისი ნეტარება. აქ მის ოჯახში იყრიდა თავს ახალგაზდობა და საამურად ატარებდა დროს ბრძნულ და აზრიან ბაასებში. გიორგის არას დროს არ უძებნია თაყვანის-მცემელნი და კლაკიორები ზოგიერთებივით; იგი ეძებდა ნიქიერს, მშრომელ ახალგაზდებს, ამხნევებდა მათ და აქეზებდა სამწერლოდ და





სამოქმედოთ; იმავე დროს სრულიად არ სცდილობდა მოეხვია მათთვის თავის აზრები და გემოვნება და მით დაეხშო მათი ინდივიდუალობა; იმის დევნი იყო: შრომა, ერთობა, ძმობა და თავისუფლება. ევროპის ცხოვრების პირადათ შესწავლამ იგი გახადა ჰუმანისტი და ადამიანის ემანსიპატორი.

ამ დროს მოხდა ერთი რამ, განისვენა საუკუნოდ საბრალო ნინოშვილმა, ამ მსხვერპლმან ზოგიერთთა ვერაგობისამან. დასაფლავებაზედ დაესწრო გიორგიც. აქ შეჯგუფდნენ აქამდე უცნობი პირნი, ახალგაზდა სემენარიელნი და წარმოსთქვეს ზიზლი კერპებისადმი, წარმოსთქვეს ფიცი საერთო მოქმედებისა ახალ გზაზედ. ამ პროტესტს, ამ მხურვალე ფიცს ვაშა მიუძღვნა გიორგიმ და გაუწოდა ამ ახალგაზდათ სამეგობროდ ხელი, რომელიც იყო ჩამორთმეული დიდის მადლობითა და აღტაცებით. აი სწორედ ამ ჩოჩხათის სასაფლაოზედ გაიცნო გიორგიმ ეს ჯგუფი, აქ შეიქნა იგი მისი ნათლია, აქ უწოდა მას მესამე დასი, აქ გაუხსნა მას «კვალი»-ს ფურცლები.

„კვალი“-ს ფურცლები გაივსნენ რალაც უცნაური ენით და აზრებით. ახალ გამომცხვარ წერილებს აჩნდა გამოუცდელი კალმის დალი, ყმაწვილური სითამამე, რიხი და გამბედაობა. თვითყულ ფრაზიდან გამოსკვირდა უტიფარი კილო. კიდევ ადრე დაისტამბა „მოამბეში“ ამ ჯგუფის ლიდერის, ნ. ქორდანიას პირველი წერილი, ყველა ამათებმა გააოცეს ჩვენი საზოგადოება, ინტელიგენცია და პრესა. მეტადრე კი გამწარდნენ ჩვენი ბურჯნი, კერპნი და მათი ამალა. ამ ახალ ჯგუფის ნაწერებს დაადეს მათ ინდექსი (index), დაუშინეს ლანძღვა-თრევის ყუმბარა, დაღაღ-ჰყვეს ხმა-მაღალი

ანათემა. მაგრამ არ შეშინდენ, არ დაცხრენ ამით ახალ-გაზდა სემენარიელნი. გამოუცხადეს ძველებს მდგარი ბრძოლა, უარჰყვეს ძველი მოძღვრებანი, დასახეს ყოველივე უტოპიად, გახლართეს რაღაც ბუნდოვანი აზრები. სიმართლე უნდა ვსთქვათ, ლანძღვა-გინების ტყვიანობა ამითაც ბევრი ჰქონდათ. (ამაში ყველა ქართველი დიდ ნიქს იჩენს). ბრძოლა გაგრძელდა, ბრძოლა გამწვავდა. „კვალი“-ს ფურცლებზედ წარა-მარა ისმოდა ერთი და იგივე სიტყვები: ეკონომიკა, ეკონომიური ფორმები, ეკონომიური ფაქტორი, კაპიტალიზმის უღელა, კაპიტალისტური ჭახჩაკი, ეკონომიური მატერიალიზმი, ბურჟუაზია, პროლეტარები, კლასობრივობა, კლასთა ბრძოლა, მარქსი, ენკელსი, კაუტსკი და სხ. და სხ.

სიმართლე გითხრათ, ფრიად გამახარა და ფრიად გამოაცხა ამ მესამე დასის ასე უცებურმა შექმნამ და მოვლენამ. გამახარა-მეთქი, რადგან ექირვებოდა ძველს ჰანგებს შეცვლა და მათ ნაცვლად ახალი მოტივები; ექირვებოდა ჩვენს მწერლობას ახალი იდეები, ჩვენს ცხოვრებას ახალი ენერგიული მეთაურნი... გამოაცხა კი, რადგან ამ ახალს ჯგუფში ვერ ვმზერდი მას, რაც შედო ფიქრად. სამწუხაროდ, ეს ახალ-გაზდანი არ იყვნენ მომზადებულნი არც მეცნიერულად, არც ლიტერატურულად; არ ესმოდათ გარკვევით არც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, არც ჩვენი წარსული, უარჰყოფდნენ თითქმის ჩვენს ეროვნებას, ჩვენს ისტორიას, ჩვენს კულტურას. ყველაფერს ზომავდნენ ეკონომიკის ადლით და ყველაფრის ჰ—დ და ჰ—დ მიანდათ ეკონომიური ფაქტორი.

ღიახ, გამოაცხა ამ ახალმა ჯგუფმა, ამ მესამე დასმა და შევუდექი მის შესწავლას; დავჰკარგე ექვსიოდ



თვე. ვიფიქრე: ყოველივე „მოღუბნი“ აზრები წყვეტს პირებიდან გვეწვევიან ხოლმე, და იქნებ ესეც იქაურია-თქო. გადვიკითხე რუსეთის მსხვილი ჟურნალები და ესცანი საშინელი პოლემიკა ორ დას შორის; გადვიკითხე სტრუვეს, ბელტოვის, ტუგან-ბარანოვსკის და სხვათა ნაწერები და ნათლად დავინახე, რომ ჩვენი მესამე დასელნი თურმე იმეორებენ მათ აზრებს, მათ სიტყვებს, მათ ფრაზებს, ყოფილან მათი ერთგული, ფანატიკური მოწაფენი. თვით ის რუსის მწერალნი კი თავის მხრივ ღეჭენ თურმე კაუცკის, მერინგის, ლაფარგის, ლორიას და სხვა ევროპის მარქსისტთა გადამახინჯებულ მარქსიზმს, რომელსაც თვით მარქსი და ენგელსი უარყოფდენ და გაუბოლდენ. გავეცანი ამათ ე. ი. მარქსისტთა ნაწერებსაც და ესცანი მათი მოძღვრების სიფიწროვე და ერთფერობა. ეკონომიურმა ანუ ისტორიულმა მატერიალიზმმა, ამ მარქს-ენგელსის ჰიპოტეზამ უკვე მოსკვამა ევროპაში თავის წუთი-სოფელი და იქმნა დარღვეული ამ გვარ ცნობილ მეცნიერთა მიერ, როგორც იყო დიურინგი და დღეს ჟან-ჟორესი, ბერნ-შტეინი და სხვ. დღეს არც ერთ სერიოზულ ევროპიელ მეცნიერს აღარ მიაჩნია ეკონომიური ფაქტორი არამც თუ ერთადერთ ფაქტორად ისტორიაში, არამედ უუმთავრესადაც კი. ეს სწამთ მხოლოდ რუსეთის ორიოდ სოციალისტს და ჩვენს მესამე დასელთ.

ეჭვი არაა, ამ მცირე მოგონებაში სრულიად არ გვსურს შევხვთ ეკონომიურ მატერიალიზმს და საერთოდ მარქსიზმს; აქ არაა ალაგი ამისთვის; შეიძლება შემდეგში გვექნეს ამაზედ საუბარი. დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს. როგორც კი გავეცანი საკმაოდ ჩვენს მესამე დასელთ, როგორც პირადათ, ეგრეთვე ნაწერე-

ბით და ესცანი, თუ რას შეიცავს მათი მოძღვრება, მიველ გიორგისთან და ვუთხარი:

— გიორგი, მე მაოცებს თქვენი მოქმედება; უნდა გესმოდესთ, რომ ეს თქვენ მიერ მონათლული მესამე დასელნი ყოფილან მარქსისტები... უარ-ჰყოფენ ჩვენს კულტურას, სდევნიან ჩვენს მწერლობას, პოეზიას, ხელოვნებას, ისტორიის წიგნებს და სხ. (ამის მაგალითები ბევრი მქონდა). მასთან მარქსიზმი თვით ევროპაშიაც ცნობილია თავის სივოწროვით, ცალმხრივობით და მეტაფიზიკურ ტენდენციით; მით უმეტეს იგი მადნებელთა დღეს ჩვენში, ჩვენს ყოფაში ჩავარდნილ ერისთვის. მე ვჭკვირობ, რად მიგიკედლებიათ ის პირნი, რომელნიც ძირითურ ეწინააღმდეგებიან თქვენს აზრებს-თქო. აი რა მიპასუხა ამაზედ განსვენებულმა გიორგიმ:

— «ისინი ჯერ ბავშვებია, ჩემო სიმონ, მოვლენ ჩვენს ჭკუაზედ. ნელ-ნელა მორჩებიან მარქსიზმის ქაგილიდან და მომართვენ ისევ ეროვნულ ჩანგს. მაგალითს უკვე ვხედავთ, (და მაჩვენა ნ. ჟორდანიას ბოლო წერილები), ისე კი ფხიზელი ყმაწვილნი არიან, შრომის მოყვარენი და ჩვენც არ უნდა ვჰკრათ მათ ხელიო».

იმ დროს არ დავეთანხმე გიორგის და ეს მისი პოლიტიკა მეჩვენა ორჭოფად და მესამე დასის დამამკირებლად. რა საჭიროა აქ ბავშური მოტყუება, ვამბობდი გულში, უთხარ მათ პირდაპირ: არ თანაფუგრძობ მაგ ახალ მოძღვრებას, მორჩა და გათავდა! მე გავშორდი იმ დღიდან კვალს თითქმის ერთის წლით. ვამბობდი ჩემთვის: გიორგი ჯინიანი კაცია, შესცდა პირველად, მოტყუვდა თავის ნათლულებში, — ამ მესამე დასელებში, მან ისინი წარმოიდგინა სულ სხვა ჯგუფად, ნამდვილად კი სხვანი გამოდგენ; ახლა, რადგან უკიჟინეს, დაირცხვინა და გან-



გებ აღარ იშორიებს-თქო. ეს ჩემი მოსაზრება იქნებ არ იყო საფუძველ-მოკლებული, მაგრამ რაც მე წინად გიორგიმ მითხრა, ისიც მართალი იყო... გიორგი მართალი იყო. რა გვარი მოძღვრებაც უნდა იყოს, თუ მას აქვს რაიმე სამეცნიერო საფუძველი და სიწრფელოე, ჩვენ არ უნდა გამოვიჩინოთ მის მიმართ სულმოკლეობა, არ უნდა ჩავქოლოთ, არ უნდა აღვიჭურვოთ ვიწრო მოუთმენელ თანატოზმით, არამედ უნდა მივსცეთ ყოველს ადამიანს აზრის გამოთქმის საშუალება და თუ არ მოგვწონს იგი, დინჯად, ცნობიერად და დარბაისლურად შევეკამათოთ და დავარღვიოთ. გიორგიც ასე მოიქცა, ხოლო იგი პირადათ არ შეკამათებია მათ, სხვები-კი სწერდენ «კვალშივე» მათ კრიტიკას (მაგ. ბ. ფხა). სხვათა შორის ამ სტრიქონების დამწერმაც ვაგზავნა ერთი წლის შემდეგ „კვალის“ რედაქციაში „სახალწლო კრიმანჭული“, რომელიც სიამოვნებით დასტამბა გიორგიმ და რომელშიაც იყო სხვათა შორის მარქსიზმის და მესამე დასელოთა დაცინვა. თუ კი გიორგი ყოფილიყო მარტოდ მათი მოაზრე, არასგზით არ დასტამბავდა. ამაზედ ვპავონებ საყვედურიც მიილო მან ზოგიერთ დასელოთავან.

ამ რიგად სრულიად უსამართლოა ის ხმები, თითქო გიორგის ელალოატნოს თავის პირველ მოძღვრებისთვის, თავის მიზნისთვის და რაღაც ახალს და უსაფუძვლო ჰიპოტეზას გამოდევნებოდეს. ექვი არაა, მას სურდა რეფორმები ჩვენს ცხოვრებაში, სურდა განახლება ჩვენი დაქანგული პრესის, სურდა ახალი მოღვაწენი, ახალი შეგნებული პირნი; ის ჰქომაგობდა პიროვნების ემანსიპაციას, უარჰყოფდა ჩვენს დამლუბველ ბანკობიას, კერპობიას და ავტორიტეტის თაყვანებას; მას უნდოდა ჩვენში მოქალაქობრივი ცხოვრე-



ბის განვითარება, მრეწველობა-კომერციის აღორძინება, ნიჭის თავისუფალი მოქმედება, მას სურდა ერის განათლება, ერის რეალური ბედნიერება, იგი იყო ქეშმარიტი პროგრესის ტი—აი მისი სახელი! მას უყვარდა თავის ტანჯული სამშობლო, უყვარდა წმინდის გულით; იგი იყო პატრიოტი ოცნება-ფანტაზიით კი არა, არამედ საქმით, მოქმედებით; იგი იღვწოდა, იგი შრომობდა მხოლოდ ერის საბედნიეროდ; უკანასკნელ სულის ამოხდამდე მისი ფიქრი, მისი ზრუნვა იყო თვისი ქვეყანა. აი ამგვარ კაცზედ თქმულა:

— „კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შვილად,  
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,  
თავი სამსხვერპლო წილად,  
ქვეყნისა ცრემლი ჰირად უჩნს,  
მისი ღიმილი ღზინადა,  
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,  
მას შემოავლებს ფთილადა!“

ამგვარი კაცი იყო ჩვენი საყვარელი გიორგი! საუკუნო იყოს ხსენება შენი, სახელოვანო მუშაკო და ქეშმარიტო მამულიშვილო!..

ს. ქვარიაძე,

2590 6658  
05697



არ დაემონო შავ-ბედს, სულა!  
 არ დაკამსხვრიოს ავის მკვეთარი!  
 იყავ მარადის მხნე, უძლეველი,  
 ვით კლდე და ლოდი ზღვაში ჩამდგარი!  
 დაე, ზვირთები აღქაფებულნი  
 იმ კლდეს სანგრევად ეჭახებოდენ  
 და, ვით ვეშაბი დამარცხებული,  
 მწარე დრიალით წვეთად სკდებოდენ!  
 დაე, შავ-ბედი, — უღმრთ ცხოვრებას,  
 გარს დაკდრინავდეს რისხვის მკვესარი  
 და კესობდეს მწვავ შხამიანო  
 გამბტურცილი მისგან ისარი!  
 დაე, მოგიზნოს თავისუფლება  
 და დაგანახოს ბნელი სამარე,  
 — არ შეკარეოს, ჭიკა, მტარვალმა  
 მისი მებრძოლი თბლად მდგომარე!  
 დაე გიტანჯოს ტურთა სამშობლო,  
 ერის ცრემლებით მოგიდოს ალი,  
 მაგრამ შენ მაინც იდეგ მამაცად,  
 — არ შეკამჩნის მტერმა მტირალი!...  
 დაე დაგიტყნოს რწმენა, იმედი,  
 ვით მშვენიერი ნაზი სუბშული,  
 დეჰ, ამოგწოფოს ნეტარებანი,  
 სატროფოს დალატით მოგიკლას გული...  
 არამც და არამც არ შეკრთე, სულა!  
 იყავ შავ-ბედის ბასრი მკვეთარი,  
 იყავი მარად მხნე, უძლეველი,  
 ვით კლდე და ლოდი ზღვაში ჩამდგარი!...



...თუ არა მდენს მხოლოდ...  
...ლოცვის...  
...მინდობის...  
...იმ...  
...იმ...  
...იმ...

**დაშურალი წყარო.**


ვინ ღმერთო ძლიერო, კურთხეულ იყოს შენი ვანგება!.. მაგრამ რა შეგცოდნე, რომ ასე მამკირებ?!.. რა ვიყავი და რაღა ვარ? მრავალ საუკუნოების განმავლობაში თავ-მომწონედ ამოვჩუხჩუხებდი დედა მიწის გულ-ლიდან და ჯერ აუხად დაგუბებული წანწკარით გადავდგადმოვდიოდი აქეთ-იქით, რომ ჩემ გარეშემოს აიახმად ვსხურებოდი და მცენარეობა ამეპიბინებია. ვახარებდი მიდამოს და ისიც შემომხაროდა! მე ვაშვენებდი მას და ის მამკობდა მე!! დიახ, ჰარმონიულის შეთანამებით ვაძლიერებდით ერთმანეთს!.. დღეს?!.. დღეს მარტო ხსნოვნა-ლა დაგვრჩენია ორივეს!.. და განა შეიძლება დავიწყება იმ დღეების, როცა მზის სხივები გულში ჩამთინათინებდნ და შიგ ცის ლაქვარდი მებატებოდა? ანუ ღამით, ჩემს მახლობლად აკოკრებულ ვარდს რომ ეშხით გაბრუებული ქვრინი (ბულბული) ეჭიკჭიკ-ეხმა ტკბილებოდა და მათი ნეტარებაც ღამის ნიავს სუბუქ ფრთებით ოთხივე კუთხით გადაჰქონდ-გადმოჰქონდა!.. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ დამწაფებია გულ-გაუფილილი მუშა, ოფლი რომ წურწკურით ჩამოსდიოდა და გაუგრილებია პაპანაქებით გახურვებული შუბლი? რამდენი-თვის წყურვილი მომიკლავს! რამდენი გამიწმენდ-გამიბანია და არ მიკითხავს: ვინ ყოფილა და საიდან? სამტროდ მოსული, თუ სამოყვროდ?—მაშინ მე ყოლიფერი





ვარდისფრად მეჩვენებოდა! ყოლიფერს შეეხაროდნი,  
 ყველას გულწმინდად ვეგებებოდი!!.. რა ვიცოდი, თუ  
 ვარდთან ახლოს ეკალიც იქნებოდა და ყვავილების  
 ძირში გველ-ბაყაყები ბუდობდენ? ბელმა გამწირა, ნია-  
 დაგმა გამსცა და ძირი გამითხარეს!.. უკუაქციეს ჩემი  
 სწორ-მსვლელობა... დავეშვი ქვესკნელისკენ და ჯურ-  
 ღმული მფარავს... ზედა-პირი კი მიშრება და ოღნავ-  
 ღა ვფონავ!.. თავზე შამბმა და ეკალმა გადამიარა. შიგ  
 უნავსები მრავლობენ: წარსულმა ფერი იცვალა: ჩემ  
 გარშემო ოდესმე აყვავებული და დღეს კი დაკნინებუ-  
 ლი მიდამო საცოდავად შემომყურებს, თითქოს მესა-  
 ყვედურება: რად მილალატეო?... ..

შეგრულ-ქართველი.



ჰ ო ლ, ო უ ა რ ა!

არა, მე უნდა გადვიდე აქედგან, ნაღვლიანის ხმით წარმოსთქვა გიორგიმ და ძირს დააჩერდა იატაკს, რალაც დაღვრემილის სახით, თითქოს იქ ეძიებს მიზეზს თვისის სულის კვეთებისასო. გადვიდე, მაგრამ?.. არა, არ გადავალ. ის, ის ყველაფერია ჩემთვის, ჩემი სული და გულია, ერთ წუთსაც ვერ დავშობ. ოჰ, ღმერთო! ის ხომ დამავიწყდა, რომელიც ჩვენს მოქმედების შუაში გაჩერებულია! ერთი წამი და!.. მისი სიცოცხლე უნდა მოვშხამოთ!!! ნუ თუ მისთვის წამოვედი ჩემს სამშობლოდგან, რომ სინიდისს და პატიოსნებას ვუღალატო?! დიახ, უნდა ვუღალატო სინიდისიერ კაცს, რომელსაც თვისი ახალგაზრობის სიცოცხლე უსამართლოდ ტანჯულ-წამებულის დახმარება-მოდვაწეობაში ჩაუღვია და მტრის წინაშე ბევრჯელ შიმშილ-წყურვილით უბრძოლია, და ბოლოს დაღალულ-დაქანცული ერთ შვენიერ ჩრდილ ქვეშ შეფარებია. უხ! ღმერთო, იმ ჩრდილში დღეს მე უნდა მოვისვენო. მე, რომელსაც არა ვითარი შრომა არ მიმიძღვის, არავითარ სულიერის წინაშე, თორემ სამშობლოსადმი?.. გიორგიმ აქ ძალზედ ამოიხენეშა. არა, არა, მაგას ვერ ვიზამ! განრისხებულად დაჰკრა იატაკს ფეხი, თითქოს ახლა აძალებენო, და წამოვარდა გაფითრებული. — ყველაფერს თავის ლაქი მოშორდება, ესენი გაირეცხება და ისევ თეთ-

რი და წმინდა იქნება — და ფეხი წამოჰკრა მის ქუჩკიან საცვლებს, რომელიც იქვე ეყარა, თითქოს ჯავრს ყრილობს და ეჩხუბებაო, ამ გულს კი რა გარეცხს, რა მოაშორებს იმ ლაქს, რომელსაც ეხლა აპირებს წაცხებას, და მით უნდა გახდეს მოღალატე! ოჰ, დედაკაცო, რამდენადაც სანატრელია და სამხიარულო შენი შეყრა და გაცნობა, იმდენადვე სამწუხაროა და სავალალო შენთანვე დაახლოება, რადგან არა გაქვს სიყვარულზედ დადებული სამზღვარი! ვინ არის, რომ შენ შვენიერებას არ დაემორჩილოს, ვინ არის, რომ შენს წინაშე თავი არ მოიხაროს, მუხლი არ მოიდრიკოს, მაგრამ, ვინ არის, რომ შენითვე არ დატანჯულიყოს, მწარე ცრემლები არ დაედვაროს!!! თვით მპყრობელი მაგარი სიყვარულის ჯაქვებისა, მაგრამ თვითვე დამმტკრევი და დამღეწი მით შეპყრობილ სიყვარულისა!.. გიორგიმ დაიწყო ჩქარი სიარული მის პატარა ოთახში, რომელიც სამი ნაბიჯით თვდებოდა, და თან გაიძახოდა, უსამზღვრო და დაუდგრომელო! ამ დროს კარები გაიღო და ერთმა შეწინებმა, ყოველისფრით მოხდენილმა სანდომიანმა არსებამ — ოთახში შემოდგა ფეხი, მაგრამ იქვე შეწერდა, რადგან გიორგის ჩვეულებრივი აღელვება შეატყო. ახედ-დახედა იქაურობას სასიყვარულო თვალთ, შემდეგ შეეკითხა: გრიშა „პური და კარაქი არ გნებავს?“ გიორგი შეკრთა, რადგან არ ელოდა ამ დროს მის შემოსვლას და უცბად შეწერდა, მერე ხანტად გაიხმორა და არეულის თვალებით ქალისკენ გადაიხედა. — უსამზღვრო და დაუდგრომელო, ჩაილაპარაკა მისთვის. „არ გნებავს პური და კარაქი?“ განუმეორა ნაზის ხმით ქალმა, რომელმაც მისი სიმპატიური თვალები გადაასრიალ-გადმოასრიალა, თითქოს ამით

უპირობს გიორგის მოღობობასო. ოხ! განათლებავ, ეს ხომ ინტელიგენცია, ნუ თუ წილი უდევს ამ შვენიერების გასალახანებაში, ნუ თუ არის მიზეზი?! არა! არა, ეს რაღაც ცხოვრების მიზეზია, თორემ განათლება, სინილისი მაგას ჩაადენინებს? ის პირ-იქით ჰფარავს და აქრობს ადამიანში ყოველ მხეცურ გრძნობებს, და ზრდის იმას, რაც კარგია და ცხოვრების გამაუმჯობესებელი. მაგრამ, არა! ნამდვილი განათლება შენთან არ არის. შენ მხოლოდ ინტელიგენტის სახელს ატარებ მისთვის, რომ სკოლები გაგივლია და მეტი არაფერი! გიორგი სუსტად და მოსხლეტით ლოგინზე დაეშვა, თითქოს ათი დღის მშვიდობა. თუმც სასმელ-საქმელი უხვად ჰქონდა, მაგრამ მადა კი დაჰკარგოდა ამ ფსიხიურ ბრძოლაში. გიორგის ასეთი შეწუხება ქალმა ვერ მოითმინა და არეულმა სიბრაღურ-სიყვარულისაგან უთხრა: „ეჰ, თქვენც...“ და მიახლოვდა ლოგინთან, გაიწოდა მისი მშვენიერი შხვართი ხელები შუბლზედ მისადებლად. გიორგიმ კი ამ დროს წამოიწია და ქალს გადახედა; გადახედა ვითომ-და დაწყნარებულად, მაგრამ სახეზედ მაინც არმული ასდიოდა: „ეს რა სიცხე გაქვსო“ და მზრუნველობით შუბლზედ დაუწყო ხელის სმა ქალმა. გიორგიმ ერთი ამოიხვნეშა და ხელი-ხელზედ მოჰკიდა, ნელა აათვალიერ-ჩაათვალიერა და თავი მწუხარედ გადააქნია. რა მშვენიერია, რა საყვარელია, მაგრამ რად ვარგა ისეთი მშვენიერება, თუ ვერავის გულს ვერ დაინდობს და წმინდა სიყვარულს, ერთ ვინმეში ვერ შეაყენებს, ვერ დაისადგურებს მის გულში, ვისაც წინად თავს ანაცვლებდა და წმინდა სიყვარულს ეფიცებოდა!.. განა არ ვიცი, რომ ჩემშიდაც არ გექნება შენ დიდხანს ბინა სიყვარულისა? განა არ ვი-

ცი, რომ მოლალატე თავის თანამგრძობ ქმრის, მოლალატეა ყველასი! სწორედ ამ დროს ქალმა ისეთი სახით შეხედა გიორგის, რომ აგრძობინა „მე აღამიანი ვარ და თავისუფლება მინდაო.“ — თავისუფლების თანახმა ვარ, მაგრამ ეს რა თავისუფლებაა, როდესაც ქმართან ცხოვრობ, მისის ნაშრომ-ნაოფლარით რჩები, იმავე დროს სხვას ეტრფი და საყვარელს იჩენ! ერთად იმავე დროს, როგორც ქმარს, ისე სხვებს ვალერსებით? და ამას ყველას მოქმედებთ ქურდულად, კრძალვით, რაც ხშირად მკვლევლობით თავდება, და არა თავისუფლებით! ნეტავ ვიცოდე, რად მარცხდება ამ მხრივ განათლება და ვერ აკვეცს ფრთებს შენს უსამზღვრო სიყვარულს? მაგრამ მას უთუოდ ხელს უშლის შენი მშვენიერი სილამიზე და კიდევ შეიძლება ცხოვრების პირობები, რადგან მრავალი ინტელიგენტი კაცები მაგ მხრივ ითმენენ, და სიყვარულს ერთ ვინმეში ვერ ასადგურებენ?..

ღმერთო! წამოიძახა გიორგიმ და თავდაღმა ჩაემხო ლოგინზედ. გიორგის ამ გვარმა ქცევამ ქალი მოთმინებიდან გამოიყვანა და დაუწყა თამაში, შუბლზედ ხელი გადაუსვა და თმის სწორება დაუწყა! შემდეგ თავის შუბლზედაც გადისვა ხელი, რითაც გაათავისუფლა ქუჩურო ბაღნებისაგან თვისი თეთრი შუბლი, ტუჩი შეიწუწნა და გიორგის მიეკრა გულზედ. გიორგიმაც იგრძნო ქალის მკრთოლვარე გულ-მკერდი, რომელიც რბილად და სასიყვარულოდ ეკვრობოდა. სიუჟე ჩამოვარდა, მხოლოდ მძგერავი გული, როგორც ქალის ისე კაცის, არ წყნარდებოდა და ბაგა-ბუკით ერთი მეორეს ესაუბრებოდა; მაგრამ იმ წამშივე გა-

მოფხიზლდა გიორგი ქალის მომაჯადოებელ ალერსი-  
დან. — ღმერთო, ამას რას ჩავდივარ!?!.. და წამო-  
ვარდა. ქალი კი თვისკენ იზიდავდა და არ უშვებდა. —  
არა, არ შემიძლია იმის დალატი, გესმის, ის ღვთიუ-  
რი ადამიანია, მხსნელია უმართლოდ — ტანჯულის? და  
შენ ევა ხარ! ევა ჩემი შემცდენელი, რომელიც ამ ქვეყ-  
ნიერად უხამს მასხამ გულში და წუთიერ სიცოცხლეს  
ჯოჯობეთად მიქცევ, რომლითაც მწყვეტ საუკეთესო  
ჩემ ნაცნობებში! ოხ, იმის სათნო თვალებმა აგერ სად  
გაიელვა! რაღასაც მანიშნებს? შეხედე იმის დანაო-  
ქებულ შუბლს! ღმერთო, რა ტანჯვაში ვარ ჩავარდ-  
ნილი, ათას წილად მირჩევნია ამ მდგომარეობას ბნე-  
ლი საკანი. იქ მაინც მარტო საკანი და სიბნელეა? აქ  
კი სიყვარული ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მოლა-  
ლატეობა? მოლალატეობა საუკეთესო მეგობრის! და-  
სუსტებული გიორგი ისევ წაიქცა ლოგინზედ. რაკი  
ნახა ქალმა მის გვერდით წაქცეული გიორგი, ისევ მაგ-  
რად მიეკრა გულზედ და უნდოდა, რომ ეკოცნა,  
რას შერები, შესძახა გიორგიმ, ნუ თუ დაგავიწყდა ის,  
რომელიც შენს გულშია მოსვენებული, რას ეტყვი, რა  
პირით შეხედავ? ნუ თუ ფეხი არ გეცვლება, სული არ  
შეგიშფოთდება, როდესაც გეცოდინება შენ იმას ულა-  
ლატე და სხვა შეიყვარე? დიახ, რა პირით შეხედავ,  
როდესაც მის ნაშრომ-ნამოღვაწევ გაშლილ სუფრაზედ  
დაჯდები მის გვერდით მოლალატე, მოლალატე იმ მუ-  
შაკის, რომელიც ტანჯულ მოძმეებს თავს სწირავს! ასე-  
თის უსამართლოებით გულ-განგმირულმა შენ მოგმარ-  
თა! სულის მისწრაფება შენს სულს შეუერთა, და  
ცოტაოდნად დასტკბა, და შენ კი ამავე დროს ულა-



ლატე? არა! თუ მაინცა და მაინც! წადი, ჯერ იმას უთხარი უარი სიყვარულში! გამოეთხოვე! შეიძლება მიგიღო! უხ, ღმერთო, რა ვსთქვი! რა ვჰქნა!..

გრიშა, გრიშა, ყურში ჩასჩურჩულა ქალმა! ამ წამს ვეტყვი უარს, მხოლოდ შენ... და ისე მიეკრა გულზედ, რომ თითქოს აქ ორი ადამიანი არ სჩანსო! გრიგოლიც შეჩერდა მშვიდათ, ქალისკენ მოიხედა და გულ-დაწყვეტილად გადაათვალიერა ყოველი მისი სილამაზე. რად არის ამ ლამაზ სხეულში ეს გათახსირებული სული!

ნუ თუ სხეულია დამნაშავე და არა სული? არა, არც ერთი არ არის დამნაშავე! მხოლოდ ცხოვრება და მისი დუღილი, რომელიც უსამართლოებით მწვავე ცეცხლზედ სდუღს!!! ფიქრებით მოცული გრიგოლ უძრავად იყო გაჩერებული! როდესაც ქალმა დაუწყა თამაში კიდევ და კიდევ დასძლია აღმოსავლეთის ბუნების შვილი სიყვარულმა, მან თანაგრძნობის სახით იგი მისწია ქალისაკენ, ქალიც წარმტაცი მშვენიერი სახით, რომელიც იმ დროს უმეტესად ელვარებდა, და ამ რიგად ტუჩი ტუჩს მოხვდა და ისე უნებურად შეაწუწუნეს, რომ თითქოს, ორივე თანახმა არიანო! მაგრამ გიორგი იმ წამშივე შეკრთა. ღმერთო! ნუ თუ დამძლია? არა, იმას ვერ დავივიწყებ, როდესაც ჩემმა ნაცნობმა აქ ბინის შოვნის დროს დამარიგა! შენ გესმის: კკუით იყავი, არ შემარცხვინო, როგორც მე, ისე მთელი საქართველო! თავი კარგად დაიკავე, ეს განვითარებული ოჯახია და ჩვენში ამოიკითხვენ მთელ კავკასიის ცხოვრებას! ისედაც მრავალ-გზით ტანჯული, ნუ თუ მე კიდევ უნდა შევარცხვინო და ვაწამო ჩემის მოქმედებით! ნუ თუ ამ ბედკრულ საქართველოს შვილმა,

კული ქცევა ვუზენო ყველა აქ მცხოვრებს და უმეტესად ამ პატიოსან ვაჟთან, რომელსაც ეხლა ვუპირობ ლალატს! რომელი ლალატია უარესი?! ის, რომელმაც მტერს ამხილა ამისი მოქმედება! თუ ეს? არა, ეს უმეტესია, საუკუნოდ ფსიხიური ტანჯვა. არა, მაგას ვერ ვიხამ!.. წარმოიდგინა ისიც—თუ რანაირად უვლიდა ავადმყოფობის დროს ეს პატიოსანი კაცი! მასთან გაითვალისწინა ამ ოჯახის მშვიდათ და სიყვარულით, წინანდელი ცხოვრება, და ეხლა კი კოლ-ქმარ შუა არეულობა და ამ არეულობის მიზეზად თავის თავი დასახა!

ოჰ, მე, რომელსაც არ მინდა შეურაცხება მივაყენო თვით ჩემს მტერსაც, ეხლა კი შეურაცხვეო ჩემი ძვირფასი მეგობარი? არა, შენს ღმერთს მიმადლე, მომშორდი, შენს შუა და ჩემს შუა ბევრი რამ არის საწინააღმდეგო! ჩვენის სიყვარულით ნუ მივსცემთ ამდენ პატიოსან კაცს ტანჯვაში, ნუ გამხდი ყველასაგან შერცხვენილს და თითოთ საჩვენებელს! ეხვეწებოდა გიორგი, მაგრამ ქალი არ იძვროდა ლოგინიდან. არ გესმის, წამოდექ, თუმც სიყვარული მაგარია, მაგრამ დიდია სინიდისი და მისი უარის ყოფა არ შემიძლია, თუმც მიყვარხარ, მაგრამ როგორი სიყვარულია, როცა სინიდისზედ და პატიოსნებაზედ შავ ხაზის მოსმით მოლაღატეობის სახელს მდებ? გთხოვ გამშორდე, მოიკრიბე შენც ძალი დიდი სინდისიერების, რომელიც ადამიანში აქრობს ყოველ მხეცურ გრძნობებს! იცოდე, რომ ამ საქმით დაიშახურებ შენ უსინიდისოს სახელს. და არ მინდა გულით საყვარელს უსინიდისოს სახელი ჰქონდეს დამსახურებული. არ მინდა შენ იყო ამ საუკეთესო წრეში გამოწყვეტილი! ქალს ეს ლაპაკი არ ესმოდა და გიორგის ეკვროდა გულზედ! რაკი შე-



ატყო გიორგიმ, რომ ამაზედ სიტყვა არ გასქრისო, ხელი მოჰკიდა და ნელა იქვე კარებში გააცილა. ქალმაც შენიშნა გიორგის მეტის-მეტი უარის ყოფა მისდამი სიყვარულში, ტირილი დაიწყო, და მალალის ხმით მიაძახა წასვლის დროს: „აზიელი მხეცია, აზიელი!“ აღელვებულმა გიორგიმ მიაძახა—შენ რაც გინდა მიწოდე, ყველაფერი დამიძახე, ოღონდ იმათ წინაშე მქონდეს სინიდისი პატიოსანი, რომ არ ვშიშობდე იმათ შეხვედრას. ეს ხმა მიწვდა ყურში იმ შესამესაც, რომელიც გვერდით ოთახში სწერდა რაღასაც. „რა იყო, რა მოხდა? წამოიძახა და გიორგის ოთახისკენ გაექანა. გიორგი ამ დროს ბარგს უყრიდა თავს,—არა, მე უნდა გადავიდე აქედგან, აქ ვერ დავდგები! ამ მოქმედებას როგორც შეხედა ამ პატიოსანმა კაცმა, შეიგნო, რაც მომხდარიყო მათ შორის და უგრძობლად დაეშვა სკამზედ. გიორგიმ კი ბარგს თავი მოუყარა და მეეტლეს გადასძახა ფანჯრიდან! მეეტლე წამს ამოვიდა, ბარგი წაიღო. გიორგი კი კანკალით მივიდა ამ პატიოსან კაცთან და აღელვებულის ხმით უთხრა: მშვიდობით, შეგაწუხე, მაგრამ მომიტევე, როგორც მე ისე... დამნაშავე მხოლოდ მე ვარ და არა... და გადაკოცნა რამდენჯერმე. ეს კოცნა აქ ყველა კუთხეებმა განიმეორა, თითქოს ესენიც კოცნით ემშვიდობებოდა გიორგისო. რამდენიმე ხმა ქალსაც ჩაესმა ყურში. ეხლა კი დარწმუნდა, რომ ნამდვილად მიდიოდა მისი სულთა-მხდელი. ამ დროს გიორგიც მიუახლოვდა მის საწოლ ოთახის კარებს, რადგან ქუჩაში გასასვლელი დერეფანი მის კარების წინ გადიოდა და აღელვებით გასძახა ზი...ზ, რომელიც წაბარბაცდა, მაგრამ მეეტლემ შეაჩერა და ნე-

ლა კიბეზე ჩაატარა. შერე ეტლში ჩასვა და ჰკითხა: „საით  
წავიდეთ?“ მაგრამ პასუხი არ იყო და მკედარ-ცოცხალ  
გიორგის ე...ვის ფართე და ლამაზ ქუჩებში მიაქანებდა  
გაოცებული შეეტღე!!!

ე. კდიშერიშვილი.



ვაშა გმირსა, გმირად შობილს,  
 სამშობლოსთვის თავ-დადებულს,  
 ვით ტარიკსა ცით მოვლენილს,  
 ქვეუნიანს მსხვერპლად გამზადებულს!..

ღამზარს სანთლად კარდაქმნილსა,  
 ვინც ქვეუნიანს წინ იწვის, ღნება  
 და მისთვისვე შეუწირავს  
 სპირადღო თვისი მცნება!..

ვინც თვისი „შე“ გააქარწულა  
 საზოგადო საქმის წინა  
 და თავის სწორ-უზოვრობით  
 იუდაც კი შეარტყვინა!..

თავი თვისი ქვეუნიანს საქმეს  
 შესწირა და მოანდომა,  
 სული, კული ამსახურა,  
 შეათვისა, შეატომა!...

იდეალურ მოქმედებით  
 გონების და გრძნობის ცად-მუვანს—  
 ღვაწლით მოსილ მამულიშვილს  
 შეც და ბევრნი სცემენ თავიანს!..

მაგრამ ბევრთ-კი წესდა აქვსთ,  
 რომ მას შურით შეუეფეონ,  
 რათა ამგვარ მოქმედებით  
 თავისი „შე“ გაამეფონ...

და ამისთვის გამოსცემენ  
 ხმასა „უეფად“ ჩასათვალსა!  
 საბრალონი!—გერა სცნობენ,  
 ვინ კარგს ესურისთ ვინ ღამზადსა!..

**ქართველთა უძველესი კულტურა და როლი  
მსოფლიო ისტორიაში.**

(მეცნიერ. მორგანის აზრი. \*)

დღეს საყოველთაოდ მიღებულია ის აზრი, რომ კავკასიის და მცირე აზიის ხალხებს დიდი როლი შეუსრულებიათ უძველეს დროში და დიდი გავლენა ჰქონებიათ ძველ ისტორიულ ერებზედ. მაგრამ რაში გამოისახებოდა ეს გავლენა და ეს როლი, რას წარმოადგენდა მათი კულტურა, რა ჯურის ხალხები იყვნენ თვით ისინი, რა რიგ განვითარდნენ, რა შეჰქმნეს და სხ. ყველა ესენი ბუნდოვანი იყო უკანასკნელ დრომდე.

მეცნიერთა საოცარმა ენერგიამ და თავგანწირულობამ სძლია და გამოიკვლია დაწვრილებით საბერძნეთის წარსული და ცივილიზაცია, ეგვიპტეს, ასურეთის, ბაბილონის, კართაგენელთა, ებრაელთა და ფინიკიელთა ძველი კულტურა; მეცნიერებამ უბოვა კლიტე და

\*) J. de Morgan: „Mission scientifique au Caucase“. Etudes archéologiques et historiques. 2 vol. Paris, 1889.

აღმოიკითხა იეროგლიფები და უძველესი ლურსმული წარწერანი; არქეოლოგიამ მიწის თხრით აღმოაჩინა ბერძენთაგან დაღუპული ძველი სამეფო ტროა, მონახა გმირის აქილესის საფლავიც კი, მაგრამ ამ მეცნიერებამ ამ ბოლო დრომდე ვერა-რა უყო მცირე აზიის და კავკასიის მკვიდრთა წარსულს. ეს რჩებოდა დღემდე სფინქსის ამიკანად და მისი აუხსნელობა აჩენდა დიდ გაუვალ ხრამს, ჰქმნიდა დიდ ღია ფურცელს ისტორიულ მეცნიერებაში და მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში.

მაგრამ მეცნიერებამ ახსნა მრავალი საოცარი ამიკანა, ახადა ფარდა ბუნების და ცხოვრების საიდუმლოებათ, მოჰფინა სინათლე მრავალ მოვლენათ, ექვი არაა არც ეს ამიკანა დარჩებოდა აუხსნელი. ეს ითხოვდა მხოლოდ დროს და აჰა, დროც მომწიფდა მისთვის! პირველი კლიტე, პირველი საფუძველი კავკასია-მცირე აზიის უძველეს ისტორიას ჩაუდგა, რამდენადაც ვიცით, ვნახ წარწერებმა. სომხებმა გადმოიღეს წარწერანი უძველეს ნანგრევთაგან და წარუდგინეს გამოჩენილ ორიენტალისტებს. მათ ეგონათ ეს თავიანთ წინაპართა ნაშთები და ეგონათ მით მოჰფენდენ ახალ ნათელს თავიანთ წარსულს და უძველეს კულტურას. მაგრამ რა იყო გაცემა მეცნიერთა და გაცხარება სომხთა, როცა ლინგვისტებმა აღმოიკითხეს და სცნეს ეს წარწერანი... ქართულად და არა სომხურად. სიტყვები, ღრამატიკული ფორმები და სხვა თვისებანი ამ ვანის წარწერებისა აშკარად ამხელდენ ქართულის ნათესაობას და არავითარ კავშირს არ ნასკვავდენ სომხურ ენასთან. ეს წარწერანი ნათლად დადასტვინდენ, რომ ახლანდელი სომხეთი უძველეს დროში

ჰსკერია ანარქტელებს ანუ აღაროდებებს, ქართველთა მონათესავე ხალხს, ქართველთა შტოს, რომელიც ერთ დროს ყოფილა ფრიად კულტურული, ძლიერი და გავლენიანი... — ისე დაემართათ ჩვენს პატრიოტარ სომხებს... ამ წარწერებით და სხვა აშკარა საბუთებით აღმოჩნდა, რომ სომხები ყოფილან აზიიდან მოსულნი, დამკვიდრებულან მეზვიდე საუკუნეში ქრისტემდე არმენიაში და აქ მათ არავითარი ძველი კულტურა არ შეუქმნიათ.

ეს წარწერანი შეიქნენ... მეცნიერთათვის... დიდებულ აღმოჩენად და იმ თილისმურ კლიტედ, რითაც შეეძლოთ გაეღოთ კავკასია-მცირე აზიის წარსულის საიდუმლოებანი. მართლაც ეს ორიენტალისტები შეუდგენ ამ წარწერათა შესწავლას, შეუდგენ ძველ აკლდამების თხრას, ძველ ციხე-ნანგრევთა გადასინჯვას, ენების შესწავლას, ასურეთ-ბაბილონის და ეგვიპტეს უუძველეს ნაშთთა და ნაწერთა შემოწმება-გადასინჯვას, და ყოველივე ამათმა მათ აუხილა თვალები, და ანახა ქეშმარიტება და მოჭფინა სხივი მსოფლიო ისტორიას. ამიერიდან ივსებოდა ის ღია ფურცელი; ამიერიდან იმ გაუვალ ხრამზედ კეთდებოდა ხიდი, რითაც შესაძლო იყო აეხსნათ სრული პროცესი მსოფლიო ისტორიისა.

ამ საქმეს მოჰკიდეს მტკიცეთ ხელი ამ გვარმა გამოჩენილმა ორიენტალისტებმა, როგორიც არიან მომსენი, რიტტერი, საისი, გატტერიასი და სხ. მაგრამ ამ საქმეში ყველაზედ მეტი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ მეცნიერ-ორიენტალისტს ლენორმანს. ამ ბოლო დროს ამ კითხვას მიჰყო ხელი მეცნიერმა მორგანმა, რომლის აზრებზედ და გამოკვლევებზედ მსურს აქ შევჩერ-



დე და გაეაცნო ჩვენს მკითხველთ. მას შემდეგ რემოცობა და დრო-მოკალება ხელს შეგვიწყობს, ვეცდებით გაეაცნოთ მკითხველთ სხვა მეცნიერთა აზრებიც კავკასია-მცირე აზიაზედ და კერძოდ საქართველოზედ.

როგორც სიანს ამ შემო-თქმულ მეცნიერთა გამოკვლევით, მთელი ცენტრალური მცირე-აზია სირიიდან ვიდრე ასურეთ-ბაბილონამდე და მთელი ამიერ კავკასია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე სჭერია ერთს მონათესავე ხალხს, რომელიც ლაპარაკობდა თურმე ერთ ენაზედ, შეუქმნია მაღალი კულტურა, აღმოუჩინია პირველად ლითონთა და მეტადრე რკინის ხმარება, რასაც კაცობრიობის წარმატებაში აქვს ფრიად დიდი მნიშვნელობა, გაუმართავს კავკასიაზედ გზა ინდოეთამდე და ამ რიგად დაუახლოვებია, გაუცვინია და დაუკავშირებია ერთმანერთისათვის დასავლეთ-აღმოსავლეთის კულტურული ერები, რასაც ექვი არაა, უუდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ურთიერთ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზედ და მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზედ; ეგრეთვე გაუნვითარებია სამხრევად მეურნეობა, მრეწველობა, კომერცია და სამხედრო ხელოვნება, ჰქონებია დიდი კულტურული გავლენა ბერძნებზედ და აღებ-მიცემობა, როგორც მათთან ეგრეთვე ფინიკიელებთან, ინდოელებთან, სპარსებთან და მეტადრე ეგვიპტელებთან და ასურეთ-ბაბილონელებთან, რომლებთანაც ჰქონებია ეგრეთვე საშინელი ომები.

ეს ხალხი ყოფილა დაყოფილი რამდენიმე სამთავრო-სამეფოებად, რომელთაც რქმევიათ სხვა-და-სხვა სახელები. უმთავრესი ყოფილან: ხეთელები, ნაირები, ალარელები, თუბალები, მისოხები და სხვ. ზოგი მეცნი



ერი ამ ხალხებს ხადის თვით კავკასიაში დაბადებულად დამოუკიდებელ ტომად და მათ ენას უწოდებს ქართულ ენად. ზოგიერთს-კი ისინი გამოჰყავს უხსოვარ ღროიდგან ცენტრალურ აზიიდან (პამირიდან) და ნათლავს თურახულ ტომად, ანუ თეთრ ალფთაფუფად (les blancs Allophytes). ყველანი კი ერთხმად ამ ხალხებს და მათ ენას უკავშირებენ ახლანდელ ქართველებს და ხადიან მათ ამ უკანასკნელის წინაპრებად. რომ მართლაც ისინი ქართველნი ყოფილან, ამას მოწმობენ, როგორც ვანის წარწერანი, ეგრეთვე ასურელთა წარწერანი, ეგვიპტელთა და ხეთელთა იეროგლიფები, ძველი მანუსკრიპტები, ლეგენდები, ზღაპრები და მეტადრე არმენიის და მცირე აზიის მრავალ მთა-გორათა, მდინარეთა, სოფელთა და ციხე-ქალაქთა ქართული სახელები.

## II

დღეს მეცნიერებამ, თუმც უკვე იშოვა კლიტე კავკასია-მცირე აზიის უძველეს მკვიდრთა ისტორიის შესასწავლად, თუმც უკვე აღმოაჩინა ბევრი რამ საგულისხმო მათ წინანდელ კულტურისა, თუმც საკმაოდ გაგვაცნო ხეთელთა, ნაირთა და ალაროდელთა რუქა, ძველი ბინადრობა, კულტურა, ომები, გავლენა და დამოკიდებულება მათი ეგვიპტესთან და ასურეთ-ბაბილონთან, მიუხედავად ამისა ბევრი და ძლიერ ბევრი რამ დარჩათ კიდევ ბნელი და განუხილავი. ორიენტალისტები ძლიერ ბუნდოვანად ხსნიან და თითქმის ვერ ეხებიან მოსოხთა, თუბალთა, კოლხთა, ალბანთა, იბერთა, კაბადოკიელთა და ქართველი ერის სხვა შტოების წარსულს, კულტურას, როლს, გავლენას და მათ ისტო-





რიულ მსვლელობას, — ამის მასალები ძლიერ ცოტაა შეთხზვენიერი, მაგრამ ესეც დროს ეკუთვნის. იმედია, ყოველად ძლიერი მეცნიერება დასძლევს ამ დაბრძკოლებასაც, შეიძენს საკმაო მასალას და ახლია ფარდას ამ ხალხთა წარსულის საიდუმლოებას.

— შევჩერდეთ ახლა ბ. შორგანზედ. ამ მეცნიერს უმეზავრია კავკასია-მცირე აზიაში ოთხმოციან წლებში; იგი მეტადრე შეჩერებულა სომხეთში ანუ არმენიაში, სადაც იყო ძველად ბინა ქართველთა ტომის: ხაჩუბის და ჯღარადიულების (არარატლების). მასთან ეს მეცნიერი, როგორც თვით იხსენიებს წინასიტყვაობაში, ჩავარდნია ხელში იმ გვარ პირთ, იმ ვიწრო და ბრმა პოლიტიკანებს, რომელნიც სცდილობენ მოსპონ ჩვენში ყოველივე ქართულის ხსენება. ეჭვი არაა, ის პირები კარგ აზრს არ ეტყოდენ ქართველებზედ და ეცდებოდნენ რაც შეიძლება, დაემცირებიათ ეს სახელოვანი ერი. მიზანს მიღწეულან. პატივცემული მეცნიერი აუმიჩატებია მათ უაზრო რაშვას და რამდენადაც იგი დიდის პატივითა, და ქება-დიდებათ იხსენიებს ჩვენს უუძველეს წინაპრებს, იმდენად აბუჩად და აგდებით ლაპარაკობს დღევანდელ ქართველებზედ: გვიწოდებს ზანტს, ზარმაცს, უენერგიოს, თავმიცემულს...

აქვე უნდა შევნიშნათ, რომ რამდენადაც ეს მეცნიერი იწენს დიდს ცოდნასა და დაკვირებას ქართველთ წინაპართა უუძველეს წარსულის შესახებ, იმდენად უმეცარია იგი ჩვენს ახალ ისტორიის, მატერიალურ და სულიერ კულტურის შესახებ. ეს ცხადათ სჩანს მის თხზულებიდან. ამიტომ ჩვენ გვაკვირვებს ამ შემთხვევაში ამ ბ-ნის არა-მეცნიერული სიმიჩატე და ასე ადვილი გადაწყვეტა იმ ერის

ბედისა, რომელსაც უხსოვარ დროში, მისივე სიტყვით, შეუქნია დიდებული კულტურა, ჰქონებია დიდი გავლენა მაშინდელ განათლებულ ერებზედ და მით მსოფლიო ისტორიაზედ, ყოფილა მასწავლებელი ძველი საბერძნეთის (რასაც შემდეგ განვიხილავთ), გადარჩენია ცოცხალი ისტორიის საშინელს გრიგალს, აურაცხელ მტერთ, შეუქმნია მე-10—12-ტე საუკუნოებში შესანიშნავი ხელოვნება და მწერლობა და თუმც ძლიერ დაქანცულა და დაცლილა სისხლისაგან, მაინც ამ პაწია გმირს, ქართველს არ გაუგდია ხელიდგან ჯვარი და თავისუფლების დროშა, არ დაუკარგავს ენა და ეროვნული სახე. მან მტკიცედ და სახელოვანად გადმოდგა ფეხი ამ საუკუნეში და მიძიმედ დაქრილი მარჯვენა ხელით გადასცა შესანახად თავის სიმბოლონი, თავის წმინდანებანი, — ჯვარი და თავისუფლების დროშა ჩრდილოს ბუმბერაზს, ერთმორწმუნე ძლიერს ერს, გაულო მას სტუმართ-მოყვრულად კარი, და მიიძინა მის კალთაზედ. ამ ქებულ ერს ეჭირვებოდა ძილი და მოსვენება ამდენი ხნის ბრძოლის, დაქანცვისა და სისხლის ღვრის შემდეგ, ეჭირვებოდა ახალი ენერჯის შეკრება მის მისუსტებულ ნერვთა ცენტრებს, — ესაა ბიოლოგიისა და ისტორიის კანონი! და აჰა, დაისვენა მან საკმაოდ... მან შეიკრიბა დაკარგული სისხლი და ენერჯია, გაიღვიძა და შეუდგა მოქმედებას, (მეტადრე მისი დასავლეთის ნაწილი), სცდილობს მიიშინას ევროპის ცივილიზაცია და სულიერი კულ-

ტურა და დაადგეს განათლებულ ერებთან ერთად პროგრესის გზას. ამ საკეთილო ნიშნებს ვატყობთ საბედნიეროდ საქართველოს უმთავრეს მხარეებში. მხოლოდ ვერ ხედვენ მას ბისტ-გადაკრული ვიწრო პოლიტიკოსები და მათი დამქაშები. ან შესაძლებელია, რომ ამ გვარი მხნე და გაუტეხავი და მაღალ-კულტურული ერი, ათას წელთა ქარიშხალს გადარჩენილი, დღემდე ცოცხლად მოსული, დღეს მოკვდეს, გადარჯულდეს, გადაგვარდეს, დაჰკარგოს თავის ენა და ეროვნება?! ამის იტყვის მხოლოდ უმეცარი, ერთა ცხოვრების და მსოფლიო ისტორიის პროცესის არა მცოდნე. და ჩვენ მით უმეტეს გვიკვირს ამ გვარი აზრი ცნობილ მეცნიერის პირიდან წარმოთქმული. ნუ თუ ასე იმოქმედა მის ფიზიკურ გონებაზე იმ ვიწრო პოლიტიკანთა სფერომ, რომელშიაც იგი ჩავარდნილა?!...

### III

ახლა განვიხილოთ მოკლედ ბ-ნ მორგანის თხზულება და ამოვჭკრიბოთ, როგორც თვით ავტორის, ეგრეთვე სხვა მეცნიერთა აზრები და გამოკვლევანი ჩვენს უუძველეს წინაპართა შესახებ.

როგორც ზევით ვსთქვით, ბ-ნ მორგანს მიუძღვნია ამ საგნისათვის ორი დიდი ტომი. მთელს თხზულებას ჰქვია სახელად: „მეცნიერული მისსია კავკასიაში; განხილვა არქეოლოგიური და ისტორიული“. პირველ ტომს

ეწოდება: „ლითონთა ზირველი ხანა რუსეთის არმენიაში (სომხითში), მეორეს კი: „კავკასიის ხალხთა სათავის კავშირგაუკანსო“

პირველ ტომში ავტორი იკვლევს უმთავრესად კავკასიის აკლდამებს, ეძიებს შიგ ლითონთა ნაშთებს, რომელთა შვენიერი სურათები მოთავსებულია წიგნში, გაუსინჯავს დაწვრილებით რედკინ-ლაგერის, ჯალალ-ოღლის, ახტალას, ლელვარის, მუსი-იერის, შეითან-თაღის, უჩ-კილისას და სხვა მრავალი, კავკასიის ნეკროპოლისები სხვა-და-სხვა ხანებისა. ამ ნაშთებით ადგენს აზრს კავკასიის უძველეს კულტურაზე და უძველეს ხალხებზედ. ავტორი ამ ხალხთ რაცხავს თურანლების მოდგმად, ეძახის თეთრ ადოფილებს და სხვავს ქართველთა წინაპრებად. აქებს მათ კულტურას და ეხება გავრით მათ ეგვიპტელებთან და ასურელებთან დამოკიდებულებას. მორგანის აზრით ეს ხალხნი ყოფილან წინად გამრავლებული და სკვრიათ ამიერ კავკასია და მცირე აზიის უმთავრესი ნაწილი, მაგრამ ეგვიპტელებთან და მეტადრე არიელებთან ომებს ფრიად შეუმცირებია მათი რიცხვი. ეს ერთ ენაზედ მოლაპარაკე და ურთიერთ შორის მონათესავე ხალხნი ყოფილან დაყოფილნი რამდენიმე თემებად, მათ შორის უმთავრესი ყოფილან: გატები (პიტები) ანუ ხეთები (ხეტები), ნაირები, ალადიანები, ანუ არარატელნი (ურარტები), (ალბანები), მოსოხები, ტუბალები (თუბალები) ანუ ტიბერიე-

ლები (იბერები) და სხვ. აი, ეს ხალხები ყოფილან პირველი კულტურის შემქნელი კავკასიაში და მომგონი რკინის ხმარებისა. მათ შეუქმნიათ ყველაზე წინაღ მეტალურგია. მათვე ჰქონებიათ დიდი გავლენა ძველ ბერძნებზედ. ამ წიგნშივეა მოთავსებული კავკასია-მცირე აზიის შვენიერი რუკები, სადაც ავტორი გვიჩვენებს ჩვენს წინაპართა ძველ ბინადრობას, და ეგრეთვე ალაგ-ალაგ ჩართულია ქართული, სომხური და თათრული სახელწოდებანი მათივე ასოებით.

აი რას ამბობს ბ-ნი მორგანი სხვა-და-სხვა ალაგს ამ პირველ ტომში:

— „დაბადების სიტყვით, ლითონთა პირველი მწარმოებელი ყოფილან ვავანები, თუბალები და მოსოხები ანუ იბერიელნი და კაპადოკიელნი ე. ი. ქართველები“ (გვ. 14).

— „1882 წელს მეცნიერმა პროფესორმა სეისმა (Sayce) აღბეჭდა თავის აღმოკითხვანი ვანის წარწერათა, რომელთა ენა მეცნიერმა გატერიასმა (Gateryias) საბოლოოდ გადანასკვა და დაუკავშირა ახალს ქართველთა ენის ჯგუფს“. (გვ. 22).

— „ასურელთაგან ნაჯობნი, სომეხთაგან გაყრილნი, სპარსთაგან, ბერძენთაგან, პართებიდან, რომელთაგან და თათართაგან დამონებული თეთრი ალოფილები, ე. ი. ალაროდიანები, თუბალები და მოსოხები ჩაიმწყვდნენ თავიანთ მთებში, სადაც დღემდე სცხოვრობენ მათი ნაშთი ქართველები, ეს ნაგლეჯნი დიდის ნაციისა, რომელთა ისტორია იმალება დროთა წყვედიადში“... (გვ. 25).

— „უუძველესი წარსული ჩვენ გვიხატავს კავკასიას მეტალურგიის ხელოვნების აკვნად.



— პრომეთეოსი (ამირანი), ეს ციური ცეცხლის მომტაცებელი, ითვლება მეტალურგიის (ლითონთა კეთების) პირველ მომგონედ. თვით მოსე იხსენიებს თუბალ-კაენს, ანუ თუბალ მკვდელს ლამეხის შვილს, რომელიც სკედდა იარაღს რკინისას და ფოლადისას 3000 წლის წინად ქ. შ-დე. დიახ, ეს დიდად ცნობილი ხალხი ლითონთა ხელოსნობით, ეს თუბალები, რომელთაც საკმაოდ გვაკნობენ ძველი კლასიკები, სცხოვრობდენ მცირე აზიაში, არმენიასა და მცირე კავკასიის ახლოს“. (გვ. 190—191).

— „სჩანს რომ მცირე აზიაში, არმენიაში და კავკასიაში სცხოვრობდენ თუბალები, მოსოხები და ხეთები ანუ გითები, რომელნიც ხშირად გამარჯვებით ებრძოდენ ფარაონთა იარაღს. ეს ერნი, რომელთა ისტორია დღეს ძლიერ ცოტადაა ცნობილი, იყვენ მრეწველნი და კომერციელნი (ვაჭარნი). პოლიტიკურის მხრივ მათი მდგომარეობა იყო მეტად მტკიცე და შესანიშნავი. ყოველივე ცნობანი აშკარად გვაძველენ, რომ ამ ერთ სკოდნიათ რკინის ხელოსნობა, რითაც სარგებლობდენ ასურელნი და ეგვიპტელნი. თუბალთა და მოსოხთა დიდი სახელი, რასაც იხსენიებენ უძველესი წყაროები, აშკარად გვაძველს თუ რად უცქერდენ ებრაელნი და ბერძნები კავკასიას, როგორც ლითონთა სათაურს“. (გვ. 194).

#### IV

მეორე ტომში, რომელიც შეიცავს სამასამდე გვერდს, ავტორი ეხება მცირე აზიის და კავკასიის ხალხების წარსულს, სცდილობს დაგვიხატოს თეთრი ალო-



ფილების უუძველეს ისტორიის სურათი, გვაუწყებს ხეთელთა, ნაირთა, თუბალთა, ალაროდელთა, მოსოხთა და სხვა მათ ნათესავ ერთა ცხოვრებას, მათ პირველ კულტურას და ცივილიზაციას, მათ მიერ გაყვანილ გზას კავკასიაზედ და მით დაახლოვებას და კომერციულ-კულტურულ განწყობილების შექმნას აზია-ევროპა-აფრიკის ხალხთა შორის; უმთავრესად გვიხატავს ავტორი იმ ჩვენს წინაპართა საშინელ ომებს ეგვიპტელებთან და ასურელებთან და მათ (ე. ი. ჩვენ წინაპართა) დიდ გავლენას ბერძნების ახალ-შენებზედ და ბერძნების პირველ კულტურაზედ. აქვე ამბობს, რომ საბერძნეთის მრავალი გამოჩენილი პირნი, დიდი პოეტნი და ფილოსოფოსნი მცირე-აზიიდან, ე. ი. ქართველ წინაპართაგან იყვნენო. ავტორი იკვლევს იმ ერთა ნაშთებს და აქებს მათ თავისებურ ცივილიზაციას. მორგანის აზრით, იმ ჩვენ წინაპრებს 2—3000 წლის წინადა ქ. შ-დე ჰქონებიათ ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო, მუდმივი კარგად დაიარაღებული და კარგად გაწრთვნილი მხედრობა, პოლიცია, სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი, ჰქონებიათ კარგად განვითარებული მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა, ყოფილან თითქო შუამავალნი მაშინდელ კულტურულ ხალხთა შორის, მათი შემაერთებელი რგოლი, ჰქონებიათ მათთან აღებ-მიცემობა, ყოფილან მეტალურგიის უუპირველესი მკოდნენი და მასწავლებლნი ელინთა ანუ ძველ ბერძნებისა. ამ რიგად, ამ ერებს, ჩვენს წინაპართ დიდი როლი აუსრულებიათ მსოფლიო ისტორიაში და მიუღიათ აქტიური მონაწილეობა კაცობრიობის განვითარებაში და ცივილიზაციაში. ეს არის სულ ახალი შეხედულება, სულ ახალი აღმოჩენა ცნობილ ორიენტალისტთა მეოხებით, რაიცა

ახალ სხივს ჰფენს ისტორიულ მეცნიერებას და სცვლის ძირეულ მის მრავალ შემცდარ ჰიპოტეზებს. ეგრეთვე ამით კერძოდ საქართველოს ისტორიას ეძლევა ფრიად მდიდარი მასალა და სრულიად ახალი მოულოდნელი საძიარკველი, რომელზედაც ჩვენი მომავალი ისტორიკოსნი ააშენებენ საქართველოს წარსულის და ტრადიკულ ისტორიის შესანიშნავს კოშკს. ექვი არაა, ამ აღმოჩენით და ჩვენს წინაპართა ამ გვარი როლით უნდა ვიქებდეთ თავს ქართველები, ხოლო არ წავბაძოთ კი „მკვეხარა ბატებს“. თუ ჩვენს წინაპრებს ჩაუდენიათ ის დიდებული საქმენი, ვეცადოთ ჩვენც წავბაძოთ მათ, რომ გავიწმინდოთ სინიღისი და ქვეყანას ვათქმევინოთ, რომ იმ დიდებულ ხეთელთა, ნაირთა, თუბალთა, მოსოხთა, აღაროდიელთა და კოლხთა თანამედროვე ყლორტი-ქართველობა არის ღირსეული ნაყოფი თავის ქებულ წინაპრებისაო.

ჩვენ წინაპართა ცხოვრებას ავტორი ჰყოფს რამდენიმე ხანად. პირველი ეპოქა იკარგება დროთა წყვდიადში და თანამედროვე მეცნიერებას ვერ მიუკვლევია ჯერ მისთვის. მეორე ხანაა ეგვიპტელთა ხანა. იგი ყველაზედ გრძელია 3000 წლიდან ვიდრე მეთოთხმეტე საუკუნემდე ქ. შ-დე. აქ კავკასია-მცირე აზიის ხალხთა შორის პირველი როლი მიუძღვისთ სეთებს. ავტორი საკმაოდ ვრცლად ეხება (რამდენადაც მასალა ნებას აძლევს) ამ ერის კულტურას და ცივილიზაციას, მის შესამჩნევ როლს მსოფლიო ისტორიაში და მეტადრე ჩერდება მის განუწყვეტელ ომებზედ ეგვიპტელებთან. გამარჯვება ხან ერთის მხრითაა ხან მეორის. ამ ერს ჰყავს მრავალი დამორჩილებული ხალხები კავკასია-მცირე აზიაში. ბოლოს და ბოლოს გამარჯვების სა-





სწორი იხრება ფარაონებისკენ (რამზეს XII-ს დროს) და დამარცხებული ერი სტოვებს თნდათან თავის ბინას და იწვეს დასავლეთით და ჩრდილოეთით. მეთოთხმეტე საუკუნიდან ამ გამოჩენილ ერის სახელი თითქო ჰქრება ერთიანად და მის ალაგს ისტორიულ ასპარეზედ გამოდიან კაპადოკიელნი (ლაზები ანუ ქანები) და კოლხები, რომლებიც წინად არ სჩანდენ. ექვი არაა, ხეთელნი დაბინადდენ იმ ადგილებში და სახელებიც შეეცვალათ, რაიცა მეტად ხშირი მოვლენაა.

მესამე ხანას ბ. მორგანი ეძახის ასსირაელთ ეზოქას; იგი იწყება მეცამეტე საუკუნიდან ქ. შ-დე. აქ მსოფლიო ისტორიის ასპარეზედ გამოდიან ცალი მხრით ასურელები, რომელნიც ძლიერდებიან მთელს მესოპოტამიაში და იპყრობენ მრავალ მეზობელ ხალხებს, მეორე მხრით-კი ძლიერდებიან მოსოხები, ნაირები და ალაროდნიანები. ამ დროს ხეთელთა სამეფო იფუშვის და ეცემა ერთიან, პელასგები (ბერძნები) აარსებენ ახალშენებს მცირე აზიის კიდეებზედ. ეგვიპტელნი დაღლილან და ისვენებენ. სწორედ ამ დროს ძლიერდება ასურეთი, იპყრობს ბაბილონს და ემზადება საომრად მცირე აზიაში და არმენიაში. აქ კი ამავე ხანში ძლიერდებიან მოსოხები, ნაირები და ალაროდნიელები. გალადებული ასურელნი სცემიან ამათ სათითაოდ და დაუმარცხებიათ, მაგრამ ამ სამ სამეფოს შეუდგენია კოალიცია, მიუწვევიათ საერთო კავშირში კავკასიის სხვა წვრილი ხალხებიც და რამდენჯერმე დაუმარცხებიათ საშინლად და განავარდებულან ასურელებზედ. ამ ომებს ჰქონებია დიდი გავლენა ორივე ხალხებზედ, იმათ გადმოუღლიათ ერთმანეთის კულტურა. მერე, სამ-

ამ მანაკაზინგ სოფლან ავ სოფლან ინაიჩი ერთი მ...

წუხაროდ, ეს კოალიცია ქართველ ხალხთა შორის დარღვეულა და სათითაოდ ისინი ადვილად დაუმარცხებია მტერს. ყველაზედ უფრო მესისხლე და ძალმომრევი ქართველთა მტერი ყოფილა ასურეთის მეფე თეგლა-ფალ-ასარი (Tegla-pal-Assar). დამარცხებულ ერებს დაუწევიათ ჩრდილოეთით. ამაზედ ამბობს მორგანი: „ცოტა რომ ჭკუით ყოფილიყვნენ ნაირები, თუბალები, მოსოხები და ალაროდიანები, შეერთდებოდენ (რადგან წვრილ სამეფოებად იყვნენ დაყოფილნიო), შამოილებდენ საუკეთესო იარაღს და გაბატონდებოდენ მთელ მცირე აზიაშიო, თან ადვილად დაამარცხებდენ ასურელებსო. მაგრამ მუდამ უთაურები იყვნენ და მაშინვე ძილს მისცემდენ თავსო, რასაც ვხედავთ მათ შთამომავალ ქართველებზედო, რომელნიც მალე გაჰქრებიანო. რამდენჯერმე გაილაშქრეს ასურელებმა ნაირში, ურარტაში და საერთოდ თუბალების ქვეყანაში და მუდამ დამარცხება და ამოწყვეტა შეიტანესო“. (იხ. გვ. 96—98).

მიუხედავად ამისა ურარტელები ანუ ალაროდიანები მაინც საკმაოდ გასძალებიან ასურელებს და გამარჯვება ძვირად დაუჯენიათ. აი ამაზედ რას ამბობს მორგანი:

— „ამავე დროს გაძლიერდა ვანის ახლოს თურანლების (ქართველების) ერთი შტო ურარტელები, რომელთაც გადმოიღეს ასურელთა ანბანი და სხვა ბევრი რამ, თვითონაც გაანვითარეს თავიანთი ცივილიზაცია. ურარტელებმა დაიპყრეს სხვა პაწია ხალხები და ძლიერ საშიში შეიქნენ ასურელთათვის. ეს მოხდა მეცხრე საუკუნეში. ატყდა საშინელი ომები ამ ორ „მოქიშვე ხალხთა შორის, გამარჯვება ხან ერთისაკენ იყო, ხან



მეორესკენ. დაბოლოს სძლიეს ასურელებმა<sup>\*)</sup> ყოფილა ურარტის ახლოს ქართველთა წვრილი სამეფონი, მაგ. მილიდები, ატუნები, კარალები, მოსშინები და სხვ. (გვ. 104).\*)

მეოთხე ხანას უწოდებს სპარსელთა ეპოქას; (558 წლიდან—325 წლამდე. ქ. შ-დე). ამ დროს და უფრო ადრეც, შავი ზღვის ნაპირებზედ ჩნდებიან ბერძნების ახალშენები. ირყენება და ეცემა ასურეთის გასუქებული და გალალეებული იმპერია. მოსოხებს, თუბალებს, ურარტელთ და ნაირებს კაი ხანია დაუტოვებიათ თავიანთი ბინა და დაუხვევიათ ჩრდილოეთით. ისინი გარდაქმნილან მესხებად, იბერებად, ალბანებად და ინგილოებად; მათ ძველს ბინას იპყრობენ ჰაიკები (სომხები), რომლებიც გადმოსულან ცენტრალურ აზიიდან და ეკუთვნიან არიელთა ტომს. სომხებზედ ერთ-ორ საუკუნით ადრე ჩრდილო კავკასიაში ჩნდებიან ოსები (ივრიანნი) არიელთა ტომი და ამიერ კავკასიაში კი მათი შტო ქურთები. ამ დროს მსოფლიო ისტორიის ფერხულში ებმიან ქაბუკი ხალხნი სპარსნი და მიდიელები. ესენი ანგრევენ ასურეთის იმპერიას, იპყრობენ მთელ მესოპოტამიას, იპყრობენ არმენიას და მცირე აზიას, ამარცხებენ ეგვიპტეს და სცდილობენ ზღვას გაღმით დაიპყრან და დაიმონონ მეორე ქაბუკი, მხნე და ძლიერი ერი, ბერძნები, რომელთა მკერდზედ ინსხვრევა სპარსთა ძლიერება.

\*) აღაროდიათა მთავარი ღმერთი ყოფილა ქალდისი (Khaldis) და ქალ-ღმერთი სარისი (Saris). მათ სამებას შეადგენდა: ქალდისი, თეისბასი (Teisbas) ჰაერის ღმერთი და არდინისი (Ardinis), მზის ღმერთი.

ამ დროსვე ისტორიულ ასპარეზზედ გამოდიან მოსოხები და კოლხები; ხოლო ესენი ძლიერ ჩამორჩებიან თავიანთ მნიშვნელობით ხეთელთ, ნაირებს და ურარტელებს. ერთ ალავს რაულსონი ამბობს: „მოსოხების ერთი ნაწილი გაივლტო ჩრდილოეთით რუსეთში და მისცეს მოსკოველთა სახელი მთელ რუსეთს“-ო. (Herodotus t. I p. 676).

ამ ეპოქას ბ. მორგანი სწერს ფრიად სუსტად და ბუნდოვანად, რადგან მასალები აკლია. სხვათა შორის ამბობს: მოსოხები წინად იდგენ კაპადოკიაშიო, შემდეგ გაიწიენ ჩრდილოეთითო, თუბალებიც კაპადოკიაში იყვნენო, მაკრონები ანუ მაკროცეფალები იგივე ქანებია და ეკუთვნიან ქართველთა ტომსო. სასპირები კი იბერიელებიაო. შემდეგ ხანებში კი იწყება უკვე იბერიელთა ისტორია, რასაც ავტორი ჰყოფს ხუთ პერიოდთა:

- 1) კიროსის მიერ დამორჩილება ვიდრე 331 წ. ქ. შ-დღე.
- 2) პერიოდი თავისუფლებისა 331—112 წლამდე ქ. შ-დღე.
- 3) მიტრიდატ დიდის მიერ დაპყრობა 112—64 წ. ქ. შ-დღე.
- 4) პერიოდი თავისუფლებისა და რომაელთა გავლენა 64—314 წ. ქ. შემდეგ.
- 5) პერიოდი სრულის თავისუფლებისა 314—600 წლამდე ქ. შემდეგ. ქართველებმა გაუძლეს ავართა, ჰუნთა და ჩრდილო ბარბაროსთა შამოსევასო.

შემდეგ, ამბობს ავტორი, იბერიის ისტორია იცვლება საქართველოს ისტორიადო. იცვლება მხოლოდ სახელწოდება, ხალხი კი იგივე რჩებაო.



შემდეგი ეპოქაა ახალთა შემოსევა და დაპყრობა კავკასიისა. ავტორი მეტადრე ჩერდება შემდეგ ეპოქაზედ, რომელსაც უწოდებს საქართველოს განდიდების ხანას. იგი იწყება კუროპალატიდან და თავდება თამარით. აქვე მოჰყავს მუსულმანთა ავტორების ციტატები, იხსენიებს ქართველთა გამარჯვებას არაბებზედ, სელჯუკებზედ და თათრებზე, სომხეთის დაპყრობას და სხ. შიგა და შიგ ბევრი და ძლიერ ბევრი შემცდარი აზრები აქვს; მაგ., ამბობს სხვათა შორის, რომ მეტორმეტე საუკუნეში საქართველოს ხელოვნება უყურადღებოდ იყო მიგდებულიო (გ. 252). არას ამბობს ჩვენს იმ დროის მწერლობაზედ და კულტურაზედ. აქვეა ჩართული საქართველოს რუქები და მეტადრე იმ დროის ფულების მრავალი სურათები. შემდეგი ხანა, ეგრედ წოდებული ძნელი ეპოქა საქართველოს დაყოფიდან რუსეთთან შეერთებამდე ავტორს მეტად მოკლედ, უთავბოლოდ და არევით აქვს ნაამბობი. იგი საზოგადოდ ბევრად მეტს ლაპარაკობს ძველ ფულებზედ, ვინემ საქართველოს ისტორიაზედ...

მაგრამ ჩვენთვის ბევრად უფრო სანუკარია ავტორის აზრები ჩვენ უუძველეს წინაპართა შესახებ, და ამა ამოვსწეროთ ისინი!

### V

მეორე ტომს ბ. მორგანი იწყებს ამ რიგად:  
— მიუხედავად მრავალ შრომათა, რომელნიც აღიბეჭდენ ამ ერთ საუკუნეში იმ ხალხთა შესახებ, რომელნიც სახლობენ დასავლეთ აზიის ჩრდილოეთით, მიუხედავად კლაპროტის, სენმარტენის, დიუბუას, ბრო-

სეს, ლანგლუას, ერკერტის და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა შესანიშნავ შრომათა და თხზულებათა, მიუხედავად ყოველივე ამისა არსებობს მაინც ფრიად ვრცელი ღია ფურცელი (lancune) იმ შესწავლაში, რაიცა მოახდინეს კავკასიის ხალხთა შესახებ. მართლაც ამ ხალხთა ისტორია ჯერ არაა შევსებული და საერთოდ სრული. იგი მხოლოდ რამდენიმე ნასკვით უკავშირდება მსოფლიო ისტორიის ანალიზებს. (გ. I).

ამის შემდეგ ავტორი იკვლევს მცირე აზიის და კავკასიის უმათერეს ხალხებს, რომელთაც ეძახის თეთრ ალოფილებს და ჰსახავს ქართველთა ტომად. აი რას ამბობს მათზე:

— „თეთრ ალოფილების უკანასკნელ ბანაკად დღეს გამხდარა საქართველო. ჩვენ განვიხილავთ, თუ რა რიგ შემცირდა 50 საუკუნის ბრძოლით ეს ტომი, რომელიც წინად ჰფარავდა მთელ მცირე აზია-კავკასიას და დღეს რა რიგ შეახვეწა მან თავი კავკასიის რამდენიმე ხეობას“ (გ. 13).

შემდეგ ავტორი ეხება ამ ერის უუძველესს კულტურას:

— „კავკასიის მცხოვრებნი თავდაპირველად, მეტალოურგიის დაწყების დროში იყვნენ მადნის მთხრელნი, მეურნენი, მონადირენი, ქურქლის მკეთებელნი და ფეიქარნი. მათ ჰქონდათ უკვე საკმაოდ განვითარებული ცივილიზაცია, რომელიც წააგავდა მას, რომლის კვალსაც დღეს ჰპოულობენ ქვემო ქალდეაში, და ბევრად უფრო მაღალი იყო იმ უუძველეს ნაშთებზედ, რასაც ნახულობენ მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში, საბერძნეთში და არქიპელაგში“ (გ. 39).

შემდეგ ავტორი ეხება ეგვიპტელთა ეპოქას.



— „მეთხოუმეტე საუკუნე (ქ. შ-დე) არის დიდი ეპოქა იმ ხალხთა ძლიერებისა, რომელთაც ასურელები უწოდებენ ღატებს (Hatti) და რომელთაც ეგვიპტის მატთანენი სახვენ ხეთებად (Kheta). დღეს სახელიც კი გამქრალა ამ დიდი ერისა. მათი არსებობა და ორიოდ ნაგლეჯი მათი ისტორიისა ამ ბოლო წლებში აღმოჩნდა ლურსმულ წარწერის (textes cuneiformes) და ეგვიპტის იეროგლიფების საშუალებით“. (გვ. 63).

— „ეგვიპტელთა მატთანენი ჩვენ გვაცნობენ ხეთელი მათ უუდიდეს ძლიერების დროს, როცა ეს ერი წარმოადგენდა თურმე მტკიცედ განწყობილ ფეოდალურ მონარქიას თავის მაღალ კანცელარიით (chancellerie) და კარგად მოწყობილ ადმინისტრაციით. მეფე მართავდა თავის პროვინციებს მორჩილ და დამოკიდებულ ერისთავთა (მთავართა) საშუალებით. მას ჰყავდა დამორჩილებული სხვა სამეფონი, მაგ., ქილბუ (Kilbou) და ამაურ ანუ ყადეში“ (Amaour ou Kadesch) (გ. 65).

— „ხეთელთა იეროგლიფური წარწერანი, რომელნიც ძლივს აღმოიკითხა საოცარის მაცადინობით ბ. სეისმა, არ წარმოადგენენ არავითარ მსგავსებას (ანალოგიას) იმ გვარივე იეროგლიფებთან, რაებიც კი დღემდე უნახავთ ეგვიპტეში და ქვემო ქალდეაში. ექვი არაა, ისინი (ხეთელთა წარწერანი) გამხდარან ციპრიოტულ ხელის დედნად (caractères Cypriotes), მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი (თუ რას ნიშნენ ისინი) და მათი სათაური დარჩენილა ჯერ კიდევ გაუგებრად.“ (გვ. 68).

მას შემდეგ ავტორი ეხება თეთრ ალოფილების გარეგნობას და ჩაცმა-დახურვას. როგორც სჩანს, მათ ცმიათ ჩოხა-ახალუხი, ჩექმები, ბუხრის ქუდი და ვგო-

ნებ, ნაბადიც კი. მასთან წვერს იპარსავდნო, ამბოჯს ხეთელებზედ. ხეთელები იდგენ ორონტის ველში, ეკავათ მცირე აზიაში დიდი ადგილი და ჰქონდათ კარგად გაწყობილი სახელმწიფოო.

— „ამგვარი იყო ის ხალხი (ხეთელნი), რომელიც დახვდა ეგვიპტელთ ორონტის ველზედ, ერი ძლიერი, მეომარი, მოვაქრე და ზნე-ხასიათით მშვიდი (policee), რომლის სპა-ლაშქარი იყო ერთად-ერთი იმედი თურანელ ხალხთა და რომლის სამხრეთის ნაწილები იყო ძლიერი სიმაგრენი. და აი სწორედ ამ ხეთელ მეფეთა და ფარაონთა შორის დაიწყება საშინელი ომები, ბრძოლა ქამიტთა და სემიტთა ჩრდილო ერების წინააღმდეგ“ (გვ. 68).

— „ეგვიპტელთა მეთვრამეტე დინასტიის ბოლოს ხეთელებმა დაიჭირეს უპირატესობა, გადმოვიდნ თავიანთ საზღვრებიდან, გადმოთელეს და დაიპყრეს სემიტები და მათი ქვეყნები ლუდი და არამი; დაიჭირეს ეგრეთვე ჰამათი (Hamath), გაიხადეს თავიანთ მონარკედ და სამხრეთის სიმაგრედ ორონტის მდინარეზედ ამურუს (Amour-su) ქალაქი ქადეში (Quadesch) და გაავრცელეს თავიანთი ბატონობა დამასკამდე“ (გვ. 69).

ფარაონები დაშვრენ ხეთელებთან ბრძოლით და შეჰკრეს ზავიო (გვ. 70), მაგრამ ამ მშვიდობიანობის შემდეგ ატყდა ისევ 1311 წ. ქ. მ. საშინელი ომები ფარაონ რამსეს II-ს (Ramesson) და მაუთუ (Maouthoul), ხეთელთა მეფის შორისო. ეს ომები იყო ყველაზედ უფრო საშინელიო. ამ დროსვე აღუდგენ ფარაონს სირიელნი და ებრაელნიო. ერთი მხრით ეგვიპტელნი ემზადებოდენ საომრად და მეორე მხრით ხე-



თელები, ამათ სურდათ დაემსხვრიათ ფარაონთა ძლიერებაო. (გვ. 70—71)

— „ხეთელებს ჰყავდათ დაპყრობილი მცირე აზიასი თერთმეტი ხალხი: ნაჰარინები (Naharina), აროზები ანუ ალოზები (Arosa ou Alosa), ინუამები ანუ ინუა (Inuamu ou Inua), სინიარები (Signar), თუელები (Tua ou Du'a), ქადეშელები (Quabescha), ტუნეპელები (Tunep), ტახისელები (Takhis ou Su'hi), ასუელები (Assu), ბალანუელები (Balanu) და არაბხელები (Arrapkha). მასთან ჩვენ კიდევ არ ვიცით, თუ სანამდე მიდიოდა ჩრდილოეთით ხეთელთა სამეფო და ან იქითა მხრივ რამდენი ხალხნი ჰყავდა დაპყრობილი. ამ რიგად სრულიად აშკარაა, რომ ხეთელთ ჰყავებიათ შეტად სამნიშვნელო ალაგი მცირე აზიის ხალხთა შორის“ (გვ. 71—72).

— „ხეთელთა ეროვნულ აღორძინების პირველი კერა, ამანუსის და თავრის ქედები (Ies chaines de l'Amour et du Taurus) და მათი გეოგრაფიული მდებარეობა სვამდენ ამ ერს, როგორც ცხენზედ შემჯდარს, სირიასა და მცირე აზიას შორის და აძლევდენ სიადვილეს, რომ გავრცელებულიყვენ ორივე მხრით. იმ დროს, როცა მათი (ხეთელთა) ძლიერება უზენაესად განვითარდა, მათი გავლენა და ბატონობა მოედვა ვრცლად მცირე აზიას, სადაც ისინი იყვენ მეთაურნი და პატრონნი რამდენიმე საუკუნეთა განმავლობაში. ამათი კვალი სჩანს ხეთელთა ხელოვნების ნაშთებში, რომელნიც ჰფარვენ თითქმის მთელს მცირე აზიას“. (გვ. 72).

## VI

არ იქნება ურიგო მოვიყვანოთ აქვე რამდენიმე მეცნიერთა აზრები, რაებიც მოჰყავს ბ. მორგანს ჩვენს წინაპართა შესახებ. აი, მაგ., რას ამბობს ხეთელებზედ ლენორმანი თავის „Les origines de l'histoire“-ის მეორე ტომში:

— „ნინევიის ბიბლიოთეკაში ვკითხულობთ: «რიცხვი მეოცე. მოხდა მზის დაბნელება. (3800 წელს ქ. მ. დე). ხეთელთა მეფე იღებს (ჩვენს) ქვეყანას და იპყრობს ტახტს“. მაშ ეფრატის მარჯვენა ნაპირას არსებულა ხეთელთა მებრძოლი სამეფო და ყოფილა საკმაოდ ძლიერი, რომ შესეოდა აკადების ქვეყნებს (les pays des Akkades) (გვ. 332).

— „ადვილად შესაძლოა, რომ ხეთელებიც ერივნ იმ ხალხთა შორის, რომლებიც შეერივნ და დაიპყრეს ეგვიპტე მწყემს-მეფეთა ეპოქაში“ (des rois—pasteurs) (ტ. II. მეორე ნაწილი, გვ. 51).

— „სწანს რომ ხეთელ მეფეთა უმთავრესი საქმე ყოფილა ომები. მათი დიდი ჯარები ყოფილან კარვად განწყობილი, გაწვრთნილი და შვენივრად შეირადებული. ეგვიპტელებთან ბრძოლაში ისინი იჩენდენ შესანიშნავს და თითქმის მეცნიერულ ტაქტიკას. ისინი იყვენ შემდგარი ორი ელემენტისაგან: ეროვნულ ლაშკრისაგან და დამხმარე ანუ დაქირავებულ უცხოელთაგან, რომელნიც მორჩილებდენ ხეთელთა სარდლებს. ეროვნული ჯარი იყო ქვეითი და ცხენოსანი. ხეთელები იბრძოდენ მკვრივე და ღრმა ფალანგებად და იყვენ შეიარაღებულნი შუბებით და მოკლე ხმლით“, (ტ. II. ნაწილი მეორე, გვ. 296).

— „ხეთელები, რომელნიც იყვენ შეერთებულნი, მძლავრ მონარქიათ და ჰყავდათ მრავალი და გულოვანი ჯარები აშკარად აცხადებდენ ეგვიპტელთ მეფე-მწყესთა ხანაში თავიანთ ბატონობას მთელ სირიაზედ, უხდიდენ სამაგიეროს ააჰ-მეს და მის შემკვიდრეებს დანსხვრევდენ ქამიტთა ქვეყნის გარეშე ძლიერებას. ამ რიგად ისინი (ე. ი. ხეთელნი) შეიქნენ ერთ საუკუნეზედ მეტ ხანში უმთავრესნი და ხშირად ბედნიერნი ანტაგონისტები ეგვიპტელთა უფლებისა მცირე აზიაში.“ (ტ. II, ნაწილი II. გვ. 338).

— ეგვიპტელნი დამაშვრალან ხეთელებთან ბრძოლით და ფარაონს სეტი I-ს (Séti I) შეუკრავს მათთან ზავი. აი, რას ამბობს ამაზედ ლენორმანი:

— „ეს ხელშეკრულობა, რომელშიაც ორივე მხარენი (სამეფონი) არიან დასახულნი ტოლგებად და რომელიც შეადგენს ახალ ფაქტს აღმოსავლეთის ისტორიაში, გვაჩვენებს იმავე დროს ეგვიპტელთა ძალის დაცემას და ხეთელთა ძლიერების ამაღლებას“ (ტ. II. ნაწილი II. გვ. 339). ამ ტრაქტატს ბ. მასპერო ხადის უუძველეს დიპლომატიურ საბუთად, „რომელმაც კი ჩვენამდე მოაღწიაო“. შერიგების ნიშნად ფარაონს შეურთავს ხეთელთა მეფის ქალიშვილი.

ახლა მოვუსმინოთ მეცნიერ მასპეროს, აი რას ამბობს იგი თავის „Hist. ans. or. 4 éd. გვ. 180“:

— „ხეთელები და მათი ნათესაენი თუბალები და მოსოხები ეკუთნოდენ იმ ტომს, რომელიც სახლობდა კავკასიაში. პირველად ისინი შეიხიზნენ კაპადოკიის მაღლობებზედ, შემდეგ კი მოედვენ თავრის ხეობათაგან ჩრდილო სირიას და კილიკიას.“

აი რას ამბობს რობიუ თავის «Questions home-  
riques». (1876, გვ. 61).

— «ლიკიენთა, მუზიენთა, დარდანიენთა და ილი-  
ონ-პედაზოს მცხოვრებთა კავშირით და მათი ჯარით  
გამაგრებული ხეთელები წარმოადგენდნენ მეომარ სა-  
ხელმწიფოს, რომელსაც შეეძლო თავი დაექირა ეგვიპ-  
ტელთათვის და ძვირად დაესვა მათთვის გამარჯვე-  
ბა“.

მეცნიერი რიტერი ხომ სრულიად აღტაცებულია  
ჩვენს ძველ წინაპართა სიმამაცით, კულტურით და  
ცივილიზაციით. აქ შეგვეძლო კიდევ სხვა მეცნიერთა  
აზრებიც მოგვეყვანა, მაგრამ ისინი გადავდოთ შემდე-  
გისათვის. აქ მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო  
რამდენიმე საინტერესო ფაქტებს.

როგორც ზევით ვსცანით, უხსოვარ დროიდან ის-  
ტორიულ ასპარეზზედ გამოსულან ხეთელები, ნაირები,  
მოსოხები, თუბალები და ალაროდანები. ამ დროს არ სჩა-  
ნან არც კაბადოკიელები, არც ლაზები, კოლხები,  
იბერიელები, ალბანელები და სხ. ვიცით, რომ მეთოთხ-  
მეტე საუკუნის ბოლოს ხეთელთ დაუწევიათ დასავლე-  
თით და ჩრდილოეთით; ამ დროს უეცრივ მათი სახე-  
ლი ჰქრება და მათ ნაცვლად სწორედ მათ მიერ დაქე-  
რილ ალაგებში ვხედავთ კაბადოკიელთ, ლაზებს ანუ ჭა-  
ნებს და კოლხადელებს, რომელნიც აქამდე არ ს'ანდენ.  
ეჭვი არაა, რომ ესენი უნდა იყვენ თვით ხეთელები,  
ხოლო სახელი აქვთ შეცვლილი. თვით სიტყვა ხეთელს  
და კოლხადელს შორის არის საკმაო მსგავსება. ეგრეთ-  
ვე სამ. ნევია ჰეროდოტეს აზრი: კოლხიდელები ეგვიპ-  
ტედან მოსულნი არიანო. დიდი მსგავსება აქვთ მათ  
ტიბს, ზნე ხასიათს და ჩვეულებასო; ეგრეთვე იალქნე-



ბის ტილოებს მათსავით ჰქსოვენო და სხ. ექვი-  
ხეთელები მოვიდენ და დაესახლენ კოლხიდაში ეგვიპ-  
ტის მხრიდან, სადაც წინად იდგენ; მათ მრავალ საუ-  
კუნეთა განმავლობაში ჰქონდათ მისვლა-მოსვლა, კავ-  
შირი, მეგობრობა, ვაქრობა და ომები ეგვიპტელებთან  
და ეს მოვლენა ძლიერ ნიშანს დაასვამდა მათ და ბევრ  
რამეში დაამსგავსებდა ეგვიპტელთ. ამ რიგად დღეს  
მართლდება ჰეროდოტეს აზრი, რომელიც აქამდე ბევრს  
ზღაპარი და ფანტაზია ეგონა. დიახ, ლაზები, კანები  
და კოლხიდელები, ე. ი. დღევანდელი მეგრელები,  
და იმერლები, არიან იმ დიდი ერის შთამომავალნი,  
რომელსაც რქმევია ხეთელები და რომელსაც უთამაშ-  
ნია ერთ დროს ფრიად შესანიშნავი როლი და შეუქ-  
ნია დიდი კულტურა. ანტიკურ ოსტოტიკში აღნიშნა-  
ნი რაც შეეხება მოსოხებს, თუბალებს და ალაროდ-  
იანებს, ესენი კი უნდა იყვენ დღევანდელი მესხნი, აბ-  
რეჯნი ანუ ქართლელნი და ალბანელები ანუ კახელნი.  
თუბალი ანუ თიბერი, რომ თ-ნი წავშალოთ, გახდება  
აბერი ანუ აბრაეჯი. მოსოხი აშკარაა, იგივე მესხი,  
სამესხეთოა. ალაროდნიანი ანუ ალბანელი ანუ ახლან-  
დელი კახელი. ნაირები კი რომელ ხალხად შეიცვალნენ,  
ეს კი არ ვიცით. ეს ოთხი ერი: მოსოხები, თუბალები,  
ნაირები და ალაროდნიანი; სახლობდენ ერთმანეთის  
მეზობლად, (როგორც დღეს სახლობენ მათი ნაშთნი),  
არმენიაში, შეუქმნიათ სამჩნევი კულტურა და ჰქონე-  
ბიათ დიდი ომები ასურელებთან. ამ საშინელ ომების  
გამო დაუტოვებიათ თავიანთი ბინა და გაწეულან ჩრდი-  
ლოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, ე. ი. დაბინა-  
ვებულან დღევანდელ ქართლში, კახეთში, სამესხეთო-  
ში და სხ. ამიერიდან ამ ძველი ხალხების სახელები ჰქრე-



# ისტორია

ქართულ გაზეთებსა და ჟურნალების გამოცემისა.

1817—1900 წ.

ქართველთა შორის გაზეთ-ჟურნალის გამოცემის დასაწყისი 1817 წლიდამ იწყება. რაც შეეხება ქართველთაგან გაზეთების კითხვას და გაცნობას, ეს კი ქართველთა ადრიდგანვე იცოდენ, ე. ი. XVIII საუკუნეში. მაშინდელ ბატონიშვილებს ერთობ ხშირად უხდებოდათ რუსეთში მგზავრობა და ცხოვრება, ესენი იმ დროის რუსულს გაზეთებსაც ადევნებდენ თვალ-ყურს და ყოველთვის ჰკითხულობდენ. მეტადრე თვალ-ყურს აპყრობდენ იმ გამოცემებს, სადაც კი ქართველის ერის და საქართველოს ცნობებს ჰბეჭდავდენ. რუსულ გაზეთებს გარდა ქართველნი ფრანგულს გაზეთებსაც აქცევდენ ყურადღებას, რადგანაც ფრანგულს გაზეთებშიაც იბეჭდებოდა ხშირად საქართველოს შესახებ ცნობები. მაგალითად: ფრანგულს გაზეთებში ქართველთა მეფე ქაიხოსრო და ლეონ ირანთა მსაჯული პირველად 1710 წ. აქეს. 1739 წ. აბატმა მილოტმა აქო ქართველნი და საქართველო და კოსტანტინეპოლის ფრანგთა ელჩ-

მა პეისონელმა მცფე ერეკლე 1754 წ. შვაქო. სხვა-და-სხვა დროსაც ხშირად უქიათ ხოლმე ქართველნი.

ღიახ, ქართველთა ფურნალ-გაზეთის გამოცემის საქმე და მნიშვნელობა აღრიდგანვე იცოდენ, მხოლოდ ბედშავმა გარემოებამ, მუსულმანთ სიმრავლემ და შინაურმა მდგომარეობამ არ მისცეს ნება, რომ გაზეთის გამოსაცემად ეზრუნათ. თუმც ისიც უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოში 1792 წ. გაზეთის მსგავსად ფურცლების ბეჭდვაც იწყეს, რომელ ფურცლებზედაც მოთავსებული იყო სხვა-და-სხვა აკროსტიხური ლექსები, სიტყვები და მეფეთა ქებანი. ესეთი ფურცლები ერთობ მცირედ იბეჭდებოდა, დაბეჭდილებს მეფის შვილებს და შვილის-შვილებში არიგებდენ. არ შეიძლება, რომ ამ ფურცლების საღმე არა აღმოსწდეს-რა. ამავე დროს უკვე წინ წავიდა ქართველთ შორის სხვა-და-სხვა განცხადებების ბეჭდვაც. რაც შეეხება ზოგიერთ პირებს, რომლებიც საყვედურით ბრძანებენ, რომ ქართველთ ქართული გაზეთის გამოცემა ერთობ გვიან დაიწყესო, ამაზე ვიტყვი, რომ ასეთი ბრალდება ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგანაც ქართველთ ასეთის საქმეების წარმოებისათვის სრულებით არა სცალოდათ; როცა მოიცალეს, მაშინ აკი მაშინათვე მოჰკიდეს ხელი და ბეჭდვაც იწყეს? ჩვენ-გვარ მდგომარეობაში მყოფ ხალხს კი არ დაეზრახება ესა და სხვებს კი, მეტადრე სომხებს, რომელთაც მეფობა აღრიდგანვე დაჰკარგეს, ამით მათ არაფერი წააგეს. სამეფოს დაცემის შემდეგ მთელს ღუნისას ოთხაავ-კუთხივ მოედვნენ, ყველგან ვაჰრობას შეევივნენ, ფულის მოგებას, ხერხს და ოსტატობას. მათგანი მრავალს აღაგას დამდიდრდენ, ქონებრივ წარმატებას მიეცნენ, ოსმალეთის, სპარსე-





თის და ინდოეთის ზოგიერთს ქალაქებში დახსნის სხვა-და-სხვა სავაჭროები, სააგენტოები, ბანკები, გააკეთეს დიდრონი ქარვასლებიც, ყველა ამებთან თავისუფალი დროც დიდი ჰქონდათ, მაგრამ რაც შეეხება გაზეთის გამოცემას — ეს კი მათაც ერთობ გვიან მოახერხეს.

სომხებმა დიდის შრომითა და ჰაპანწყვეტით ძლივს მოახერხეს, და 1796 წ. გამოსცეს თვიური სომხური გაზეთი, რომელიც სომხებში პირველ გაზეთად ითვლება. იგი იბეჭდებოდა ინგლისის სამფლობელოს ინდოეთის ქალაქს მადრასეში; გაზეთს სახელად „აზდარარი“ ერქვა, რედაქტორად ხსენებულისავე ქალაქის სომეხთ მოძღვარი ტერშმოვანი იყო. ეს გამოცემა თავის დროის კვალად უფერული გამოცემა იყო, იგი სულ ორს წელიწადს გამოდიოდა, 1798 წლის დამდეგიდამ მოისპო, ვეღარ გამოვიდა. ქართულ პირველ გაზეთის გამოცემის რიცხვი რომ სომხების პირველ გაზეთის გამოცემის რიცხვს შევუდაროთ, სულ მცირე განსხვავება აღმოსჩნდება. სულ 22 წელიწადი გამოვა განსხვავებით. ამის ანუხსვაც არა ღირს. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ, ქართველთ, აქამდის ისიც არ ვიცოდით, თუ ქართველებში პირველად როდის გამოიცა ქართულს ენაზე პირველი გაზეთი. აქამდე პირველ ქართულ ჟურნალად მრავალნი „ცისკარს“ აღიარებდნენ და პირველ გაზეთად „დროებას“. თუმცა ისიც კი ვიცოდით ამბად, რომ 1732 წ. სოლომონ დოდაშვილს ქართულს ენაზე გაზეთ-ჟურნალიც გამოჰყვანდაო. რაც შეეხება გამოცემათა ცნობებსა და ვითარებას, ეს კი ჩვენთვის უცნობი იყო, ამის გამოცემულ ჟურნალ-გაზეთის ნომრები ჩვენ თვალითაც არ გვენახა, ძლივს გვეღირსა და რის წვალებით, 1875 წ. მოვიძიეთ თითო ნომერი და

მასთან მცირე ცნობებიც შევპკრიბეთ. ამავე დროს ჩვენში აღმოსჩნდა სხვა ძველი ქართული გაზეთებიც და ნათლად შევიტყუეთ ჭე გავიცანით ის ცნობები, რომ ქართულს ენაზედ პირველად ქართული გაზეთი 1817 წ. გამოუციათ ქ. თბილისში. ხოლო რა გვარს მიმართულების იყო ეს გაზეთი, ოფიციალურის, თუ მოქალაქურის—ამაზე არა სჩანს-რა; გაზეთის ზედა-პირის წარწერაც ამისას არაფერ ცნობას იძლევა; ამის შეტყობა კი არა, თვით გამომცემლის და რედაქტორის ვინაობაც კი არა სწერია. აბა, ჯერ დღეს, 1830 წლების ცნობებიც რომ არა დაგვრწენ-რა ხელთ, ისიც არ ვიცით, თუ ამ მოსვენებულს დროს, სად და როდის ვინ რა დაბეჭდა, ძველებზე რაღა გვეთქმის? იმას კი ვიტყვით დაქვეშაობით, რომ ქართველნი XVIII საუკ. უკვე იყვნენ გაზეთების ცნობებს და კითხვებს შეჩვეულნი,—ამას გვიმტკიცებენ შემდეგ გარემოებათა პირობები.

ზემოდაც ვსტკვით და აქაც ვიტყვით, რომ ქართველთ ბატონიშვილები და მღვდელ-მთავრები XVIII საუკ. რუსეთში ერთობ მრავლად სცხოვრებდენ. მღვდელ-მთავრებმა რუსეთში, სამს ალაგას ქართული სტამბებიც დახსნეს, წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს, თვით ვრცელი ქართული „დაბადებაც“ კი რუსეთში დაისტამბა 1743 წ. რუსეთში ასეთ ვრცელ წიგნებს ბეჭდავდენ, ნუ თუ ამ მბეჭდავთ იმ დროის რუსულ გამოცემათა შესახებ ცნობები არ ექმნებოდათ? არა გვგონია. გაიოზ ნაცვლიშვილმა მოსკოვის აკადემიაში სწავლა დაამთავრა, ასევე მოზდოკელმა ქართველმა ქელიძემ, პაატა ბატონიშვილმა საფრანგეთში და ინგლისშიაც იმგზავრა. ბატონიშვილები, ზოგნი ვოლტერის ნაწერებსაც იცნობდენ, ზოგნი რუსულიდან სასული-

ერო წიგნებს გარდა ფილოსოფიურს ნაწერებსაც სთარგმნიდენ, ვოლტერს და მის თანამედროვე საფრანგეთის მოაზრე მწერლებსაც აღიდებდენ და აქებდენ, ამათ შესახებ გაზეთებში დაბეჭდილს ცნობებსაც ჰკითხულობდენ. ესენი კარგად იცნობდენ გაზეთებს. 1770 წლებს, მეფე ერეკლეს საწინააღმდეგო „შეთქმის“ გამო მოთავენი დასჯილ იქმნენ. ერთმა დასჯილთაგანმა, ამილახვარმა, რუსეთში ერეკლე მეფის მოქმედების შესახებ წიგნი დაბეჭდა, მეფის მოქმედებას დესპოტიური მოქმედება უწოდა. ამ ჰაზრის თანაზიარი იქმნენ იმ დროის რუსის ზოგიერთ გამოცემანიც. წიგნის გამოსვლის და მის პატივისმცემელთ მეგაზეთეთ ცნობა მეფესაც ეუწყა. მეფეს ძლიერ ეწყინა, მაგრამ რას იზამდა. 1780 წ. ეკატერინე იმპერატრიცას წერილი მისწერეს და სთხოვეს, რომ ეგ წიგნი აღკრძალეთო. ასეც იქმნა, წიგნი აღკრძალეს. ამ წიგნებისამ ზოგმა ჩვენ დრომდისაც მოაღწიეს.

ქართველთ ბატონიშვილებს გარდა საქართველოში გაზეთების კითხვას ქართველი პატრებიც მისდევდენ. ამათ რომიდან გაზეთი „მისიონ კატოლიკ“-ი ძველადგანვე მოსდროდათ. პატრები შეფეს და მეფის შვილებს ხშირად მოუთხორობდენ სხვა-და-სხვა გაზეთებიდან ამონაკითხ ცნობებს. ბატონიშვილები ყოველთვის სიამოვნებით ისმენდენ. პატრებს გარდა, მეფის კარზე ხშირად სცხოვრებდენ ისეთნი სწავლულ-მოგზაურნიც, როგორიც იყო 1773 წლებში ნემეცთა მოგზაურ-მწერალი აკადემიკოსი ლულდენშტეტი, ამას შემდეგ ნეჟეცივე ექიმი რეინგესი, მასვე დროს საქართველოში ყოფილნი რუსის პოლკოვნიკნი პეტროვი და ივანოვი და ბერიც სხვანი, უთვლელნი, რომელნიც თავიანთ

დროის კვალად იყვნენ განსწავლულნი: ესენი იმ დროის გაზეთებს ევროპის ქალაქებიდან თვით საქართველოშიაც იბარებდნენ. ევროპიული გაზეთები საქართველოში სტამბოლის გზით შემოჰქონდათ, ბათუმიდან. ამავე გზით მოგზაურობდნენ ევროპიელთ სწავლულნი და მოგზაურნი. სტამბოლიდან ყველა მგზავრს და გაზეთს ბათუმში ელოდა მოსვლა. თვით საბა ორბელიანიც თავის კაპუჩინებით ევროპიდან პირველად ბათუმში მოვიდნენ, მერე საქართველოში შემოვიდნენ; 1780 წ. აქედამვე შემოვიდა ინგლისელთ ექსპედიცია გურიაში, 1784 წ. საფრანგეთის და 1789 წ. ავსტრიელ-პრუსიელთა. საუბედუროდ, ეს მოგზაურნი გურიას აქეთ ვეღარ გადმოდიოდნენ. ამის მიზეზებს ოსმალთ ვაწერთ. 1780 წ. ინგლისელთ სამხედრო ექსპედიცია დავით გურიელმაც ისტუმრა... ამას ოდესმე დავუბრუნდებით. ეს აღვნიშნეთ მარტოდ იმის ფაქტად, რომ ძველად ქართველთაც ჰქონდათ ევროპის გზა და კვალი, თავი და თვალი დასავლეთურის წინ-სვლისა და წარმატებისათვის. მეორე გზა საქართველოსი იყო რუსეთიდან კავკავზე. საქართველოს მიჯნაზე დანიშნული იყო გზის ზედამხედველად ყაზიბეგი, იქ იყო ფოსტა. გზის გამგეს ღამის გუშაგნიც ჰყვანდა. რუსეთიდან თუ რამ ცნობები, ნივთები და გაზეთები მოდიოდა, სულ ამ გზით შემოჰქონდათ; მაგალითებრ, მეფე ერეკლეს ეკატერინე იმპერატრიცამ ჩაის ჭურჭელი გამოუგზავნა ფეშქაშად და სასახლისთვის კარგი დიდი საათი და ბევრიც სხვა ნივთები, ყველა ესენი რუსთა შიკრიკთ, ანუ მათ ფოსტის კაცთ ხსენებულს გზამდის მოჰქონდათ, აქ ქართველთ ფოსტის უფროსს ჩააბარებდნენ და თვით უკან გაბრუნდებოდნენ; მერე საქართველოს გზის მცველი თავის კაცებს ჰგზავ-

ნიდა თბილისში და ატანდა ყველაფერ გამოგზავნილ ნივთებს, გაზეთებს, წიგნებს და წერილებს; ყველა ამებს თბილისში, სამეფო გამგეობაში მიიღებდენ, მერე თავთავის კუთვნილებად არიგებდენ. ეს ორი ჩვენგან აღნიშნული საქართველოს მთავარი გზები იყო, საიდანაც ევროპიელთ და რუსთ შემოჰქონდათ ყველაფერი. ამ გზებს გარდა სხვა გზებიც იყო. მაგრამ იმათ ჩვენ არ აღვნიშნაეთ. ძველადგან ქართველთ მეფეთა ბრძანებით საქართველოს ვაქართათვის „იარმუკობა“ ანუ ბაზრობა ეკატერინოდარში იყო დანიშნული, სამ წელიწადში ერთხელ. ქართველ და რუსეთელ ვაქართ ვაქრობა და წარმოება აქ იწყებოდა, აქ სალდებოდა ურთიერთ შორის საქონლები, ამის მეოხებით გზა და კვალიც ირკვეოდა. საქონელს გარდა საბეჭდი ქაღალდის შემოტანაც აღვილდებოდა.

ასეთის გარემოებით დაასრულა საქართველომ XVIII საუკ. დადგა 1800 წ. 28 ქრისტისშობისთვის, მეფე გიორგი გარდაიცვალა და 1801 წლის თებერვალს, მარტსა და აპრილის თვეთა განმავლობაში საქართველო რუსეთს ჩაბარდა. სრულიად საქართველოს რუსთაგან შემოერთება კი 1810 წლიდამ იწყება. საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით ქართველთ დიდად უნდა გვესარგებლნა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ასე ვერ მოხდა, ჩვენ ამისთვის მომზადებულნი არ ვიყავით. ჩვენის რუსეთთან დაკავშირებით უფრო სომხებმა ისარგებლეს, თუმც ამისათვის დიდად არც იგინი იყვნენ მომზადებულნი, მაგრამ ჩვენზე მაინც მეტად იყვნენ წინ წასულნი. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების პირველ წლებიდან მათ იწყეს წინ-სვლა, წარმატება, აღორძინება და გამდიდრება. ქართველთა კი ზღაპრით

ვიწყეთ წინ-სვლა და თვალის გახილვა, ძლივ-ძლივობით მოვეწყეთ ახალ წეს-ჩვეულებას, მთავრობას, გამგობას და მის ძალას. დიდის ქაპანწყვეტით გავგეხსნა სტამბა, სკოლა და როგორც იქმნა, 1817 წ. ქართულს ენაზედ პირველად გამოიცა ქართული გაზეთი ც. პირველ წელს, ე. ი. 1817 წელს, ამ გაზეთის გამოცემა სექტემბრიდამ დაუწყიათ, თვეში ხან თითო ნომერი გამოდიოდა, ხან ორი. მეორე წელსაც ასევე გაგრძელბულა. გამოცემას დრო არა ჰქონდა დანიშნული. 1818 წლის გასულს კი ნებართვა აუღიათ, და 1819 წლის მარტიდამ კი გაზეთების გამოცემა წეს-რიგით დაუწყიათ. ორი წლის განმავლობაში, ე. ი. 1817 და 1818 წწ. გაზეთს არ ჰქონდა გამოცემის დრო დანიშნული, მას ზედ არც ფასი ეწერა, იგი იბეჭდებოდა მთავარ-მართველის სტამბაში, დაბეჭდილებს აქეთ-იქით სამაზრო „ზასედატლებს, ისპრავნიკებს“, ექსპედიციის წევრებს და პალატის მოხელეებს უგზავნიდენ, ხოლო იგინი გაზეთის გარდასახადს რაგვარად იხდიდენ, ამის ჩვენ არაფერი ვიცით. გაზეთიდამ ამონაკითხ მთავრობის განკარგულებათა იგინი ხალხს აცნობებდენ. თითო გაზეთი იბეჭდებოდა თითო საწერ სქელსა და შავს ქალღღებედ; ასოებად ნახმარია ის ასოები, რომლის ყალიბები 1706 წელს იქმნა თბილისში ჩამოსხმული; აქედამ ჩამოასხეს ასოები, შემდეგ ამავე ყალიბებიდან ჩამოსხმულ იქმნა 1779 წ. და 1796 წ. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგაც ამ ასოებს ახმარებდენ, რადგანაც ახალი ასოების ყალიბების ჩამოსხმა ერთობ გვიან მოხდა. 1817, 1818, 1819 და 1821 წწ. გაზეთები სულ ამ ძველის ასოებით არის ნაბეჭდი.

1817 წ. გამოსულ გაზეთს ასე აწერია ზედა პირზე სათაურად:

**ქართული გაზეთი**  
გამოაგემის ქალაქს ტფილისს, წელსა ჩეიზ.

ჩვენის ფიქრით, ამ გაზეთის, 1817 წ. სულ ცხრა ნომერი უნდა გამოსულიყო, მეტი არა. 1818 წელს კი მიახლოვებით 15—17 უნდა ყოფილიყოს გამოცემული, რადგანაც თითო გაზეთის ნომერი ხან თვეში ერთი იბეჭდებოდა, ხან სამ კვირაში ერთი ნომერი; ყოველს შემთხვევაში თვეში ერთ-მეტ-ნაკლები რომ ვიანგარიშოთ, მაშინ 12—15 ნომერზედ მეტი არ გამოვიდოდა. როგორც ვიცით ცნობებიდამ, გაზეთს პირდაპირ ოფიციალური ხასიათი ჰქონია, იგი ვგონებთ, თვით მთავრობის ხარჯითაც იბეჭდებოდა, რადგანაც მთავრობავე ურიგებდა მუქთად. მაშინ ქართულს ენაზე მთავრობის გაზეთის გამოცემა აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა, რადგინაც 1805—1830 წლამდე, საქართველოში ქართული ენა მეფობდა, იგი იყო სახალხო, საერო ენად მიღებული, იგი მეფობდა ქართველებს გარეშე თვით თათრებსა და სომხებში, რასაკვირველია. მაშინ რუსთა რიცხვი საქართველოში ერთობ მცირე იყო, მთავრობისათვის ქართული გაზეთის ქონება კი, როგორც იარაღი, აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა.

გაზეთში უმეტესად იბეჭდებოდა სახელმწიფო განცხადებანი, უმაღლესი ბრძანებანი რუსეთიდამ და საქართველოდამ საქართველოს მთავარ-მართველების, გარდა ამისა სხვა-და-სხვა განცხადებანი ვაჭართა შესახებ, სამხედრო უწყების წინაშე სანოვავის მოსატანად, სახელ-

მწიფო სხვა-და-სხვა სახლებთა აღსაშენებლად და ბევრიც კიდევ ამ გვარნი, რაც კი მაშინ დღითი დღე საპირო ხდებოდა ადგილობრივ მთავრობისა და მის გამგეობის წინაშე. ენა გაზეთისა არის ძველი, გაუგებარი, ისე რომ მას თუ არ ძველის ქართულის ენის მკოდნე, სხვა ვერავენ გაიგებდა. ცხადათ სჩანს, რომ ამ გაზეთის რედაქტორად დანიშნული ყოფილა მთავრობის ვინმე მოხელეთაგანი, რასაკვირველია ქართველი, ძველის ქართულის მკოდნე. 1819 წლისათვის კი რედაქტორად განსაზღვრული პირი უნდა ყოფილიყო უფრო მეტის კოდნის პატრონი, რადგანაც 1819 წ. მარტიდამ გაზეთმა კვირაში ერთხელ იწყო გამოსვლა. გაზეთის რედაქციამ მხნეობა გამოიჩინა, პროგრამა გაუფართოვა, გარდა ამისა იმოდენად იმეცადინა, რომ წლის გასვლამდე 40 ნომრის მაგიერ 50 ნომერი გამოსცა, თითქო გაზეთის გამოცემა 1819 წლის პირველი იანვრიდამ დაწყებულიყო და არა მარტიდამ. გაზეთს 1819 წლიდამ სახელი შეუცვალეს: „ქართული გაზეთის“ მაგიერ (საქართველოს გაზეთი) უწოდეს. რასაკვირველია, ეს უფრო საფუძვლიანი სახელია, მასთან კანონიერიც იმ დროის ახლად დაარსებულს ქართულის გაზეთისათვის; ეს სახელ-წოდებაც ცხად დასკვნას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი რედაქტორი შესმენილი პირი უნდა ყოფილიყოს, ვინემც 1817—1818 წ. გამოცემულის ნომრებისა, რომელიც უფრო განცხადებთა ფურცლს ჰგვანდა, ვიდრე სამოქალაქო, ან სამხედრო და სამეცნიერო გამოცემას. ასეთი განჩინება შემდეგ დროის გამოცემებზე კი ვერ ითქმის, რადგანაც მათ დიდი განსხვავება დაეტყოთ ზემოდ ხსენებულს გაზეთებთან შედარებით.





საქართველოს  
ქრონიკა

„საქართველოს გაზეთის“ გამოცემა დაწყებული 1819 წლის მარტის პირველიდამ. ენა ამ გაზეთისა იგივეა თითქმის, როგორც 1817 და 1818 წ. ასოები გაზეთის იგივეა, რაც წინედ იყო. ზომა გაზეთისა იგივეა, ხანდისხან ორი საწერი თაბახიც გამოსულა, ოფიციალურს ნაწილს გარდა ლიტერატურულს ნაწილსაც საკმარისი ადგილი უკავია. ამ გაზეთის ნაკლად ჩვენ აღვიარებთ ძველის საღმრთო წერილის ენით წერილების წერას. ეს ძველი ენა, რომელიც კი მეფობდა საქართველოში 1850 წლამდე, იყო რაღაც განკერძოებული თვისების ენა. იგი არც ძველს ეკუთვნოდა და არც ახალს, უფრო კერძოებით ხასიათის მექონ სურათს წარმოადგენდა. მისას ვერც ერი გაიგებდა რამეს ადვილად და ვერც მღვდელი. ეს ნაკლი მათ რომ თავიდან აეცდინათ, იქმნება მაშინ ქართველობაში საეროდ განათლებისა და მწიგნობრობის საქმე სხვანაირად წასულიყო, იქმნება იგი წარმატებით შემოსილიყო. ჩვენდა საუბედუროდ ეს ნაკლი შემდეგ დროის ქართველებმაც წესად შეითვისეს; თვით 1850 წლებამდისაც კი ამ ენით სწერდნენ დაჰბეჭდავდნენ, როგორც გაზეთურნალს, ისევე სხვა-და-სხვა ქართულს წიგნებს. ამ ნაკლს ვერ ასცდა თვით ცნობილი სოლომონ დოდაშვილიც.

ამ ნაკლის შესახებ ჩვენ საკმარისად უნდა ვისაუბროთ, რადგანაც მან ქართველებზე მეტად დიდი ზეგავლენა იქონია; იქონია მით უფრო, რადგანაც იმ უწიგნობის დროს, როდესაც საქართველოში წიგნების ბეჭდვა ჰქანებდა იყო, მაშინ ცოდვა იყო ასეთის ენით წერა და ბეჭდვა. ამ ენით ჰბეჭდავდნენ თვით სახელმძღვანელო წიგნებსაც. მე მოვიპოვე რამდენიმე ძველი



ქართული სახელმძღვანელო და მათმა გაცნობამ მაკვირვა. ძველი ყარაშანიანი, დავრიშანი, მირიანი და ასეთი მოთხოვნიანი უფრო კარგის ქართულის ენით არიან ნაწერი, ვინემც XIX საუკუნის ქართული სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოები კი არა, თვით გაზეთის განცხადებებსაც კი ამ გვარის ჯვარცმულის ენით სწერდნენ, რასაც თვით ჩვენი ამონაწერებიც დაამტკიცებენ. 1819 წ. გაზეთის ერთს ნომერზე ვკითხულობთ შემდეგს განცხადებას: „მთაწარის ნება-რთვით, 1819 წელს, ესე როგორც გამოიგნე წარსულსა წელიწადს, აკრეოვე გამოიგეძიან მომავალსა წელიწადს 1820-ს.“ ცნობიდან სჩანს, რომ ეს „საქართველოს გაზეთი“ 1820 წ. გამოიცემა ისევე, როგორც წარსულს 1818 წელს გამოიცა და ამ წელსაც იბეჭდებოდა. აი თვით სახეც გაზეთის ზედა პირის, რომელიც შეუცვლელად მოგვყავს:

**საქართველოს გაზეთი**

ნომბერსა ზ დღესა ჩუით წელსა თფილისში

№ 38

გამოცხადებანი.

ეს სათაურია გაზეთისა, შემდეგ იწყება განცხადება გაზეთის გამოცემისა. აი განცხადებაც:

„ქართულის გაზეთის გამოცემანა ვალად თვისად რაცხვენ, რათა წინასწარ აცნობონ ჰატივცემულ საზოგადოებას, რომელ გამოცემა ესრეთისა გაზეთისა განგრძდების მომავალსა ჩუე წელსა. მას შინა შთაწერილ იქმნებიან თუ ვე მუხლნი, რომელნიცა მოხსენებულ იყვნენ გამ შინა დაბეჭდილსა უწინარეს ამისა შემოდებისა“



ბეჭდვის, გაზეთი ესე გამომცემულ იქმნებისათს რვაჯერად  
ერთის წლის ზირველ რიცხვამდე, თვითთა კვირაში თვითთა  
დაბეჭდილი ფურცელი“.

„მოსაწერი ფასი დანიშნულ არს სკამარისად ზომიერი,  
სრულიადის გაზეთის აქ თფილისსა შინა გამომცემისათვის სს-  
ში რუბლი თეთრი ფული და სხვათა ქალაქთა და ადგილთა  
მცხოვრებნი წარსკვანყელად მათდამი გაზეთის ამის მისცემენ  
ერთსა აბაზსა, სრულიადის დროსათვის, რომელ წარსულსა  
შინა წელსა გაზეთისა ამის ვაწეუთ გამომცემა მარტის თვეში  
და აწ იწეება მისი ზირველ იანვრის რიცხვითგან და მასწ წარ-  
სულის წლისაზედ მოემტება ათი ფურცელი და იქმნება არ-  
ღა ორმოცი, არამედ ორმოც და ათი ფურცელი საკუთართა  
შემთხვევათა შინა მომატებათა თანა“.

აი ესეც ამ გაზეთიდან მოყვანილი ერთი ადგილი,  
მინუშად იმ დროის ქართველთ მწერლებთა ენისა.

„გორის უეზდის სოფელს დავრის მცხოვრებნი ბარძიმ  
მანაბელოვის უმა დათუა კვადენადე თავის ცოლით და ვაჟის  
და ქალისშვილებით, ძმისწული ნინიათა და ვენახით იმ ას  
სამოც და სამს რუბლში, რომელიც მართებს მას აზნაურის  
გაბაშვილის ქალის ელისაბედისი, იმათის გასუიდვის ვადა და-  
ნიშნულ არს ამა წლის ნოემბრის კ. და დეკემბრის კ. და კ.  
რიცხვებში.“

თელავის უეზდის სოფელს ფანხსავას მცხოვრები რვა  
კომლი უმა ღუბერსკის სეკრეტრის ნათიფვის იმ ათს ას ოცს  
რუბლის ვერცხლის ფულში, რომელიც მართებს მას ღუბერს-  
კის სეკრეტარს თავადის მედიქსადე ბებუთოვის, იმათის გა-  
სუიდვის ვადა დანიშნულ არს ამა წლის ნოემბრის კ. და დე-  
კემბრის ვ. და კ რიცხვებში“.

ასეთ ცნობათა გარდა მოთავსებულია მთავრობის  
განცხადება საქართველოში ღერბის ქალაქის შემოღე-

ბის შესახებ. აქედან სჩანს, რომ ღერბის ქალაქის ხმარება საქართველოში 1819 წლიდან შემოსულა. მანამდის კი უბრალო ქალაქის ხმარება სკოდნიათ. მოთავსებულია წერილი ყვავილის აცრის შესახებ, თუ რა ხერხით შეიძლება ძროხის ყვავილით კაცის აცრა. ეს წერილი ექიმის კლაპიტონოვის უნდა იქმნეს, რომელმაც იმ დროის რუსეთში სახელი განითქვა და მის „კარბადიმები“ და „ყვავილის აცრის“ წიგნები 1820 წლებში ქართულს ენაზედ ნათარგმნი პეტერბურღში ცალკე წიგნებადაც გამოსცეს. ქართულის თარგმანი გ. ფირალოვს ეკუთვნის, მეფე გიორგი XII-ის მდივნად ყოფილს.

მოთავსებულია აგრეთვე: — «ასტრონომიის მრაცხველობათაებრ ცხადდება, რომელ შემდგომად მომავალს შინა წელსა, ჩუათ ვიქმნებით მოწამე ერთის ძვრითა გამოცხადებისათა განის ცის ზედა სახელდობრ ბეშვ. რიცხვსა სექტემბრისასა ხელისებრ შტილისა, სოლო ძველისებრ ოც და ექვს რიცხვსა ტასასა შუა დღისასა იქმნების სრული დაბნელება მზისა, რომელიც ფრად დიდის ხნის შემდეგ არა გვიანავს ჩვენჯან... ნიდრელანდთა შინა, ამა საგანზედა არს წიგნი, რომელიც მიეწერების მეტნიერსა კაცსა ვანსვიდურს სურათებითურთ, რომელსა ზედა გამოსტულ არს დაბნელება სამთა სხვა და სხვათა სხეთა შინა».

სწორედ ამ წლებიდან იწყეს ქართველთა მამულეების დაგირავება თბილისში და მის გარეშემო. მაშინ ჩვენში სხვა-და-სხვა ბანკები არ იყო. ჩვენს ბანკირებად ფულის პატრონი კაცები იყვნენ და ზარათები. იმ დროის ქართველნი ორ ნაწილად იყოფოდნენ: მხენელმთესველად და სამხედროს ნაწილად. ვაქართა და ხელოსანთ რიცხვი თბილისში ჟამთა ვითარების მეოხე-



ბით შემცირებულ იყო. რაც კი ქართველთა ორგანიზაციის  
ყოფილებას ფული ან სხვა რამ ნივთიულობა სჭირდებოდა, ყველა მას იგინი თბილისის სომხებისაგან იძენდნენ. საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველნი ძირიელ მალე გახდნენ ვაჭარ სომეხთა მსხვერპლად. 1820 წ. მარტოდ ორთაქალაში გაიყიდა 14 კარგი ბ.ლი, რომელიც ბატონიშვილებს ეკუთვნოდათ. 20-მდე ბალი ქართველის თავადიშვილების სოლოლაკზე გაიყიდა. მაშინ ვინც კი თბილისში ქართველთა თავადისშვილები სცხოვრებდნენ, ყველას აქვდათ თითო ან ორ-ორი ბალი. დღეს-კი, მთელს თბილისში ორს კაცსაც აღარ აბადია. მარტო ბალები კი არა, და მთელი თბილისის მამულეებიც ასევე წაუვიდათ ქართველთა ხელიდან. ამას ქვემოდ ვნახავთ. მაშინდელ თბილისის სომეხები ცალიერ ჩონჩხს წარმოადგენდნენ. მათში ერთი კაციც არ იყო ისეთი მდიდარი, რომ მას რამდენიმე ათასის თუმნის შეძლება ჰქონოდა. თუ იყო ვინმე და სცხოვრებდნენ თბილისში, ყველა იგინი 1830 წლების შემდეგიდან დამდიდრდნენ, როცა მათ ქართველთა მამულებს უხვად უწყეს შებოჭვა, მასთან ისწავლეს ტყუილი თამასუქების კეთება, ქართველთა დაბრეყება და ნამეტურ სოფლის ნათლიობის მეოხებით გლეხთა ტყავის გაძრობა.

ასეთ საუბრის და ცნობების განსამარტავად და იმ დროების ნათლად გასაცნობად ძლიერ კაი ცნობებს იძლევა ზემოდ დასახელებული გაზეთის ნომრები, ხოლო ჩვენდა საუბედუროდ ამ გაზეთის ნომრების ჩვენსულ სამი, თუ ოთხი ნომრის მეტი არა გვაქვს მოპოვებული. 1819 წ. ერთ ქართველ თავადისშვილს, ერთის სომხის ვაჭრისაგან 370 მან. გაეყიდა 35 დღის მიწა, ორი დიდი ზვარი და მამულეები, ღირებული 6000 მ.



ყველა ეს სომეხს დარა 370 მ.-ად თავადის შვილს სულ ჩითეულობა და ასეთი რაღაცაები წაეღო, რაც იქმნება 150 მან. არც კი ეღირებოდა. ასეთ მაგალითებს ჩვენ ათასობით მოვიყვანდით.

როგორც სჩანს „საქართველოს გაზეთი“ 1820 წლის ბოლო წლის ნახევარს მოსპობილა. ასე რომ ამ წლის შემოდგომაზე „საქართველოს გაზეთი“ აღარ გამოსულა. მოსპობის მიზეზი არ სჩანს, საჭირო კია რომ ვიცოდეთ რამე. ქართველთა გარეშე ქართული გაზეთის საჭიროება თვით მთავრობისთვისაც ყოფილა საჭირო. ამიტომ ქართველობა უგაზეთოდ მხოლოდ ორ-სამ თვეს დაშენილა. 1821 წლიდან კი სხვა ქართული გაზეთის გამოცემა დაუწყიათ. ამ გაზეთს სახელად „წმიდა გიორგი“ სწოდებია, რადგანაც გაზეთზე წმიდა გიორგია დახატული. აი თვით გაზეთის სათაურიც:

<b>ქართული</b>	ამ ალაგას დახატულია წმიდა გიორგი	<b>გაზეთი</b>
სექტემბრის 16 დღეს № 36		1821 წელს ტფილისი

„უცხო ქვეყნის ამბავნი: გერმანიიდან, ოსმალის ქვეყნიდან, შერთული ამბავი. აღწერა დღესასწაულებთა ცერემონია ინგლისის კაროლისა. მოლდავიის სამზღვრიდამ, თრეისტიდამ, ინგლისის კარალევას და ვირგინება, ვალახიიდან, საბერძნეთის ამბავი“.

გაზეთის ენის მინუშად მოგვეყავს შემდეგი ამბავი: „13 ივნისს. იზმირში გამოდის რომელსმე უამიდან უფელს კვირას ფრანცუზულს ენაზედ გაზეთი, — ამის უკანასკნელს



ფურცელში 19 მასს ანს შემდგომი ამაჲა: იზმირს მცხოვრებნი რამდენსამე დღეს იეუნენ დადად კაჭირეგუღნი შეწყუხებაში, თათქმის უოგელს წამს მოელოდნენ დახრეგას უოგელთაჲე აქაურთა ქრისტიანეთასა, მაგრამ ბედნიერებათ შოვიდა აქ ფაშა, რომელმაც მთელის კეთილ გულის ხმიერებით და დიდ სულდონობით უკუნ აქცია ესე სამწუხარო ჭაზრი“.

როგორც შევიტყეთ, ამ გაზეთის ენა უფრო მდაბიურია, ვინემ „საქართველოს გაზეთი“-სა. ამას მკითხველიც შეატყობს. როგორც «საქართველოს გაზეთი», ისევე „წმიდა გიორგი“-ც კვირაში ერთი ნომერი გამოდიოდა, იმავე ზომით, როგორც 1817 წ. შემდეგ დროის ორი გაზეთი იბეჭდებოდა. ამ 36 №-რის რიცხვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ „წმიდა გიორგის“ გამოცემა, 1821 წლის თებერვლის ან მარტის პირველიდან უნდა დაეწყეთ. „წმიდა გიორგის“ გამოცემა განგრძობალა 1824 წლის ბოლომდე, 1825 წ. კი აღარ გამოსულა. მიზეზები მოსპობისა არ ვუწყით. არა ვიცით-რა წენდა სამარცხვინოდ, იმის შესახებაც, თუ როგორც პირველის და მეორის «საქართველოს გაზეთის», ისე ამ „წმიდა გიორგის“ რედაქტორად, ვინ იყო, ან გაზეთს რამდენი ხელის მომწერი ჰყვანდა, ვისის ბრძანებით იბეჭდებოდა?

ამ გაზეთის განცხადებათა ცნობიდან სიანს, რომ დღევანდელი სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა „მშაკის“ რედაქტორად ყოფილის, არწრუნის პაპას, გეურქ აღას, თავ. ციციშვილისაჲან 6000 მ. უყიდნია. მაშინ ამ ალაგას დღევანდელი დიდი სახლიც გაკეთებული ყოფილა. ეს დიდი სახლი 1804 წ. გაუკეთებია საქართველოს მთავარ-მართებელს ციციანოვს, სადაც თვითონ მდგარა. მის სიკვდილის შემდეგ, ეს სახლი მის

სახლისკაცებს დარჩათ ჩუქებით. მერე ამათ გეურქ ალაზე გაჰყიდეს ოხერ ფასად. ეს ის გეურქ-ალა გახლავსთ, ვისზედაც ქართველ მესტიერებს „ხორგელის ლექსი“ გამოუთქვამთ. ამავე დროს ნ. ციციშვილს თბილისის შუა-გულს ალაგას გაჰყიდვია დიდი ძალი ადგილები. ღღეს ამ ალაგზე თამამშოვის ქარვასლა სდგას. ეს ადგილები ციციშვილს გაჰყიდვია ორი დოშის ვალში, ორ ვერცხლის კულაში და ორ საკაბეში. რასაკვირველია, ვალი სომხის იყო და მამულებიც მან დაინარჩუნა მოტაცებით. კუკიაში, ავქალის ქუჩაზედ რამდენიმე ათასი საჯენი მიწა ერთის ქართველის აზნაურისა 400 მან. ვალში გაისყიდა. იგი შეიძინა მევახშმე სომეხმა. ვერაზე რამდენიმე ათასი საჯენი მიწა 600 მ.-ის, გაბაშვილის, დარჩა ერთს სომეხს, რასაკვირველია მოტაცებით. ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ, სადაც ღღეს „ორიანტის“ სასტუმროა, ერთმა სომეხმა ქაშუეთის ქართველს მღვდელს 60 მ. ვალში გაუყიდა და თვით დაინარჩუნა. ღღევანდელი „კავკასიის“ სასტუმროს ალაგი და შენობა ციციშვილისაგან სულ უბრალო ვალში დაშთა ერთს სომეხს. ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით, ვიტყვით მხოლოდ შემდგვს, რომ მთელი ქალაქის ქართველთ მამულები სწორედ ამ დროს დაისაკუთრეს პოელებმა, სწორედ ამ დროს იწყეს მათ მევახშეობა... თანდათან დრო იცვლებოდა. თბილისში ვაჭრობაც წინ მიდიოდა, მისთვის დუქნების გამრავლებაც საჭიროდ ხდებოდა, მასთან სხვა-და-სხვა სამმართველოებიც მრავლდებოდა; სამმართველოების გამრავლებას შენობათა სიმრავლეც მოჰყვა. შენობების და დუქნების კეთებას სომეხნი უფრო ადვილად მოეწყვნენ. მაშინ ხე-ტყე, აგური და მუშა-ხელიც ერთობ იაფი იყო, ყველაფერს იაფად





აკეთებდენ, სულ მუქთად; ადგილებსაც მუქთად იკავებდენ, სულ ოხრად, შენობაში და ღუქნებში კი ქირებს კარგს იღებდენ. ამ გარემოებამ სომეხნი ერთიორად დააწინაურა წიხოვრების სახსრით და ფულით გაამდიდრა. ვაქრობაც წინ წაიყვანეს ქირების წყალობით და ქართველთა მამულებსაც უფრო უხვად უწყეს შებოქვა, წართმევა და დარბევა.

ამ გაზეთის მოსპობის შემდეგ, მთავრობის ნაწილში, ქართული გაზეთის გამოცემის სხივი აღარ დაიბადა, აღარ განმეორდა. ამის მიზეზები ბევრნაირია. მთავრობის საქირო განცხადებათა ბეკდვა ცალკე ფურცლებზე იწყეს და ხალხში გავრცელება. რაკი მთავრობის მხრით გაზეთის საქიროება აღარ იქმნა ცნობილი, არამედ მარტოდ განცხადების ბეკდვა, ამიტომ თვით ხალხმაც გადიგდო გულიდან ქართული გაზეთის გამოცემის საქიროება და საქმე. 1828 წ. თბილისში, ჩამოვიდა სოლომონ დოდაშვილი, პირველი ქართველი, რომელმაც რუსეთის უმაღლესს სასწავლებელში დაამთავრა სწავლა. მას ძლიერ სწადდა ქართული წიგნების ბეკდვა, გაზეთის გამოცემა. ამ საქმეში მას დიდად ეხმარებოდა ივანე ხელაშვილი, ცნობილი ბერი, „კალმასობის“ დამწერი. ამ ბერის ფულით ს. დოდაშვილმა თბილისში სტამბა გახსნა, ქართული წიგნების ბეკდვა დაიწყო, მთავრობის წინაშე დიდად იმეცადინა და 1829 წ. თბილისში ქართული კვირის გაზეთის გამოცემაც დაიწყო. ამ გაზეთს სახელად „თბილისის უწყე-

ბა“ ეწოდა. აქვე მოგვყავს სრული სათაური „თბილისის უწყების“ ერთის ნომრიდან:

სამშაბათი №—12

აპრილის 26 ს.

**ტფილისის უწყებანი**

1832 წლისა

გამოდის კვირაში ერთხელ წელიწადში ორისავე კასამშაბათობით, ხოლო სამთეკემისა ფასი დადებულ ლიტერატურა ნაწილი არს რვა მანათი თეთრი თვეში ორჯერ. ფული.

შინაგან ცნობანი

ტფილისი

აპრილის 26-სა 1832 წელსა.

**უმაღლესი უკაზი**

მიცემულ უმართებულეს სენატისადმი, ტფილისი 18 აპრილს: სამზღვარ გარეთ ამბავნი: ფრანცია, პარიჟი. აღნარევი, პორტუღალია „გაზეთის“ ენის ნიმუში:—„ფრანცია. ჰარიჟი, მარტის 12-სა დროს მრავალთა მოახლისეთა შეკრებულისა, იყო აქაურის სასამართლოს წინ საქმემან ჰირობისა ზედა არა კეთილ მზრუნველთა კაცთასა, რომელიც ეოფილა სამრეკელსა შინა მღვთის მშობლისა ეკლესიასა. სასამართლოს სტოლზე ეწყო რადენიმე დამახანა, წითელი ქუდი, ხანჯალი, ჰური და სხვანი, სამრეკელსა ზედა ნაშოვნა ნიუთნა. შუიდი კაცი გამოსჩნდა ბრალეულად, ეოველნი იგინა არიან ხელისხანი. ერთს მათგანს ეკითხა წო-



დებს მისი და თვით აჩვენა თავი თვისა მასშობრად სსსსსს  
 შინა ერთს მათგანისა ზოგნილ არიან სავიბოქნი და აღმა-  
 შობებულები თხუზულებანი, რომელნიცა გამოყვია ესრედ  
 წოდებულს „სწრაგადობისა მეგობართა ერასთა“. მხოლოდ  
 ერთმა ბრალეულთაგანმა ჭეო ჩვენებს რომელთ შეიპირეს მი-  
 სუიდეითა და უნდოდათ სამრეკლოდამ სრულა ზირისპირ მთავ-  
 რობისა. ეოველნი ივინი არიან გლასაკსა მდგომარეობასა ში-  
 ნა. გასამართლებლად თავისა თვისისა შემოაჭვსთ რომელ ერთ-  
 მანეთს ვერ იცნობდენ და მამსადამე ზირობასაც ვერ შეკვ-  
 რენ“.

ეს გაზეთი გამოდიოდა იმ ზომის ქალღლითვე,  
 როგორც ზემოდ ხსენებული გაზეთები, თითო საწერ  
 თაბხიან ქალღლით. ეს გაზეთი კი ხანდისხან ორ თა-  
 ბახზედაც იბეჭდებოდა. ს. დოდაშვილის „თბილისის უწ-  
 ყება“ ზემო-ხსენებულის გაზეთებისაგან განირჩეოდა მით,  
 რომ აქ სხვა-და-სხვა განყოფილებათა გარეშე ლიტე-  
 რატურული ნაწილიც იბეჭდებოდა. სხვათა მრავალთა  
 შორის 1829 წ. ერთს ნომერში მოთავსებულია ლექსი,  
 „ოცნება“ პუშკინისა, თარგმანი ალექსანდრე ქავკავა-  
 ძისა.

ზ. ჭიჭინაძე.

(შემდეგა იქნება)

# პროგრამა

ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების  
შესაქრებად.

(დასასრული \*)

იურიდიული ცნობები.

## 1. სასოციალო შენაშენა.

1. ერის რომელი შტოა დასახლებული, ესე იგი, ვინ  
სცხოვრებენ? ვის მამულზედ სცხოვრებენ?

## 2. ნათესაობათა კავშიარი.

1. სცხოვრობენ ნათესაობრივის კავშირით, ესე იგი,  
ყველა ნათესავები ერთად სახლის უფროსის თაოს-  
ნობით?
2. არიან იმისთანა სოფლები, რომლებშიაც სცხოვრო-  
ბენ მხოლოდ მონათესავენი?
3. გვარის უფროსის სახელით ხომ არ იწოდებიან ესენი?
4. სცხოვრობენ ერთს სახლში რამდენიმე სახლობანი,  
თუ ახალ ოჯახისთვის სხვა სახლს აშენებენ?
5. ჰპატრონობენ თუ არა სხვა და სხვა გვარეულობას  
მფარველნი სულნი? რა დარჩენილა ამბად?
6. ვინ ისაკუთრებს უფროსობას ოჯახში, პირმშო შეილს,  
უმფროსს წევრს, თუ ვისაც სურვილისამებრ ანდერ-

\*) იხ. „კრებული“ № XI. 1899 წ.



- ძით გარდაეცემა? არჩევანით ხომ არ ჰქონდა უფროსი?
7. გვარის უფროსად შეიძლება დადგეს დედაკაცი?
  8. რა უფლება აქვს უფროსს სათითაო გვარის წევრზე, მათ ქონებაზე?
  9. გვარის უფროსი საკუთრივ მოქმედობს, თუ ჰკითხავს რჩევას და აზრს ოჯახების უფროსებს?
  10. სამართლის წინ ვინ უნდა წადგეს, დამნაშავე თუ მხოლოდ გვარის უფროსი?
  11. გვარის უფროსი ურჩევს პატარძალს გვარის წევრს? თუ მამა?
  12. ძღვენს მიაართმევენ ხოლმე გვარის წერის დროს უფროსს?
  13. უფროსის მეუღლეს აქვს რამ განსაკუთრებული უფლება სხვებზე, თუ ყველა რძლები თანასწორი არიან?
  14. საგვარეულო კავშირში რა პირადი და ქონებრივი უფლებანი აქვთ დედაკაცებს, ერთნაირად მონაწილეობენ საცხოვრებელში თუ არა?
  15. არსებობს საზოგადო თანხა? ვინ თაოსნობს?
  16. თითო წევრის დანაშაული მთელ საგვარეულო კავშირს ხომ არ მოეთხოვება? რა და რა დანაშაული? (მრუშობა, ქურდობა, სისხლის დაღვრა)...
  17. სისხლის აღებას მისდევენ?
  18. კერძო წევრის ვალი ვინ უნდა გადიხადოს, თვითონ თუ მთელმა გვარმა? თუ თვითონ იხდის, ეშველებიან ნათესავეები?
  19. ის ოჯახი, სადამდინაჯ ქურდის კვალი მიიტანეს პასუხის მგებელია?
  20. ქურდის დამფარავი პასუხის მგებელია?
  21. საგვარეულო წრეში მიღებულია სტუმრის მოყვა-

რეობა? დაჰფარავენ თუ არა უცხო პირს, განდევნილს თავის წრიდგან?

22. შეიძლება რომ უცხო პირი მიიღონ საგვარეულო წრეში? რა შემთხვევაში?

23. ამ შემთხვევაში საჭირო ხომ არ არის ხელშეკრულობა? რა ნაირად კეთდება ხელშეკრულობა, რას ამბობენ ამ დროს?

24. განდევნიან ხოლმე თუ არა წევრს სანათესაო გვარიდგან, რა დროს, რა მიზეზით, ხშირად ხდება ამ გვარი შემთხვევა?

25. რამე კავშირი არსებობს განდევნილს და წრეს შორის? განდევნილი უყვლა უფლებას ჰკარგავს თუ არა? (პირადი უფლება, უფლება მფლობელობისა). რას ეძახიან განდევნილებს?

26. შეიძლება განდევნილი კვლავ მიიღონ გვარში?

27. როგორა ფუნქცია ახალი ნათესაობრივი ოჯახი? რა მიზეზით, ან ხშირად ხდება, რომ ერთი გვარი გაიყოს რამდენადმე? მამულს ამ შემთხვევაში იყოფენ?

28. ასე აღორძინებულ გვართა შორის არსებობს რამე კავშირი: ნათესაობითი, ქონებრივი, პირადი? გვარის უფროსს ხომ არ ემორჩილება ახლად დაფუძნებული ოჯახი?

29. იმისთანა მამულები ხომ არ არიან, რომელნიც შეადგენენ მთელი ნათესაობის საკუთრებას?

### 3. წოდებასა.

1. რა და რა წოდებად განიყოფება ამ სოფლის საზოგადოება?



2. როგორ წარმოსდგენ წოდებანი? რა ამბად?
3. ყმების ყოლა უმაღლეს წოდებას ჰქონდა მინიჭებული, თუ სხვა წოდებასაც?
 საკელმწიფოს მპყრობელ განთვის უფლებით მქონებე-  
 ლისა ბედნიერის კელმწიფის მიერ შვილურად  
 აღზრდილმან და მათ მიერ წყალობა მონიჭებით გამე-  
 ფებულმან ღვთივ გვირგვინოსანთა ცხებულთა ღვთისა-  
 თა პატიოსანთა მეფეთა და კელმწიფეთ ძემან რანთა  
 და კახთა მპყრობელ-განმგებელ მქონებელმან კელმწი-  
 ფემ მეფეთ მეფემან დავით იმამყულიხან და დედამან  
 ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანნამ დი-  
 დის კელმწიფის წყალობით ერთად აღზრდილმან სა-  
 სურველმან ძმამან ჩვენმან ერეკნის ბეკლარბეკმან პატრონ-  
 მან მამადყულიხან კასტანტინე და კახეთის გამგემ ძმა-  
 მან ჩვენმან ბატონის შვილმან პატრონმან თეიმურაზ და  
 ძმათა ჩვენთა რიზაყული მირზამ და მუსტაფა მირზამ  
 ზარმუხმან და სსურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან მაჩ-  
 ჰამად მირზამ და ალი მირზამ ვიგულვეთ და ვიგულის-  
 მოდგინეთ და ეს წიგნი და სიგელი მოგართვით უდაბ-  
 ნოს და ვით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერს ამა  
 პირსა ზედა რამეთუ თქუენი უდაბნო მოოკრებული  
 იყო ჟამთა ვითარებისაგან და სხვით სხვად ცვალება-  
 დის დროსაგან არღარა ფერი შენობა არღარა ყოფი-  
 ლიყო რა საყდრის მეტი და ისიც მოშლილ და დაქ-  
 ცუელი წმინდანი მღვდელ-მონაზონნი დამდგარ იყუ-  
 ნენ დიდი შრომა და გულსმოდგინება დაედვათ რაც  
 ძალ ედუათ გაეახლათ მონასტერი და შენობა ჩაეგდოთ  
 და შეეყს პატონს მამა ჩვენს ერეკლეს ქართლი და კახე-



თი რომ ეპყრა, თანაშემწე ჰქმნოდათ და საცნაურ იყო პირველადგანვე ჩვენის სახლის კემწიფეთაგან სოფლები და აგარაკები შეწირული ყოფილ იყო და პირველ მონასტრის მოშლით გუჯარი დაკარგულიყო და აღარა ჩნდარა თუ ზეპირ ვისგანმე მოგვეხსენა რომელიც მამულები იყო შეეკრიბეთ მაგრამ უგუჯროთ ვერავისრა შეტყო ბერების გამოსაზრდელი აღარა იყორა მოვიდა წინაშე ჩვენსა წინამძღვარი მამა სარატონ მღუდელმონაზონი სვიმონ და ბესარიონ და მონაზონი საბა და ყოველი კრებული მათი საზრდოსა და მამულისა წყალობასა გვიაჯნეს მოკითხული ვქენით და ასეთი ნაშენი სოფელი არა იყორა გაცემულ იყო და ნაოკარი უშენი ჩვენი სადაღო იორს გაღმა ბაღბაიანი შემოგწირეთ თქვენ წინასწარმეტყველსა და წინამორბედსა ყოველთა ნაშობთა დედათა უმეტესსა ძესა ზაქარიასა ხარებითა ანგელოზთა ნაშობსა ელისაბედისასა წმინდასა იოვან ნათლისმცემელსა გკადრეთ მოგართვით და შეუწირეთ უდაბნოს ტაძარსა თქვენსა მრავალმთასა ყოველის კაცის უცილებლად და მოუდევრად წინა აღუდგომლად არვისგან შლად და ქცევად და მიუსარჩლელად ვერცავენ კელი დაიდუას ვერცავენ წინააღმდგომ გექმნასთ თვინიერ შემწეობისა და თან დგომის გარეშე ესრეთ სახეთ შემოგვიწირავს ასეც გავვისამძღურავს პატარძეულიდამ რომ სამინდრე შარა გამოვა და წყაროს ქვეით ჩალიანის თავში გამოივლის და მინდორში გავა იმას ქვეით ბერებს დავაკელით და პატარძეულელთ დავანებეთ ის შარა მინდორში რომ გავა და აბრამის გორას რომ ეძახიან იმასთან გაივლის და მიყუების და წავა და სხლიანთან მიაკრის იმას აქეთ ჩუფუჯიღამ ღელე ჩამოვარდების იმ ღელის თავს ტახტის

გორა არის იმ გორას თხრილბ ავლია ის გორა სამ-  
გორს დახედავს და აქეთ მენაბდის წყაროს დაუპირდა-  
პირდება და ჩამოივლის ტყემლიანს ღელეს და გზაზედ  
ჩამოვა დამაებში სულ სამძღურები სხედს და ჩეფელია-  
კენ ჩვენი სახასო მიწა ბალბიანელთათვის დაგვინებე-  
ბია და გზას ქვემოთი მინდორი ჩვენი საღალო პატარ-  
ძეულელთათვის დაგვინებებია ასე უსამძღუროდ გაგვი-  
შველებია რომ ერთმანერთთან საცილებელი და საღაო  
აღარა დაგვიგდიარა ჩვენი ბძნება ასე დაგვიმტკიცებია  
სათის ჭაღელსა და ბაღბაანელსა რომ მიწებზედ ცილობ-  
დენ სამგორისაკენ და ჩოღაყაშვილი სახლთსუცესი კდიშერ  
და თუშთმოურავი სასვერელი და უღაბნეს წინამძღუარი სა-  
რატონ სვიმონ და ბესარიონს ჩვენს ძმას ბატონიშვილს  
კახეთის გამგეს თეიმურაზთან და სულ კახთ ეფისკო-  
პოზ დარბაისელთან ელაპარაკნათ და იქ მისულიყუნენ  
და ეს ალაგები ენახათ და მოკითხული ექნათ და ასე  
გაესამძღურათ და გეშველებინათ და სამძღურები ჩა-  
ესხათ გაღმით სამებურს სადგომებს ქვემოთ ივრის პირ-  
ზე რომ კლდე არის იმის გასწვრივ გამოდმა ორი თუა-  
ლი წისქვილი არის იმას შემოვლით საქალაქოს გზაზე  
სოფლისაკენ რუს ზეით მიჯნა ზის სოფელთან რომ  
ღელე ჩამოვარდება ერთი მიჯნაა ღელის პირზედ ზის  
ღელის შეყოლებით კიდეუ პატარა ღელე ჩამოვა ორის  
ღელების თავს გუბე დგების სოფლისაკენ რომ ღელე  
შემოივლის წავა და გზას შეყრება გზაზე მიჯნები ზის  
გზას შეივლის და სამი შეიყრების იქიკ მიჯნა ზის და  
ერთი გზა შიგ ბერებისაკენ დარჩების ქვემოთ გზა სა-  
თისკალისაკენ დარჩების და შუალა გზა წავა და კი-  
დეუ გზის პირზე მიჯნა ზის ის გზა შეივლის პატარას  
გორაზე ავა იქ მიჯნა ზის იმ მიჯნას ზეით გზას ვეღარ



შესცილდების იმ მიჯნამდინ მივი... გამობრუნდების ჩეფელისაკენ შესწვრივ გორას მიაღვების იმ გორაზე ცოტა უღელტეხილი ავა იქ ჯაგი დგა და ისიც მიჯნა ეს ასე გარიგებულა არას კაცს ნათლისმცემლის კრებულთან სასამღურაოდ და საცილებლად კელი არავის აქუს ასე დაგვიშველებია ეს ამის მოსამძღურები ვინც არიან და წმინდის იოვანე ნათლისმცემლისთვის შეგვიწირავს ჩვენად სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და მეფობისა ჩვენისა წასამართებლად თუ აშენოთ — რაგორადაც სხვა ნათლისმცემლის უმა ყოველის საჩვენოს საქმისაგან განთავისუფლებულია და არა გამოუარა არა ბეგარა არა საური არაფერისთანა საჩვენო სათხოვარი არა ეთხოვბოდესრა ნაქურდული თავი და ერთი საზღაური პატრონისა სხვა თქვენის მონასტრისა ესრეთ არს და იყოს ვიდრე უკუნისამდე ვინც ეს ჩვენგან შემოწირული და დამტკიცებული გუჯარი და გარიგება მოგიშალოს და გამოკებად შეკადროს მეფემან გინა დედოფალმან გინა კათალიკოზმან თავადმან გინა აზნაურმან ანუ გლეხმან რისხავს ყოველის მპყრობელი ღმერთი და ყოველნი ნებისა მყოფელნი წმინდანი მისნი ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან ამინ დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე მთიბათვის იზ. გასულს ქკს უბ კელითა კარისა ჩვენისა მღივან მწიგნობრის თუმანისშვილის შიოშისითა.

დავით

მეფე

ამამეუფლისან

თათრული

თათრული

	ღვთისა	
მეტისა	ივამ ყული ხან	დავით
	ღვთაჲ	



არშიაზე აწერია: „ქ. როგორც ჩემს ძმას მეფეს იმამყულობხან უბძანებია ჩვენც მეფე თეიმურაზ ასე ვამტკიცებთ

სამართალი  
ლ-თო სასჯე-  
მიეც ღ სიმარ  
თლე  
**თეიმურაზ**  
მეც სემე

ასულო ჩემო დო მრქულა  
შენ იყავ ჩემი ამირი, ვახ-  
ტანგ მეფისა ასული და დე-  
დოფალი  
**თამარი.**

**ერეკლე**

ქ. ჩვენ საქართველოს მეფედ ცნობილის მეფის თეიმურაზის ძე ირაკლი მეორე მეფე ქართლისა, კახეთისა, ყაზახისა და ბოჩქდისა მპყრობელი და თანა მეცხედრე ჩვენი დადიანის ასული დედუფალი დარეჯან, ძენი ჩვენნი ბატონიშვილი გიორგი, ლეონ, იულოონ, ვახტანგ თეიმურაზას (ანტონ II), მირიან ძის ძენი ჩვენნი დავით იოანე ვამტკიცებთ ქ-ეს შობის ქ-ს აქეთ ჩლათ

მე ფებთ... <b>ერეკლე</b>	<b>დარეჯან</b>	მეფის ძე <b>გიორგი</b>	მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა
-----------------------------	----------------	---------------------------	--

ქ. ესე მეფეთაგან ბოძებული გუჯარი და მისის სიმაღლის ჩემის ძმის მეფის ირაკლისაგან დამტკიცებული, ჩვენ ყოვლისა ზემოაქსა საქართველოაქსა პატრიარქსა მეფის ძეს ანტონის დავვიმტკიცებია და მისის უმაღ-



ქართული ენის მისწავლის მიზნით დასრულებულია  
ქართული ენის მისწავლის მიზნით დასრულებულია  
ქართული ენის მისწავლის მიზნით დასრულებულია  
(ქართული ენის მისწავლის მიზნით დასრულებულია)

**ჩეხეთის რესპუბლიკის  
სამხატვრო წამლებათათვის \*)**

**ხეობის სამხატვრო-თვით:**

უ-დ კასტრისაგან ტილოს და წაუსვამ ბუბკას, მერე სამ-  
ჯერ ლამს, მერე გაშრობას უკან რ-ელიც ხატი გინდა იმას  
მოსახავ, შაიწეებ ხატვას, ზირველად დაუფენ მიწას ცას და  
დრუბლებს, მერე ტანისმოსს, მერე ზირის-სახეს და რაც ხორ-  
ცის სახეს, მერე რაც კელში დასაჭერათ გინდა იმას დასკე-  
რინებ, წიგნსა თუ ბარძიმს თუ უვავილს და სხვათა ესე ვი-  
თართა:

**ქართო მოსახსნი კალამი:**

ჭოსახსნი კალამი ეს არის, დამწვარს და გამტკიცულს  
ცარცში ცოტა რამ შრეში მოყარო და კელით დასოროსოლო  
კახმება და ეს არის, როდცა გინდა იხმარე:

\*) ამ ძველ ხელთ-ნაწერს ვებუქდავთ შეუცვლელად, ეხან  
და ნიშნებიც ისე რჩება, როგორც თვით დედანშია.

### ზეთის მოდუღებისათვის:

ქის ზეთი გინდა ჩაასხამ ტავაში. იმაში ცოტას და-  
ნის ზიროთ სურინჯს ჩაჭურა. აგრეთვე იმ სურინჯის ნახევრას-  
ტოლი დაუშენილი უმრი ჩაურე. მოურივე. მერე ადუღე ვი-  
ნებდის კარგათ მოდუღდებოდეს. როცა ეუფოა ნიშანი ეს არის,  
ცოტას ამოიღებ კელზე წაისვამ და თუთრად აქაფდება და ის  
ეუფოა:

ქაჯზე ხატვა თუ გინდა ეს ზეთი ორჯერ წაუსვი მე-  
რე დახატე:

### ზეთით დასახეტი წამლებისა:

ყოველი წამალი სულ ზეთით უნდა დადესო, სინგურსა  
და ზირნახს კარდა. ესენი ზირველად ხამის წყლით უნდა გა-  
ლესო ჯამში ჩარეცხო, როცა გაკმება მოფხიკო და ისე შეი-  
ნახო, როდესაც გინდა ზეთით გახსნი და ისე იკმარებ:

### სტამბის სახის გადმოღება:

სტამბიდან გადმოღება სახისა რომ გინდოდეს, ზედ  
მინა უნდა დათარო, ჭიით მოხზო, მერე ქაღალდს დრუბ-  
ლით წყალი უნდა მოუსვა რომ დაღებეს ზედ მინაზე დაატკებ-  
ნე გადმოიასხება მერე მოხსულიტე.

აგრეთვე რომელიც ხატი გინდოდეს გადასადებლათ ჭია  
შემოაფლე ნაკეცებსედ, და ზემოწერილისამებრ ქაღალდით  
გადმოიღე:

### ჩარაყის დაკურნისათვის:

ჩარაყის დაკურნა, რომ გინდოდეს, თუ ტილოზე დააკრავ



სანდალსი მოუსვი და ცოტა დაატალე შეშრეს, და ის ფურცლები შაკრატლით დასჭერ, სადაც გინდა აიღე და დააკარ:

შა თუ ქაღალდზე გინდა, სამუის წყალი ან წებოს წყალი მოუსვი და ისე დააკარ. და თუ გალესილია კაღმით მოუსვამ:

### ორქოს ვარაყის გაღვსვისათვის:

შირველად თინჯანში სამუის წყალი უნდა ჩასხა და დიდი ხანი თითით ღესო რომ წებო გამოიღოს, მერე იმავე თითით უნდა აიღო ვარაყი და ჩასდვა რაც გინდა, მერე კიდევ უფრო დიდი ხანი ღესო. მერე ხაში წყლით ჩარეცხო ჩინურში, ვარაყს ძირს დაილეკებს, იმ წყალს გადასწურავ, მერე კიდევ დაასხა წყალი და თითით მოურივე, კიდევ გადასწურე, როცა გინდა სამუის წყლით მოუსვი დაიხატება; და ზეთის ხატვაში ზეთით:

### ყაღბის ვარაყის გაღვსვისათვის:

ყვავზე გამომდნარი თაფლი დაასხი შიგ ვარაყი ჩასდევ რაც გინდა, რაც დიდი ხანი ღესავ ისა სჯობს, მერე ხაში წყლით ჩარეცხე, და როდესაც დაწმინდეს გადაღვავ. კიდევ წყალი დაასხი ვინებ თაფლი გამოელეონდეს, მერე მოფხიკე ისე შეინახე, როცა გინდა ზეთში ზეთით მოუსვამ კაღმით, და ქაღალდზე სამუის წყლით, და ან წებოს წყლით და დაიხატება:

### ბიაფრის მოღუღებისათვის:

ბიაფერი ჟურ დახაყე წმიდათ, რაც რომ წყალი ეყო-

ფოდეს იმაში ჩაჭყარე და აღუდე, მერე იმისა ნსხვერის ტო-  
ლი ლოთური მოაყარე და რომ კარკათ იდუღოს, მერე გადა-  
სწურე წმიდანს თავთაში ან მოვში, ისეუ დადვი და ბევრი  
აღუდე ვინებე გასქელდეს ფინჯანში ჩაწურე და ისე შეინახე,  
როცა გინდოდეს ხამი წუღით გასსენ წებო არ უნდა:

### ხანდაღოსის წასმასათვის:

ხანდაღოსის წასმა რომ გინდოდეს, ცოტა ფინჯანში  
უნდა ჩასდვა, თეთრი ხავთი დასსხა და იმაში გასსხა, მერე  
ბეწვის კალმით წაუსვა, ქაღალდის მხატრობახედ არ წაქსმის,  
ტიღობზე წაქსმის და ფიცარზე, თუნდა ზეთით იეოს და  
თუნდა წუღით იეოს დახატული:

### ცარცის გაკეთებისათვის:

ცარცის გაკეთება ასე უნდა. ჯერ კარგი წმინდა უნდა  
აარჩიო, კარკათ დაწვა მერე თბილას წუღით კარცნო. და  
შიგ ურიო და ჭხილო, ის თბილს წუღში ახელილი წმიდანს  
ხარკში უნდა გადასწურო, რაც წუღი არის იმ ხარკში გავა,  
და ცარცი შიგ დარჩება, მერე გამოიდებ და მზეზე გააშრობ.  
როდესაც რახედმე წასასმელად გინდა, ჯერ ორჯერ წებოს  
წაუსვამ, იმ ცარცს მშრალად ქვაზედ კაღეს, წებოს წუღში  
აურევ და ისე წაუსვამ, კიდევ ზევიდამ წებოს წაუსვამ, თუ  
დასხხატავთ გინდა, ფიცარზე წასმულს ქვით მოღეს ზევი-  
დამ წმიდათ, და ისე დახატავ:

### ჩუღას სამხატრომისათვის:

შარკელად სულ ხამას წუღით უნდა დაიღეს წამლები,



რატა დახატვა გინდოდეს, ან წებოს წყლით, და ან სამუის წყლით უნდა მოლესო თითით და ისე დახატო:

Ⓔუ ქაღალდზე გინდა დახატვა აზანთფონსანით მოხაზავ. და თუ ფიტარზე გინდა ცარცით მოხაზავ, და ისე დახატავ:

**ყერის შეხამებისათვის წამლებიოგან:**

❶იროშანი და ჭიაფერი შეიქმნება ვარდის ფერი:

—

❷ია ქიროშანი და ლაჟვარდი შეიქმნება იასფერი:

—

❸ირნისი და ლაჟვარდი, შეიქმნება მწვანე:

—

❹ავთის შავი და სურინჯი, შეიქმნება ჭავჭავის ფერი:

—

❺იროშანი, ლაჟვარდი, და შავი შეიქმნება რკინის ფერი:

---

❻იროშანი და ლაჟვარდი, შეიქმნება ლურჯი:

—

❼ვითელი, და სურინჯი, შეიქმნება ნარინჯი:

—

❽ურინჯი ყვითელი, და შავი, შეიქმნება ხისფერი:

—

❾ინგური, და ქიროშანი, შეიქმნება ზირისფერი:

—

❿ინგური, და ჭიაფერი შეიქმნება უირმიზი:

**შარბათისათვის:**

შარბათად იხმარება ესენი, ლაჟვარდი, ოსირა, და უირმიზი:

## ქარბათი რას ქვიან:

ქარბათი ზევიდამ წამალზე რომ ჩრდილებს მისცემ იმა-  
სა ქვიან, და უში კვერცხის გულიც ამათში აკრევა:

ღიას და რუბი რევანდს წებო არ უნდათ, და ამით კარ-  
და წელის მხატრობაში უ-ღს წამლებს წებოს წელი, და ან  
სამეის წელი უნდა ხატვაში: ფოთოლამბა, ოსარა, ოთაუ, ამბა  
რუბი რევანდს ქვიან:

ხურინჯს არ უნდა გაღესვა თაფლით გაიხსნება, მერე  
წებოს წელით, ანუ სამეის წელით იხმარება:

## ხინგურის გაღესვისათვის:

ხინგური ჯერ ხამის წელით გაიღესება ჭამში ჩარეცხ  
მერე მოფხეკე, და ისე შეინახავ. როცა მოვიხდება, ჯერ თაფ-  
ლით გახსნი, მერე სამეის წელით იხმარება:

ხაჯა რ-ღვანს სტამბის მური. მშრალად გაღეს ქვაზე  
როცა გინდა, ამასაც თაფლით გახსნი. მერე წებოს წელით  
იხმარება:

ფიურა: შიუგილ: ამასაც გაღესა უნდა ქვაზე, როცა  
გინდა წებოს წელით იხმარება:

ღული ბაჭარ დამწვარს ოხრასა ქვიან. თუ დასწავ კა-  
წითლდება. და ისეც იხმარება ზირის სახეშიაც, და სხვას  
კორცის სახეშიაც:



ხაჟვარდი ჯერ ხამის წელით უნდა გალესო რაცა გინდა და წებოს წელით იხმარებ; მაგრამ ჩრდილებში კი ან სამეით და ან უში კვერცხის გულით უნდა იხმარო:

ჟირიშანი წებოს წელითაც, სამეითაც და კვერცხის გულითაც იხმარება, ჰ-დ ხამი წელით უნდა გააღესო:

ბ-უმი, ქვაზე გალესა უნდა, წებოს წელით ან სამეის წელით უნდა იხმარო კატვამი:

წიბიქვიტი ზირიხისა ჰქვიან რუსულად; ჰ-დ გაღესება ხამი წელით, მერე წებოს წელით იკმარება:

ოპრი ქვაზე გალესა უნდა, როცა გინდა წებოს წელით და სამეის წელითაც იხმარება:

სოთურა რ-ლიც ჭიისთვს იხმარება მოღულებამი წმიდად დაფუხნილი მისაურულად:

საღობუთანი ჯერ ხამი წელით უნდა გალესო, მერე კვერცხის გულით აურევ, და ამით მაკცემა ჩრდილები:

მსეცა ასე უწოდებ თვით თვით წამალი სამ გვარად შესამდება. მქრქლად მოჭირებულად, და მხოლოდ თავს ფერად:

ხამსატრო წამლები რაც წმიდათ და დიდ ხანს დაიღესება. მსატრობა უფრო უკეთესი მოვა:

ჩულის მსატრობა რომ გინდოდეს გაჯნე. ზირველად  
წებოს წაუსვამ. და მერმე ისე დახატავ:

---

ქეწვის კალმად ესენი ფარვა, სინჯათვის კუდი, კატის  
ბაღანი. მარხვის ბაღანი. და დორის ბაღანი:

---

ხანდაღოსი და ქირიშანი ერთად არეული. დამტჭვრეუ-  
ლი მინებისათვის კარგია:



## სოფელი წანი.

(ივ. კიკინაძისაგან წარმოდგენილი).

ს. წესი რაჭის მხრისაა, მდებარეობს დაბა რნიდგან დასავლეთის მხარეს, ოცი კერსის მანძილით მაშორებული. ქ. ქუთაისიდან სოფ. წესამდე ირიცხება 86 კერსი. ეს სოფელი ოთხივე კუთხით დიდრონი მთებით არის შემოზღუდული. აღმოს. მდინარე ლუხუნი და ჩრდილოეთი (მთის სახელია), რომელზედაც აგებულია ძველის-ძველი ციხე დიდი როსტომ ერისთვისაგან, დასავლეთით სალას მთა, სამხრეთით საფურის კლდე და მდ. რიონი. საფურის კლდეში დიდ როსტომ ერისთავს 80 ფური ირეში ჰყოლია გაშკებული და მას აქედ ამ კლდეს მისთვის ეძსიან საფურის კლდეს. ჩრდილოეთით აკრავს ამ სოფელს დიდი წესის მთა. ამ სოფლისათვის ბუნებას გეგონებათ განგებ გაუკეთებია სიმაგრეა. მცხოვრებლები ამ სოფელში 160 კომლამდე ირიცხება. მათ შორის თავადი ერთ გვარად ერისთავია, 8 აზნაურია, გვარად ზუბოვი, იგივე მესტამბიშიელი დიდ როსტომიდან ყოფილა ამისა ძველი სტამბის მოხელეთ, გამურელიძე, ელბაქიძე და აბულაძე, დანარჩენნი კი გლეხები არიან. აქ გლეხების გვარია მასაშვილი, ნატბელაძე, კობერიძე, კერესელიძე, გოგობერიშიელი, მელაშვილი, ბუნლაძე, გოგლაძე და მერკვილაძე. მათ ცხოვრების სახსარს შეადგენს ხვნა-თესვა და სხვა-და-სხვა ქალაქებში სელზე მოსამსახურედ და მზარეულად მოსამსახურეობა. აქ სთესვენ: სიმინდს, ზურს, ქერს და ფეტვს. სამარხო



საქმელებს: ლობიოს, ცერცეს, მუხუდოს, ოსპს, ზანდის და ცული პირას. სასნაკ-სათესი მიწები წესდება სულ მთაში აქვთ. არის სოფელადაც, მაგრამ უფრო მცირე ნაწილი, ისიც მებატონეთ კუთვნიან. აჭაური მიწა მთაში ოთხ წელს თუ იკარგებს ყანად. როგორც მოვიხსენიეთ სოფ. წესს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით აკრავს დიდი მთები, რომლებიც დღემდე საზინის ხელში იყო და წელს 1897 წ. საჩივრის ძალით დაწინაოთ რამოდენიმე ნაწილი მებატონეთ, რომელიც შეადგენს სოფლებებისთვის დიდ სიდიდეს, მით უმეტეს რომ შემოხსენებულ მთებში მოიპოვება ურაცხვი მუხა, თელა, ცაცხვი და საყარე ტყე. (ხაძვი)

წესში კენხის მუშაობას პირველი ადგილი უჭირავს მთელ რაჭის მხრებში გარდა ტოლა-ხაჩკარისა. ეს სოფელი თითქმის ხანგარო კენხსად არის გაშენებული, მეტი წილი თითონ ამ სოფლებს კუთვნიან და მცირე ნაწილი კი მთიულ ხალხს. აქ არის გაშენებული შემდეგი კომისიები: ალექსანდრეული, შწანე, კუდურაული, რცხალი, ქართულა, საფერე, თეთრა, მოქათური და სხვ.

აჭაური ხალხი მეტად მუშა ხალხია, დღე და ღამე მუშაობაში ატარებენ თავის სიცოცხლეს, ასე რომ დღისით მოჭრილი ჰური ღამით მოაქვთ სახლში. აგრეთვე არიან მშვიდი და წყნარი, მათგან არავითარი კაცის წყენა არ წარმოსდგება, არიან სიტუმათ მოყვარენი. ამ სოფელშია არ არსებობს არც ერთი პირველ-დაწიებითი სასწავლებელი. ხალხი განათლებით ძალიან დაბლა სდგას. მთელ სოფელში ათი გლეხი არ გამოკრეკს მისთანა, რომელმაც თავის სახელის და გვარის მოწერა იცოდეს. აგრეთვე მათ გაუნათლებლობას უნდა მივაწვიროთ მკვიდრთა მრავალი ცრუ-მოწმუნეობა და რადაც უბრალო დღეების უქმობა. მაგალითად აქ უქმობენ რამთარში „გოჭის ხეთმაფათს“ და „ბოსლობას“. პირველს უქმობენ ამ ნაირად:



სუთმბათს დღეს დაჰკლავენ მსუქან ქათამს და კისაც ჰყავს, ღორსაც, გამაცხრობენ ღორის ქონიან ჰურს (ამ ჰურს განატყის ეძისიან), სადილად დიდი და ჰატარა მოისდის ქუდს ზღაიწებენ ლაცვას; ერთი უფროსი ქალი აიღებს განატყის, გაავსებს ჭიქას ღვინით და მრავალ ჯერ შემოაკლებს განატყის ირგვლივ შემდეგის სიტყვებით: მფრინველთა ანგელაზო! შენ გამძრავლე ჩვენსას ყოველი ფრინველი და ყოველს წელს არ მოგიშალა შენს ბარობაზედ განატყისი და თითო მსუქანი ქათამი. შემდეგ ლაცვისა განატყის ყველანი გაინაწილებენ და ქათამს თანასწორად გაყოფენ, მხოლოდ თუ ვინმე სტუმარი დაესწროთ, მას იმ ქათმის ხორცს არ აჭმევენ, რადგანაც ცოდვად მიანხიანთ. ქათმის ძელებს მოაგროვებენ და ცერსელში დასწავვენ. მეორე დღესასწაულს, ბოსლობას უჭმობენ ასე: რომესაც ბოსლობის კვირა დადგება, იმ კვირაში არ შეიძლება ორძობათიდან მოკიდებულად შობათამდე სახლში ჭრას, კვრას და სხვა, როგორც სახლში აგრეთვე ეზოშიდაც. ამით სწამთ, თუ ამ კვირაში კანძა იმუშავა სახლში ან ეზოში, იმ წელს არც ფრინველი და არც სხვა რამე შინაური პირუტყვი არ გამოიყვანს შეილებს და თუ გამოიყვანა, ყველს ეუტი და ბრძა დაიბადება. თვით ბოსლობა შობათ დამეს იცინა. შობათ დილიდან ყოველი მოსახლიდან თითო ვაჟი დილიდან საღამომდე ურწყათ უნდა იყოს, არც სასმელი და არც საჭმელი არ უნდა მიიკაროს. საღამოზე იმ ვაჟს, რომელიც მთელი დღე მარხულად იყო, მისცემენ ხელში ერთ ქონიან ჰურს (განატყის), ერთ კევრცის, ერთ ჭიქა ღვინოს და ერთ წმინდა სანთელს. ერთი ოჯახის უფროსი, მარხული ვაჟი და სხვა ბავშვები ერთად წავლენ ბოსლობაში ხარების და ძროხების მისალოცად. უფროსი კანძა მოისდის ქუდს (უნტროსინიც მას მიჰბადებენ), აიღებს ხელში ქონიან ჰურს, ზედ წმინდა სანთელს ანთებს, სახსე ჭიქას ჰურს რაოდენიმეჯერ შემოაკლავს.



რებს ირგვლივ, შემდეგის ღონით: პირუტყვთა ანგელოზთა  
 შენ დაიფარე ეს ჩვენი საქონელი ყოველი მხედის გბილისაგან,  
 ყოველი ხიფათისაგან, როგორც ეს ვაჟი იყო დღეს ურწყით  
 და წმინდათ ისე გაწმინდე ჩვენი საქონელი ყოველი უბედურე-  
 ბისაგან. ღონის შემდეგ წმინდა სანთლით ყოველ ხარსა და  
 ძროხის ბლანს შეარუჟავს თავზე უფროსი კაცი და კვერცხს  
 წაუსვამს ზურგზე შემდეგის სიტყვით: „იზრდებოდე კეთდე-  
 ბოდე, ნადირსაც კრდებოდე.“ ამ ყოფით შესჭამენ ბოსელში  
 ქონიან ზურს, დაღვეენ ყველანი ერთ ჭიჭა ღვინოს, უფროსი  
 ვაჟები უმცროსებს მოაკიდებენ ზურგზედ და გამოსწევენ სა-  
 ხლისკენ. სახლის კარებამდე გაჭკვიან: „ბოსელ ბოსელ ბუუუუ“  
 სახლის კარი მათ დაკეტული დასუდებათ. სახლიდან ერთი უფროსი  
 ქალი გამოიძახებს: ხარებმა რა შამოსთვალეს? გარედ მყოფი  
 უფროსი კაცი უპასუხებს: სახენელ-უღელი დაამზადეთ და ჩვე-  
 ნც მზად ვართო. კიდევ სახლიდან: ძროხებმა რა შემოსთვა-  
 ლეს; სახბოვე დაამზადეთ და ჩვენც მზად ვართო. ასე ამ რი-  
 გად ჰკითხავს ყოველ პირუტყვზედ შინიდან უფროსი ქალი და  
 გარედანაც პასუხს მისცემს კარებზედ მიმდგარი უფროსი კა-  
 ცი. შემდეგ კითხვა-მიგებისა სახლის კარებს გააღებენ, უფრო-  
 სი ქალი მოხედავს ქატოს გამოასურის და ყველას იქ მო-  
 ფთ გათხუზნის. მათი აზრით, ვისაც ქატო მოხუდება და გა-  
 თხუზნება, იმ წელს სოფელე აღარ შეეჭნება.

ახალ წელიწადსაც, ესე იგი პირველს იანვარს აჭაური გლე-  
 ხი სახლში არ შეგბეგებს, აგრეთვე დამახალიც დიდ  
 ცოდვით მიანნიათ. აქ უქმობენ კიდევ აღდგომის შემდეგ სამ  
 ხუთშაბათს, კლიობად წოდებულს. ამ დღეს თხსა ჰკლავენ.  
 ერთ დიდ კლდეში მოხარშვენ და იქვე შესჭამენ.

ამ სოფელში იციან დღესასწაული 23 აპრილს გიორგობა  
 და ბეგრი შესწირიც მოსდის სხვა და სხვა საქართველოს გუ-  
 თხეობიდან; მხოლოდ მას შემდეგ იგლო მისმა შემოსავლმა,



რას ის წმინდა გიორგის სასკელობაზე აშენებული ეკკლესია დაიწვა თავისი ძვირფასი ხატით მღვდლის უცდელობით. 1896 წელს ეს სოფელი ნასკეარი მეტი მეწვერმა დაანგრია, ხალხი თავიანთ ზარალს წმინდა გიორგის ხატის დაწვის რისხვას აწერს, ის გაჯავრდა და იმან გაგვიჩინა მეწვერია. იმ ხატის დაწვის შემდეგ მღვდელი ყველამ შეიძულა და სამსახურიდანაც დაათხოვეს.

აჭაურები თავის ნაწარმოებს ე. ი. ღვინოს, სიმინდს, ზურსს და სხვას ჰყიდიან მთიულ სოფელებზე და იმათგან ყიდულობენ: ხარს, ძროხას თხას, ცხვარს, და შალეულობას. ამ სოფელში ძალიან ადგილის სიკვიროკვაა. ასე რომ ქცევა მიაწ ბარად ღირს ათასი მანეთი. ხალხი ძალიან ღარიბია ადგილის უჭონლობის გამო. აქ აკეთებენ მშენიერად ღორის შაშხს, ქათმისას და სხვა ფრინველებისას. აჭაური კაცი რა გინდ ღარიბი იყოს ორი ან სამი ღორი მანც ექნება დაშაშხელი.

ამ სოფელში არის ორი ეკკლესია ერთი მთავარ ანგელისის სასკელზედ არის აშენებული და მეორე დიდი რესტომ ერისთვისაგან ბარაკონის მღვთის მშობლის სასკელობაზედ. ამასკედ უკეთესი ეკკლესია კგონებ რაჭაში არც კი მოიპოვებოდეს გარდა ნიკორწმიდისა.

წესის მთაში მოიპოვებია შემდეგი მხეცები: დათვი, მკელი, მელა ფოცხვერი, მხვი. თრითინა, კურდღელი, მშველი, არხვი, კვერნა, წავი. ორმოცი წლის წინად აქ კეფხი მოკვლა ორ გლესს, რომელნიც სასიკვდილოდ დაეგლიჯა ორივე, და ტყავი ერისთავისათვის ეხუჭებინათ ყოფილა გარეკნული ღორიც, მაგრამ ესლა აღარ არის.

ფრინველები: ორბი, სვაკი, ქორი, მიმინო, ძერა, ბუ, ზარნაშო, უფესუა, კოდარა, ორნაირი, შაშვი წყლისა და ტყისა, ჩხიკვი, მესკია, მწვერ-ჩიტა, ბელურა, სკვინხა, ჭინჭრაქა,



მტრედი, გერიტი, თონის-ტარა, ჩხართვა, ტუის უკავეი, უორანნი, წითელ-გულა და სს.

**ქვეწარმავალი:** გველი, ძლოვეი, სინსილა (პატარა ხელიკი) მწკანე ხელიკი, ბაყაყი, მუდო, ცხრაფესა.

**ბუნ-შეშლები:** ფუტკარი, სარბოყა, ბორამბოხი, ბზიკი, ჭრიჭინა, კალია, კოლო, მესხეულა, დედულა, (პატარა წითელი ფერადი ბუნია), ობობა, ბრახის ბუნია, მური (ფუტკრის მტერი), აზიკარა.

**მატლები:** მუსლუსო, მღილი, ჭია. და სს.

**თევზები:** კალმასი, წვერა, ქაშაში, ხაფოტა და ღორჯო.

**მცენარეულობა, ხეები:** ნიგოზი, წაბლი, ლელი, ბროწეული, რცხემლა, თხმელა, ნეკერხალი, მუნა, ბჟოლა. წიფელა, ბალი, ალუბალი, კოპიტი, ძეწა, მკვიდო, დუ, ცაცხვი, ნაძვი, დათვის ხალა, ფიჭვი, ხრეკოლა, კვინცხა, სხმარტი, შინდი, კაშარი, შინდ ასკილი, მსხლები, სეჭეჭური, სასელა, კაცის თაყა, საკოლოკე, შავ სხალა, კვირისთაყა, სხალთაფლა, ვაშლები: თურამაუდი, თეთრი ვაშლი, კიტრა ვაშლი, ჭკუტა, ატამი: სასეთქი და სათალი. ტყემლი, ალუნსა, შავქლიავი, წითელი ქლიავი, გირილა, წელ-ქლიავი, ჭანჭური, არეის ხე ურთხველი, თელა და ძეწა.

**ჩირგვები:** ციცა ბარდა, კაკლა, ხარ-კაკლა, ქახელა, შაშვის პურა, გუნელა შავი და წითელი, მაცვი, მყავალი, ასკილი, ღორტყემლა, კურდღლის საკუნეტელა, ტურინი, ბამბა-მყავლა ჭყორი და ლეშქი.

**ბალახები:** მრავალ-ძარღვა, ძროხის-ენა, ხარის-ძირა, კრავის კუდა (დაჭრილის წამალი), გველერწო, კატა-პრასა, კატა უკორა, სამ ყური, ლელი, ურნალი, ბურტყელა, კრახინა, მქეჩური, კაცის წვერა, ლაქაში, ძალი პურა, ღვარდი, კვარკვალა და სს.

**მაფიანი ბალახები:** დიყა, ტუსტი, კლდის ტკეც (მუწუ-




კის წამდაც), ხწლი, ჯორის ტყავა, მუყუდო და ძელისძა-  
ლა (ღეროებს ფრქვინიან და სჭამენ), სვართქლა, გვიმბრ, <sup>მჭა</sup>  
კილამუნა, ფერა-ფერა, ძირ მწარე, მერმეულა, თიათურია, ლე-  
ნჭა, ჭინჭარი და სს.

**ბოსტნეულობა:** ჭარხალი, ლახანა, ხახვი, ზრასა, ნიორი,  
ჭინდარი, ქინძი, ოხრახუმი, სტაფილო, ბოლოკი, კამა, ტა-  
რსუნა, შაშველაკი და ზაფრანა.

**მხალეულობა:** რუსვი მხალი, წითელი მხალი, ია, ხბოს-  
შუბლა, ფილისუნა, მოლოქი, ქალძავა, ქალიგოდა, სვინტრი,  
ყერხო, მკეკნძლა, ზანდური, ბატი ფეხა, ღვალა, თიარში,  
მწვადი ნელა, საჭაპურა, მგლის ხორხა, და სს.

**ყვავილები:** ასკილი, ყაყახი, ბაია, ია, კაწარ-კუწურა, და სს.

**სოკოები:** ნიუვი, კრიანტელი, არუა, მტრედო, მიქელა,  
მჭადო, კკერცხის გულა, გადამრეკა, წეროს წვივა, ქამა სოკო,  
ბატი ფეხა, ხახვილო სახეხელა, გველის სოკო, დათვის სო-  
კო, შავურეკა, ფიჭვის სოკო, მჭკვანა, ჭყუპლა სოკო,  
ძერუა და სსკა გუდა ფშუტა (დაჭრილის წამდაც).



## ხალხური

(წარმოდგენილი მისგანვე).

იყო ერთი ღარიბი მღვდელი. ერთს დღეს ცოლს გამო-  
 აცხრობინა ორი შური და გასვია სელსახოცში და გაუდგა  
 გზას, მოწყალების სათხოვნელად. გზაში რომ მიდიოდა წინ  
 შემოხვდა ამ ღარიბ მღვდელს მისთანა ღარიბივე მღვდელი. სად  
 მიხვალ? ჭკითსა ღარიბმა მღვდელმა, მეორე მღვდელს. მოწყა-  
 ლების საშოვნელადო, მიუგო მან. მაშ ერთად ვიარათ და  
 რაც ვიშოვნათ, შუა გაიყინაწილათო, მიუგო პირველმა: კარგია  
 დაჭებულდა მეორე. თურმე პირველ ღარიბ მღვდელს რომ  
 მღვდელი შესვდა წინ, იასე ქრისტე იყო ღარიბულად ჩანდუ-  
 ლი. ბევრი იარეს ამ ორმა მღვდელმა, დაილაღენ და მოისკუ-  
 ნეს ერთ მინდორზე. იესო ქრისტემ უთხრა მღვდელს: შური  
 მშაი და ხომ არა გაქვს, რომ ვსჭამოთ? მაქვსო უზასუსა  
 მღვდელმა. ჯერ წავიძინათ და მერე მოსვენებულს უფრო  
 შეგვერგებო. რამდენი გაქვსო, ჭკითსა იესო ქრისტემ. ორიო  
 მიუგო მღვდელმა მაშ მოკისვენოთ და მერე ვსჭამოთ, მი-  
 უგო იესო ქრისტემ. მართლაც ორივემ ჰატარა ხანს შემდეგ  
 ხვრინი ამოუშვეს. მღვდელი ადგა, შესჭამა ჩუმად ერთი შური  
 და ისე დაიძინა. იესო ქრისტემ რომ გამოიღვიძა უთხრა  
 მღვდელს, მღვდელმა სელსახოცა ხანს და გაიოცა, არ  
 კი ერთი შური ვიღაც მგზავრს მოუპარავს ჩვენს ძალშიო?  
 იესო ქრისტემ ვათამი არ იცოდა და უთხრა: მაშ ეკ ერთი

მოიტა და ეკ ვიუთინათ. ის ერთი ზური შესჯამეს და გაუდგენ გზას. ბეკრი იარეს და მივიდენ ორივე ერთ სახელმწიფოში. გაიგეს იქ იმ სახელმწიფოს სელმწიფე გარდაცვლილიყო. ესე ქრისტემ უთხრა მღვდელს მივიდეთ სელმწიფის სასახლეში, ეგების მოწყალება გაიღონო. მღვდელი და ესე ქრისტე მივიდნენ სელმწიფის სასახლეში. სასახლეში ჭირისუფალთა ზურ-ზაური იყო, უკულ სელმწიფეს ჭკოვანა. ესე ქრისტე მივიდა ჭირისუფალთან და უთხრა: რამდენს მახუჭებთ, რომ თქვენი მიცვალებული გავაცოცხლო? ჭირისუფალთ მიუგეს: „სამ ჯორ კიდებულ ოქროს და ვერცხლს მოგცემთ, თუ გი მაგას იზამო“. ესე ქრისტე დადგა მიცვალებულის წინ, ილოცა, შემდეგ გადასახა ჯვარი და მკვდარი მიესვე ფესზე წამოდგა. ჭირისუფალთ აიღეს და დახირუბისამებრ დასახუჭრეს ეს ორი მღვდელი. ესე ქრისტემ და მღვდელმა გაიგეს კიდევ ერთი სელმწიფის ცოლის გარდაცვალება. მღვდელმა უთხრა ესე ქრისტეს: წავიდეთ და ესე ის სელმწიფის ცოლი გავაცოცხლოთ და იქან ბეკრ სახუჭარს მივიდებთო. მღვდელს ეშინოდა, გაი თუ ესე ქრისტე ფული არ მიზიაროს, რადგან მკვდრის გაცოცხლებაზე მარტომან იშრომაო. დაესლა გი თითონ ჭფიქრობდა სელმწიფის ცოლის გაცოცხლებას. იარეს და მივიდნენ იმ სელმწიფესთან, რომელსაც გარდასცვალებოდა მეუღლე. უთხრა მღვდელმა სელმწიფეს; „რას მოგცემ, რომ თქვენი მეუღლე გავაცოცხლო“ სელმწიფემ მიუგო სამ ჯორ კიდებულ ოქროს და ვერცხლსაო. მღვდელი დადგა მიცვალებულის წინ და ბეკრი ილოცა და ეგონა, აი აკერ გაცოცხლება მიცვალებული და აი აკერო. მაგრამ ამაოდ დასარჯა მღვდელმა „მამაო ჩვენო“ და მრავალი სხვა ღოცვები, მიცვალებული მაინც ვერ აღადგინა. სელმწიფეს გული მოუვიდა და სიკვდილით დასჯას უზირებდა მღვდელს, რომ ესე ქრისტეს არ ესხნა. ესე ქრისტემ უთხრა სელმწიფეს:



მე მომეცით ერთი საათის ლექვის ნება და მე გავაწვავთ  
 ხელმწიფედ დასთანხმდა, ესე ჩრისტემ ილღო მინკალეულის  
 აღდგენისათვის და კიდავაც აღადგინა. ხელმწიფემ დასასხუქრა  
 რიგე ღარიბულად შემოსილი მღვდლები რქროთი და კერცხლით  
 და გაისტუმრა გზაში. ესე ჩრისტემ ნაშოვნა იუული სამ ნა-  
 წილად გავყო და უთხრა მღვდელს: შენი წილი აილე და წადიო.  
 მღვდელმა მიუგო: ეგ აგრე, მაგრამ ჩვენ რანი ვართ და აქ  
 კი რქრო და კერცხლი სამად რად არის განაწილებული?  
 ესე ჩრისტემ მიუგო: ერთი ნაწილი შენ, ერთი მე და ერთი  
 ჩვენი ჰურის მომხარავსო. მღვდელმა დიდ ხანს აღარ აცხელა,  
 მამინეკე წამოძახა: —, ჩვენ რომ დავიძინეთ მე ავდექი და ის  
 ერთი ჰურა მე შევჭამეო. ესე ჩრისტემ მიუგო: მეც ვინ  
 რომ შესჭამე და მე კი დამიფიცეო; იფე თვალ-ხარბი და  
 გაუძილარი უკუნითი უკუნისამდეო, ამ სატყუების თქმისთანავე  
 ესე ჩრისტე უნილაკად შეიქნა და მღვდელს რქრო-კერცხლის  
 მაგაურად მიწა შერჩა სელში.

*[Faint, illegible handwritten text, likely bleed-through from the reverse side of the page.]*



## სამი ამხანაგი.

(არაკი ჩაწერილი „ქართველი ოსებში“-ს მიერ)

იყო სამა ამხანაგი, რომელნიც თავიანთ სისაწყლას გამო წავიდნენ სამუშაოს საქმებულად. იარეს, იარეს და წამოეწიათ ესო ქრისტე და იოანე ნათლის მცემელი. სამმა ამხანაგმა, რასაკვირველია, ვერ იცნეს. ამხანაგებს ესო ქრისტემ გამოჰკვიტოსა, სად მიდიხართო? ამთაც უთხრეს, თუ საწყლები ვართ და საწრდოს სამოხუნელად მივდივართო. იარეს ხუთივემ ერთად და მიატანეს ერთ რიუეს. სამ ამხანაგებში უფროსი რომელიც იყო, ამან ინატრა: „ნეტავი ეს რიუე ცხვრის ჯოგად მიქცია, ვარკ სასახლეში გადამიჭიმა და მე მათი ჰატრონი გამსადაო“. ესო ქრისტემ გადასწერა ჯვარი რიუეს და აღუსრულა ნატვრა. გაიარეს რამოდენიმე გზა, მიატანეს ერთ ჭლას და ხსლა შუათანა ამხანაგმა ინატრა: „ნეტა ეს ჭლას ბაღებად მიქცია, შიგ მებაღეები ჩამიყენა და მე მათი ჰატრონი მქნაო“. ქრისტემ გადასწერა ჯვარი და აღუსრულა ნატვრა ამასაც. იარეს, იარეს, უნცროსმა ამხანაგმა, ქრისტემ და ნათლის მცემელმა. ქრისტემ უბძანა უნცროსს ამხანაგს: „შვილო! ინატრე რამე შენც და აღვისრულებო“. ემაწვილმა მიუგო: „შენი ჭირიმი, მე გამოუცდელი ვარ, არა გამოკება რა, და ცოტა ვადა მომეცი, წავიდე დაკვირვებო ვინმესო“. ქრისტემ ერთი საათის ვადა მისცა. ემაწვილი გაიქცა, ეგებ შეეხვდა ვი-



სმე და კვკითხრო. ერთს წვერ-გათეთრებულს კაცს თოქანი მინა-  
 რზედ გაუდევს და მოდის. ემაწვილმა სალაში მისცა და უთ-  
 ხრა: „მამა-შვილობას, ასკა ჩემი საქმე და მირჩიე რამე, მო-  
 ხუცი კაცი ხარ გამოცდილიო“. მოხუცმა უთხრა: წადი  
 შვილო, ჩემს უკან ჩემი უფროსი ძმა მოდის, იმასა ჭკითხე  
 და ის გირჩევსო. ემაწვილი საჩქაროდ გაუდგა გზას, შემოხვდა  
 ცოტა ჭაღარა-შერთული კაცი. ემაწვილმა ამასაც სალაში მი-  
 სცა, უამბო თავისი საქმე და უთხრა: შენმა ძმამ შენთან გა-  
 მომასწავლა და, შენი ღვთის გულისათვის, მირჩიე რამეო.  
 ჭაღარა-შერთულმა უთხრა: წადი, აგერ იმ სახლში მიდი, ჩემი  
 უფროსი ძმა იქა სცხოვრობს, ის უკვლამი გამოცდილია და ის  
 გირჩევსო. ემაწვილმა საჩქაროდ გასწია, მივიდა ნახვევს სა-  
 ხლში და დაიძახა. გამოიხედა ერთმა მანდილოსანმა. ემაწვი-  
 ლმა უამბო თავისი საქმე და უთხრა შენ ქმართან გამომასწა-  
 ვლეს რჩევის საკითხავად და გთხოვ მოახსენო, მირჩიოს რა-  
 მეო. მანდილოსანმა უთხრა: რა ვქვანა შვილო? ახალა დამიხე-  
 ბულია. მოიცადე, სანამ გაიღვიძებდეს და მაშინ ჭკითხე, რაც  
 გინდაო. ემაწვილი ხელ-შეორედ შეეხვეწა მანდილოსანს და  
 უთხრა: შენი ღვთის გულისათვის, გააღვიძე, სცა არის დანი-  
 შნული გადა გამოვიკა და დაურჩები ცალიერიო. მანდილოსანს  
 შეებრალა ემაწვილი, ადგა და ჩაიწვა ქოშები, შევიდა თავის  
 ქმრის ოთახში გაიარა და გამოიარა. კაცმა, რასაკვირველია  
 გამოიღვიძა და საუკედური უთხრა ცოლს: რა იყო, რად გა-  
 მაღვიძეო? ცოლმა უამბო, რა ვქვანა, ბარემ არ გაგაღვიძებდი,  
 მაგრამ ცოდვით ამაკო ამა ემაწვილმა და რა მქვანო? ჩაიხედა  
 სარკეში ამ კაცმა და ჩახა, რომ წვერში ერთი თეთრი გამო-  
 რედა. ემაწვილმა უამბო თავისი საქმე, ისიც თუ როგორ  
 შემოხვდა ჯერ სულ თეთრ-წვერს და მერე ჭაღარა-შერთული  
 კაცი, იმათ გამომასწავლეს შენთანო, და შენი ღვთის გულისა-  
 თვის, მირჩიე რამეო. ამ კაცმა უთხრა ემაწვილს: აი შვილო!




წინადა რომ თეთრ-წვერს შემოგზავდა, ის ჩემი უნცროსი შმს  
არის, ჭაღარა-შერთული რომ შემოგზავდა, ის ჩემი მომდევნო  
შმს არის და მე იმათი უფროსი ვარ; მაგრამ მე კარგი ცო-  
ლი შემხვდა და იმიტომ ვერ თეთრი არ გამომრეკია, თავის  
დღეში არა უწყენებია რა ჩემს ცოლს ჩემთვის დღეისმეტად;  
დღესაც მარტო შენი გულისთვის უდროოდ გამაღვიძა მინა-  
რე და აი, ამიტომაც ერთი წვერის ბეწვი გამითეთრდა ამ სა-  
ათშია. იმ ჩემს ძმებს-გი ცუდი ცოლები შეხვდათ და ცოლე-  
ბის დარდით უდროოდ დაუთეთრდათ წვერები. შენ, ჩემო შვი-  
ლო, ვინც შენ გამოგვზავნა აქ, ის ქრისტე ბძანდება; წადი ჭ  
სოსოკე, რომ კარგი საცოლოს იღბალი მოგცეს; კარგი ცო-  
ლი თუ შეგზავდა, მაშინ სიმდიდრეც გეჭნება და სამხარულე-  
ცაა. ემაწვილმაც თავი დაუკრა, გამობრუნდა და მოვიდა ქრისტე-  
სთან. რა ჭკენი შეილო! უბძანა ქრისტემ. ემაწვილმა მოასუნა:  
რა გი შენი მოწყალებს არის, კარგი ცოლის იღბალი მომი-  
ციო. ქრისტემ უბძანა: შეილო, კარგი და ჰატოასანი ჭალი  
ჭყყანაზედ სადაა, ორი მათგანი გათხოვილია და შესამეც  
ამაღამ იწერს ვვარსო. მერე აიღო ქრისტემ თავისი ყვარჭუ-  
ნი, მისცა ემაწვილს და უთხრა: წადე ეს ყვარჭუნი, წადი,  
მიდი და უთხარი იმ ჭალის დედ-მამას: ჭალი ჩემი იღბალია  
და მე უნდა მომციოქო. დიდს უარზედ შეგიდგებიან, ცემასაც  
დაგიბირებენ, მაგრამ შენ არ მოეშვა. მერე ყვარჭუნი გახუ-  
რებულ თხნეში ჩადე და უთხარი: თუ ყვარჭუნი განედლდა  
და ვაშლი დაისხა, ხომ ჩემი იღბალი არის ეს ჭალი, და თუ  
არ განედლდა, თქვენიათქო. ემაწვილმა სახჭაროდ გამოსწია.  
იარა-იარა და მოვიდა ჭალიანთას. შეხვდა რომ მყრონი  
მოხუციყო. ემაწვილმა რასაკვირველია უთხრა: ეკ ჭალი ჩემი  
იღბალია და მე უნდა წავიყვანო. ჭაი, შე ასეთ-ასეთოკო,  
დაუწყეს აურ-ზაური და ცემა-ტყეპა ემაწვილს; ემაწვილმა  
უბასუნა: რა საჭიროა ვვარობა და ჩხუბი? გახურეთ თხნე,

ამ ჩემს უკარჯენს შიგ ჩაკეუდებ, თონქი, თუ განედლდა უკარჯენი და კაშლი დაისხა, მაშინ ქალი ჩემი იღბალია, თუ არ განედლდეს და კაშლი არ დაისხას, მაშინ ქალი თქვენიაო. უმწვილს დაჭყებულდენ. ჩასდეს უკარჯენი განურებულს თონქი, მართლაც, უკარჯენმა ისარა და დაისხა კაშლი. მეტი რაღა გზა იყო, უმწვილს მისცეს ქალი. უმწვილმა წამოიყვანა ქალი, და ქორწილდა და დაიწიეს ბედნიერად ტკბილად ცხოვრება. გავიდა დრო და უამი. ერთსულ ქრისტემ უბძანა იოანეს ნათლის მცემელს: მოდი ივანე, წავიდეთ, ვნახოთ ჩვენი გამდინდრებულნი და გაბედნიერებულნი სანი მგზავრობა. მართლაც წამოვიდნენ. ჩამოიარეს, ვნახოთ რომ, მოადგნენ ვისაც რიუ ცხვრად უქცია იმას; კაცი შეუგზავნეს ამ გამდინდრებულს კაცს და სთხოვეს: მგზავრები ვართ და ერთი საკლავი რამ მოგვეცი, შენი ღვთის გულისათვის, რამდენი სანია მშვირები დავდივართო. მდიდარმა კაცმა გალანძღა მგზავრები და წყრომით გამოსძახათ: „რამთენიც თქვენისთანა მგზავრები მოკთრენ, იმთენი ყველას რომ საკლავები ვაძლიო, სდ არის იმდენია? დაუსიეთ ძაღლები და გააკეთო; იესო ქრისტემ გადასწირა კვარი ცხვრის ფარას და როგორც იყო ისე ისე რიუდ აქცია. გამოსწიეს და წამოვიდნენ, იარეს, იარეს და მოატანეს ბადის ჰატრონს! მებადეს უთხრეს: თუ დმერთი გწამს დაღლილი მგზავრები ვართ, მოახსენე შენს ადას, ერთი-ორი მტკვანი ყურძენი გვათავაზოცო. შევიდა მებადუ მოახსენა თუ არა, ადამ საშინლად შემოუყვირა: რამთენიც მაგათთანა მგზავრები მოკთრენ, იმთენი რა ყველას ყურძენი ურიგო, რაღა დამჩებოა, დაუტატანეთ და გარკეთო. გამობრუნდა ქრისტე, იქვე ბადის კარებზედ დიდი ლოდი იდა, ლოდს უკარჯენი დაადო ოქროს ზოდათ აქცია, კარებში შეუგორა და მიამხა ამ დიდი ბადის ჰატრონს: „მოგეცეს და მოგემატოს, სულე ეძმაკისა იყოლო“. გამოსწიეს და წამოვი-

დნენ. იარეს, იარეს და მოადგნენ იმის სისხლს, ვისაც კაცნი ცოლი მისცა; ეზოში შევიდნენ და დაუძახეს: „ოჯახისი შეიღო, მგზავრება ვართ, გვისტუმროთ“. კაცი შინ არ იყო. ქალი გამოვიდა გამოეკებათ და მოასსენათ: „სტუმარი ღვთისაა, მობძანდით თქვენი ჭირიმეთ, თუ კი ღირსი ვაჭნებით თქვენი მობძანებისა; შეიყვანა შინ და სთხოვა: ნუ მოიწვენი თქვენი ჭირიმეთ, საღამოზედ ჩემი ქმარიც, მენახირედ განსჯათ და ისიც მოვაო. ამ ცოლ-ქმართ ჭყვანდათ ერთად ერთი ძუ-ძუ-მწოკარი გაყო, რომელსაც თავს ეკლებოდენ. ქალმა ემაწვილა აკვანში ჩასწვინა და თავად კი ვახშმის მზადებას შეუდგა. ვახსნოთ რომ ემაწვილი აღარ იღვიძებდა აკვანში. დედა კაცმა ძუძუს მოწოკება მოინდომა, ახლად ვირი, ნახა რომ ემაწვილი გაშეშებული იწვა; ამ დედა-კაცმა არაფერი არა სთქორა, გადააფარა აკვანს და სისხლის ეუნჭულში მიდგა. საღამოზედ ვახსნოთ, ნახირი მორეკა და მოვიდა მისი ქმარიც. ცოლი წინ გამოეკება ქმარს და უთხრა: „შენი ჭირიმე, ღვთის სტუმრები გვეწვივნენ და მხიარულად შემოდი არაფერზედ გაჯავრდეო.“ მართლაც, შემოვიდა კაციც და სტუმრებს გულგუთილად მიესალმა. ამ კაცს ჩვეულებადა ჭქანდა, საღამოზედ მოვიდოდა თუ არა, უსათუოდ უნდა ეხასხლოთ თავისი შატარი ემაწვილი. ახლაც, მოინდომა ნახვა, მაგრამ ცოლმა არ დაანება: „შენი ჭირიმე, ეს არის ეხლა ჩაიძინა და ნუ გაადვიძებო“. კაცმაც თავი დაანება. იმ დამეს რათიც შეძლება ჭქანდათ სტუმრებთ კარგი შატარი სცეს; მეორე დღეს, როცა მიდიოდენ, იესო ქრისტემ დალოცათ ცოლქმარნი: „დღეის შემდეგ თქვენი სახლი ყოველიფერი კეთილით სავსე იყოსო.“ და გაუდგენ გზას. სტუმრები რომ წავიდნენ, ცოლმა ქმარს გაუცხადა შეიღის სიკვდილი, ცოლ-ქმარმა დემართს მადლობა, შესწირეს და შეიღი მიაბარეს მიწას. ახა, იოანე ნათლის მცემელს რა გამოეპარებოდა, როცა მოდიოდნენ გზასედა, იოანე



ნათლის მცემელმა უსაყვადურა ქრისტეს: „შე დალოცვილად, უფალა, იმიტომ იტყვიან: ზოგჯერ ღმერთს სამართალი არა აქვსო;“ კისაც ბერი ჭქონდა და ლანძღვით გამოგვისტუმრა, იმას კიდევ ჭა რქროდ გუქტეო და, ვინც კარგი ჰატივით მიგვიღო, იმას კი ერთი შვილი ჭყვანდა და ისიც მოუყვალა“. ახლა ქრისტემ უბძნა: იოანე! არ გეუბნები, სულმოკლე ნუ ხარო? მერე, ამოდო ქრისტემ უბიდან ჰატარა კოლოფი, გახსნა და ჩასხდა იოანე ნათლის-მცემელი და უთხრა: „ის-უმაწვილი რა გაზდილიუო, ისეთი რამ გამოვიდოდა, რომ მის დედ-მამის სულსაც დამიკარგავდა და თვისასაც, ახლა კი მისი სულიც და მისი დედამისაც, ამ ჩემს უბის კოლოფში არიანო.“ ამ ნაირად, როგორც დალოცა ქრისტემ ეს კეთილი ცოლ-ქმარნი, გამდიდრდენ, შვილებიც შეეძინათ და დღესაც ბედნიერად სცხვოვებენ.





### სოლომონ ბრძენი.

(ხალხური ლექსი).

ჯერ სოლომონს მეძახიან, მასუკან სოლომონ ბრძენსა,  
 სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შევაბამ უღელ დეგსა,  
 ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ, მშრალზე ვინადირებ თევზსა,  
 ვინულზე კაღოს გაფლეწავ, მორეეში გადავჭერი ბზესა,  
 კუს კურდელს დავაჭერიებ, აქლემს ვინადირებ მწვერსა,  
 ჭინჭველას გოდორს ავკიდებ, კამეჩებს დავუერი ბზესა.  
 ეს სოლომონი დათვიქრდა, სიტუვას მოჭევა გასცდელსა:  
 წუსელის ამ ჩვენ ქახშია კაცს ეძინა, განა ბრძენსა,  
 ხელთ ეჭირა ოქროს ბურთი, ანათებდა დამე ბნელსა,  
 სიტურთე და სილამაზე უღვა ოქროს ლოგინზედა,  
 კარის ქულზე ჩამოჯდება, ჩამოჭოვლიდა ვარსკვლავებსა  
 თუ ეს სიტუვა მართალია, ჩემი სიტუვაც გამართლდეს.  
 სამნივ ერთად დაიბარეს შეთევზე და შებადნა,  
 სამთავე ბადე ესროლეს, სამი თევზი გამოჭევესა.  
 სამივ შუასე დასჭერეს, ტაფაშია ჩააწეესა,  
 ჩააწეეს და მოხარშესა.  
 თუ ეს სიტუვა მართალია, ჩემი თევზი გაცრცხლდეს,  
 გაცრცხლდეს და ზღვას ეცესა.  
 ერთი უუერო კაკა მაქვს მიბარია შემაშხლესა,  
 ვინც იმას საყმით ამივებს, საყვარელი მას დარჩესა.

შეიდი დღე-ღამე იდინა, კოკას უელში დააკლდეს,  
მოდი, ჩადი კუნძულელო, თან საყვარელი ჩაკუვესა.  
ჩაიტუეს კუნძულელი, ზედ ზაროუში მოარქვესა.  
ოთხსა კუთხივ დაჭედესა, აიღეს და ზღვას მისცესა,  
ათას ხუთას ხუთს წელიწადს, მავნე არსად არ გაჩნდესა,  
იესო ქრისტემ დასწევდოს მეთევზე და მებადგე!  
მებადგე ბადე ესროლა, კოკას უურში გამოზდესა,  
გამოიტანეს ნაპირზე—ქონება ვიზოვით ესა!  
დაუშინეს წერაქვები, კოკას ზირი მოსტეხესა,  
ამოცვივდნენ ეშმაკები, აქეთ-იქით გაიქცესა,  
ზოგი კლდესა, ზოგი დრესა, ზოგი წისქვილს შევარდესა.  
მაშინ იმან გააჩინა ხვამირი და სარკველსა,  
ვინც წისქვილში ილაღატებს მისი სული მას დარჩესა.

დაკლდნოს ზირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიძისამა,  
აქ საყდარმა გორისამა, ქალაქის თელეთისამა,  
სიონმა და გორიჯვარმა, მაყურებელმა მტკვრისამა.

სესიამ უთხრა ტეტოას, ია წავიდეთ ტყეშია,  
შენ მაგრე სერ-სერ წამოდი, მე გავალ თეთროანშია.  
გავიხედე ტახი მოდის, მაღალია და მრეშია,  
თოფს წამალი დაგუარე, მარდათ მოვიგდე კვესია,  
იელა თოფმა, გავარდა, მეედო ძუძუ-ფოთეშია,  
გადავბტი და ზედ დაგაჯექ, ხელი ამოვდე უბებშია,  
ერთი იმანაც ამამკრა ამ სისქე ბარძაყებშია,  
იდინა სისხლმა, იდინა, ჩავიდა ზაჭიჭებშია.  
დავჯექ, მაგრა შევიხვიე, ვაიმე დედავ წელია!  
თოფი ხეზე მივაუუდე, ჯოხი ავიდე ხელშია  
ორი სერი გადვირბინე, ერთი არ დამიხვნიეშია,  
მესამეს რომ შევუდექი სული მომაღლა უელშია.





მიველ, დედა-ჩემთან დაგუქქ—ვაიმე დედავ წელაა.!

— ნუ გეშინიან, სესიავ,

შენისთანა მონადირე ტახს ბეგრი გაუსრესია!

როსტომ სთქვა: ესე სოფელი კაცს ხელში გაუქანდება,  
ვინცა სთქვა, ახლა მე დამრჩა, არც იმას გაუთავდება.

როსტომ სთქვა, მიწა გრილია, მტერსა არ უნდა რბი-  
პარგია ვაუიკაცისთვის რმშია გამოცდილობა. [ლობა,

როსტომ სთქვა, სიბურკაცათა სიტყვა სთქმულად გაჭირდა  
წადით, ჭკიითხეთ დიაკვანს, როსტომის ხმაღსა რა სჭირდა?  
კურტნიან აქლემს ჩამოჭკრა, ცხრა ადღ მიწას სხვას ჰსჭრი-  
და!

ამირან დევი შაიბნენ ჯერ დილა იყო მზიანი,  
ამირანმა დევი დასცა, მიწამ დაიწყო გრიალი,  
დასცა და ბეჭი მოსტესა, ადგილი დასხუდა ქვიანი,  
ბეჭმა ძან შეაწუხა, დააწუებინა ღრიალი.  
აღა, ამირან, ნუ მომკლავ, შირი მათიცე მზიანი,  
წყალ-გაღმა ერთი ქალია, ამამავალი მზე არი,  
ვინც იმასა არა ნახავს, იმის ბიჭობა რა არი?!

ციცა და თაკვი შეიბნენ, ჯერ დილა იყო ცისკრისა,  
რმი ასტეხეს იგეთა, ბრიალი ადის ისრისა,  
ერთი ბულა თაკვი დასცეს, მწვადი ამოსჭრეს კისრისა,  
ხვეს იქით ერთი წისქვილი ნიხბის შირავით ისურისა,  
მეწისქვილეს ასტეხია დარღუბადა და ღვთის რისხვა.

## ფშაური ლექსები.

(შეკრებილი ვრ. აფშინაშვილის მიერ.)

ბრძანებდა დამბადებელი:

რო დაუდგი მიწა—მუარია,

სულ თავის მორთულობითა

შამხდარი \*) მთა და ბარია,—

მურგვალთ სამი ზღვა მუაულე:

თეთრი, წითელი, შავია.

ზედ გადავხურე ზეცა და

სინა, ჭიქა და რვალია;

შიგ კავანინე მზე-მთვარე,

მავალი დღე და ღამე!..

დუნია გამიხენავის—

რჯულად ათასი გვარია.

სამას სამ წმინდა გიორგი

ოთხსაჲ კუთხეზე ჭბძანია.

ქრისტეანთ სალოცავადა

გამოსახული ჯვარია.

დუთიშვილთა, დუთის ნაბადებთა

\*) ლამაზად მოწყობილი.

ქრისტიანთ სალოცავია...  
ღვთიშვილთა ჭყავის წმინდაი  
თამარი დედოფალიო.  
უფლისა იუო ბძანება—  
შაირტუა მამის ხმალიო!  
მამის სამეფო აიღო,  
თვითონ ბრძანდება ქალიო;  
სმელეთ თავისად მაიგლო,  
იძენიცა აქვს ძალიო;  
შუა ზღვას ჩადგა სამანი,  
სამანი—რეინის სარიო;  
სატანტო საბრძანებლადა  
თვითონ სმელს გორზე ჭბრძანია;  
შირდაშირ უდგა გორზედა  
ღადი ღაშარი ჯვარია;  
შაძლებულ მიდგებ-მოდგება,  
წელზედა ჭრტუავის ხმალიო;  
გვერდს უდგა ნისლის ფერაი,  
ტრედივითა ჭქონდ მხარნიო;  
აქრის უნაკირ ზედ ადგა,  
აქრო წელის ღაგმის ტარიო.  
დალოცვილ შამხადებულა:  
დაფანტულნი შევან უმანიო!  
მაეშეკლება ერთგულთა—  
არ იუოს მისულის ხანიო...


შატალს კადიდა სოხობი,  
ფეხსა დგამს მუხარად ზედა.  
მოხარდა შეიანი წიწილნი  
ახალის მუქარაზედა;  
შეიდთავ უეიდა თოფები,  
შეიდთავ აჭკიდა მხარზედა;  
შეიდთავ ფრანკულეუბ უეიდა,  
შეიდთავ შკარტუა წელზედა;  
შეიდნივ საფშად დაგზავნა:  
შეილნო, მშეიდობით გზაზედა!  
თუ უსახელონ მოხედიით,  
შატალს არ დაკსხამთ ჭარზედა.  
ახადს კოდერძის ცისეო,  
ჭაჭვი კადიცვი ტანზედა.  
სამშაბათ დილა კათენდა,  
ცეცხლი დაგატუდა თავზედა!  
შიგაით ქალი გამოჭყავთ,  
ცრემლი ხამაჭდის თვალზედა.  
— ქალო, ნუ სტირი ბეჩაო,  
თადია გიზის გზაზედა!  
წამუა გაჭავრებულეო,  
თვალს შამოაფლებს მთაუელთა;  
შატალის ეელში კადმოვა,  
ქისტები შეხვდა გზაზედა,  
არ ეტევის გამარჯვებასა,  
ამბავსა ჭკითხავს წარზედა:  
— ე ქალ საით-ღა მოგეავისთ,  
ცრემლი რად მოსდის თვალზედა?  
— ე ქალ ახადით მოგეავისთ,  
შატალს უნდ დავსვათ ჭარზედა;

უცრუას დაჯაქორწილებთ,  
გვირგვინს დაგხურავთ თავზედა;  
ამის საქმარე ვაყასა  
ბექთარი \*) გვიცვაჲ ტანზედა!  
— ვაი, რა ონავრ გიქნაფისთ  
ლაშარი ჯვარისა ემაზედა!  
თუ თქვენ ეკ წაგაყვანანთ,  
წვერიმც ნუ მისხვის ებაზედა!  
გაიყრეინხა თხის ტყავნი,  
ჯაჭვი დაუხნდა ტანზედა.  
შვიდ ქისტმა, მარტომ ფშაველმა  
ხელი გაიკრეს ხმაღზედა.  
შვიდსავე დასტრა თავები,  
დაყარა მკვდარი მკვდარზედა!  
ქალს ქისტის ხმალი შეარტყა:  
— მშვიდობით, დაო, გზაზედა!  
მამას გოდერძის ნუ ეტყვი—  
თადია შამხვდა გზაზედა.  
ქალმ მე დაგხრეე ქისტები,  
ხმაღ მე შავირტეი წელზედა.  
ახადურ ახალუხლებო,  
ქუდიმც ნუ გხურავთ თავზედა;  
დაყარეთ იარაღები,  
დასხედით დედად ჯარზედა!..  
ხმა გატედა არჭილოშია,  
გაიგეს ციხის გატეხა;  
მოდან დალაღებულნი,  
ვისაც გულ ერჯის ცდაზედა;

\*) საუკეთესო ჯაჭვის პერანგი.

არქილეს ჭკლას შამუღებს,  
მოდინ სისხლის წეაღებდა;  
თადია გადმოუჩნდება,  
ნასახელარი სხვაზედა...

ემატ ლექსის მთქომი  
ქალი ვარ, გზივარ კარზედა;  
სელში ჩხირ-წინდა მიჭერავ,  
ტრემლი ჩამომდის თვალებდა;  
გაჭირდა, სიტუვას ვერ ვამბობ—  
მგლოვიარე ვარ ძმაზედა!..





1900 წ ე ლ ს

ა კ ა კ ი ს

თ ვ ი უ რ ი

# „კ რ ე ბ უ ლ ი“

(წელიწადი შესამე)

გამოვა იმავე პროგრამით და იმავე პირობებით, როგორც 1899 წელს; ესე იგი გარდა საკუთარის ნაწერებისა დაიბეჭდება სხვების ნაწერებიც.

**შანი იზივი დარჩება:**

გ ა გ ზ ა ვ ნ ა თ 7 მ ა ნ ე თ ა ,

გაუგზავნელად—6 მან., ნახევარის წლით—4 მან.

თვიურად და კერძო №-რი—60 კ.

ფულის შემტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება:

ხელის-მეწერისას 3 მან., ზირველ მარტს 2 მან. და ზირველ მაისს 2 მან.

რედაქცია იმყოფება დ. ყვარიალასში

ადრესა: დ. ყვარიალას „კრებულის“ რედაქცია და თბილისის „წერა-კითხვის საზოგადოება“.

რედაქციაში მოიპოვება სრულად 1899 წლის „კრებული“-ს წიგნები, გაგზავნით 7 მანეთად, ხოლო ახალ ხელის-მომწერთ დანემობათ 6 მანეთად.

„კრებულ“-ს რედაქტორი და გამომც. აკაკი.



# „მოკება“

# „სწოგის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში**

**გამოვა ყოველ დღე კვირა-უკმეხების შემდგომ**

ფასი ყურნალ. გაგზავნით:

გაზეთის ფასი გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 6 თვ. 3 ხვ.

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 1 თვ.

10 მ. 6 მ. 4 მ.

თინსოგობი 6 მ. 75 კაპ.

სამსუდვარ-გარეთის ქალაქებში 1 წლ. 6 თვ. 3 თვ.

სამსუდვარ-გარეთის ქალაქებში 1 წლ. 1 თვ.

13 მ. 7 მ. 5 მ.

7 მ. 90 კაპ.

**წლათურა ფასისა შემოტანის შეიქმლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მან.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მან.

**ვინც ორივე გამოცემას ერთად გამოიწიას შეღავათი მიეცემა**

ყურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შა-ნაურა ჭეუცხეთის მამოხილვე

კასეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპუტეები, ქრონიკა (სხალი ამბები) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტროქონი 10 მ. მეოთხეზე 5 მ. თუ განცხადება 3-ვერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები უღირება.

მეორე გვერდზე 5 მ. მესამეზე 3 მ. მეოთხეზე 2 მ. მეხუთეზე 1 მ. მეექვსეზე 1 მ. მეშვიდეზე 1 მ. მერვეზე 1 მ. მეცხრეზე 1 მ. მათზე 1 მ.

აღრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію

„Моамბე“ и „Цнобисъ-Пурцели“.



# ივერია



გამოვა 1900 წელსაც  
 იმავე პროგრამით, როგორც წინად.

## ფასი განკეთისა

12 თვით . . . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . . . .	6 მ. — კ.
11 " . . . . .	9 " 50 "	5 " . . . . .	5 " 50 "
10 " . . . . .	8 " 75 "	4 " . . . . .	4 " 75 "
9 " . . . . .	8 " — "	3 " . . . . .	3 " 50 "
8 " . . . . .	7 " 25 "	2 " . . . . .	2 " 75 "
7 " . . . . .	6 " 50 "	1 " . . . . .	1 " 50 "

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით. საფოსტის-მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მ.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

**შეღავათა წლიურ ხელის-მომწერთათვის:** ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი თუელი ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად: ხელის-მომწერის დროს 3 მან.; ზირველ მარტს—2 მან.; ზირველ მაისს—3 მან. და ზირველ სექტემბერს—2 მ.

## ფასი განცხადებისა:

მე 4 გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი—8 კაპ., 1-ლზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნაიკალოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქუჩ., თავად-აზნაურ-რობის სახლი.

საფოსტო ადრესი:

Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

# „მწყემს“-ზე

ღ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქუჩნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ.  
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.  
— ,, ორივე გამოცემა ნ > | — ,, ორივე გამოცემა 3 მ.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეირალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროეთან; საჩხერეში—ყარაქან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოეთან; ახალსენაკში—ბლალოჩინ მამა არისტარქ კალანდარი-შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილე-  
ბის სახლებში და ვეირალაში რედაქტორის საკუთარ  
სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქუჩნალის დაბარება შეუძლიათ  
ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и  
журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-  
ნიც ნახევარ ფასად დაეთმოებათ მსურველთ.

საპარტიო, სამეცნიერო და სალიტერატურო-გაგონებულო  
ნახატებიანი გაზეთი



# „კვალი“

გამოვა 1900 წელში ყოველ კვირაში ერთხელ  
ერთიღვან სამ თაბახამდე.

იმავე პროგრამით, როგორც 1899 წ.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან «კვალს»  
მიემატება პროგრამის ეველა განუოფილებები,  
რისთვისაც შესდგა მუდმივ თანამშრომელთა  
წრე.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან.,  
ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლით გაუ-  
გზავნელად 3 მან. და 50 კაპ. გაგზავნით 4 მანეთი;  
სამი თვით გაუგზავნელად 2 მან., გაგზავნით 2 მან.  
50 კ. თითო ნომერი სამ შაურად. ხელისმომწერ-  
ლებს წლის ფული შეუქლიათ ნაწილ-ნაწილად გა-  
მოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში «წერა-კით-  
ხის გამაერცვლებელ საზოგადოების კანცელარიაში»  
(სასახლის ქ., სათავედ-აწნ. ქ.რე.) და თვით «კვა-  
ლის» რედაქციაში — არტილერიის ქ., № 5, კადეტის  
კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“

საქმანწილო ნახატებანი ჟურნალი



# „ჯეჯილი“

წელიწადი 88-11-ბა

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე  
პროგრამით, როგორათაც აქამდე

ქურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის  
საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო  
რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში  
საკითხავად.

ქურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით  
ელირება—4 მანეთი, თბილის გარეშე გავზაენით 5 მან.  
ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახე-  
ვარ წლით.

## ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში - «წერა-კითხვის საზოგადოების»  
კანცელარიაში და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში  
(არტულერაის ქ. № 5, კაღეტა კარბუსის ხლო).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію  
грузинскаго дѣтскаго журнала «Джеджили».

